მაიერსი კმაყოფილია "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით A2

სპეცსამსახურები B4-B5

ფოტოკონკურსი B8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 26 ნოემბერი, 2002 წელი. №177

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### ლეიბორისტებს ქალაქის ახალი პრემიერი უნდათ, პრემიერი ქალაქს ახალი წლის შესახვედრად ამზადებს

*"ყველაში" თბილისის პრემიერმა ახალი საკრებულოს შემადგენლობა იგულისხმა.*

"კარგმა ურთიერთობამ," ნაწილობრივ, და საკრებულოს არაერთსულოვნებამ, მეორე მხრივ, შერაძე ერთხელ უკვე იხსნა შესაძლო იმპიჩმენტისგან.

A3

## ეკონომიკა

### ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

გუშინ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, ენგურჰესის დირექტორმა ლევან მებონიამ, გერმანულ-ავსტრიული კონსორციუმის "ფოიტ-სიმენსისა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ენგურჰესის ელექტრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის პროექტს.

A4

## უცხოეთი

### ჯორჯ ბუშმა ახალი „ბიუროკრატიული ბეჰემოთი" შექმნა

გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნის შესახებ კანონს მოაწერა ხელი. ამ უწყების მიზანი აშშ-ს ტერიტორიაზე ახალი ტერორისტული აქტების აღკვეთა იქნება.

A5

## საზოგადოება

### საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია უნივერსიტეტების რაოდენობით

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი ათჯერ მეტია, ვიდრე ინგლისში, - შეიტყვეს ჟურნალისტებმა ბაკურიანში, მასმედიისთვის ჩატარებულ თემატურ სემინარზე.

*უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის სამუშაო ჯგუფმა მასმედიის წარმომადგენლებს დაწვრილებით გააცნო სისტემაში არსებული პრობლემატიკა და ისაუბრეს კანონპროექტის ძირითად პუნქტებზე.*

A6

## სამართალი

### „ჩემი მოვალეობაა, შარაძისნაირები ვამხილო"

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ხუთი თვის წინ დაწყებული შარაძე-რამიშვილის დავა, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვლავ პირველ ინსტანციას დაუბრუნდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 15 |
| ბათუმი | 16 |
| სოხუმი | 13 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 15 |
| გორი | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1606 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4191 |
| რუბლი | 0.0683 |

# ორი ბაბუს რჩეული

## "სოციალისტური" ანდაზა: თანამდებობა იყოს და მის აღებას სანაგვიდანაც არ ვიუკადრისებთ

თამარ ხორბალაძე

*ვახტანგ რჩეულიშვილმა, სპიკერატში არაერთი გამობრწყინების, მთავრობაში გახშირებული ვიზიტებისა და, ზოგადად, საპარლამენტო აქტიურობის შედეგად, მიზანს ნაწილობრივ უკვე მიაღწია - პრეზიდენტის ფრთებქვეშ ადგილი მოინიშნა. გუშინ "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ ავთანდილ ჯორბენაძემ და სოციალისტთა ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ბევრი ისაუბრეს საერთო ხედვაზე (თვით საგარეო პოლიტიკაშიც), საერთო მიზნებზე, თანამშრომლობაზე, საერთო ელექტორატზე და, მიუხედავად იმისა, რომ არ დაუზუსტებიათ თანამშრომლობის ფორმა - ალიანსი იქნება ეს, ბლოკი თუ პარტიების შერწყმა, გარკვეული მინიშნება გააკეთეს ამ მიმართულებით. გუშინ ისიც გაცხადდა, რომ "მოქალაქეები" და "სოციალისტები" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, სავარაუდოდ, სხვა პარტნიორებთან ერთად, ერთიანი სიით გამოვლენ.*

### მიზანი, რომელიც მსხვერპლად ღირდა...

**"არ იქნება სწორი, რომ "მოქალაქეთა კავშირისა" და "სოციალისტების" კანდიდატები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ხალხი არ უნდა ჩავაყენოთ უხერხულ მდგომარეობაში, ელექტორატი ერთი და იგივე გვყავს...**

**ჩვენ უკვე გვაქვს კონსულტაციები ერთიანი ბლოკის შექმნაზე, სადაც პარტიების გარკვეული ნაწილი მოიყრის თავს, მათ შორის შეიძლება იყვნენ მოძრაობებიც..."** - განაცხადა გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ.

ამ მიზნისთვის, ანუ მომავალ არჩევნებში სახელისუფლებო ბერკე-

გაგრძელება A3 გვერდზე



*ვახტანგ რჩეულიშვილის მშობლიურ წიაღში დაბრუნება შამპანურით აღინიშნა.*

# საარჩევნო მარათონის სტარტი უკვე მიცემულია

გიორგი ასანიშვილი

*თანდათან დასკვნით ფაზაში შედის იმ პოლიტიკური ბანაკების ფორმირების პროცესი, რომლებსაც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების პრეტენზია ექნებათ. მართალია, არჩევნებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და დარჩენილ პერიოდში ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, ლოკალური და ტაქტიკური ხასიათი უფრო ექნება, ვინაიდან წამყვან პოლიტიკურ სუბიექტებს სტრატეგიული მოქმედების პროგრამა, როგორც ჩანს, შემუშავებული აქვთ და მას აღარ გადაუხვევენ. ამდენად, უკვე დღესვე შეიძლება ლაპარაკი რამდენიმე გუნდზე, რომლებიც მომავალ წელს ქართულ პოლიტიკურ ოლიმპზე ადგილების მთლიანად შევსებას შეეცდებიან. "მოქკავშირისა" და "სოციალისტების" გუშინდელი პოლიტიკური "ნიშნობით", შეიძლება ითქვას, სტარტი აიღო საარჩევნო მარათონმა.*

დღეს უკვე საიდუმლო აღარ არის, თუ ვისზე აკეთებს აქცენტს ამჟამინდელი ხელისუფლება: "მოქალაქეთა კავშირი", "სოციალისტები" და "მრეწველები" - ის ტრიადაა, რომელიც მზად არის, შევარდნაძე-ჯორბენაძის ინტერესების სადარაჯოზე დადგეს და ძალაუფლების ბერკეტები ჩაიბაროს.

2 ივნისის ადგილობრივ არჩევნებში "მოქალაქეთა კავშირმა" სრული კრახი განიცადა, მაგრამ მისი საბოლოოდ ჩამოწერა და შესაძლებლობების არგათვალისწინება შეცდომა იქნება. მით უმეტეს, სმკ-ს გავლენის გასაფართოებლად პარტიის ახალი ლიდერი ავთანდილ ჯორბენაძე

გაგრძელება A3 გვერდზე

# ირანელი კონსერვატორები რევანშის აღებას ცდილობენ

*ირანში, სტუდენტთა მასობრივი გამოსვლების ჩაცხრობის შემდეგ, კონსერვატორები რეფორმატორების წინააღმდეგ ახალ კამპანიას იწყებენ.*

რევაზ ბახტაძე

ამერიკის "ინტერვენციონისტული და ქედმაღალი" პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად, 24 ნოემბერს, თეირანში, შეერთებული შტატების ყოფილი საელჩოს წინ, დაახლოებით, 15 000 პოლიციელი შეიკრიბა. მათი პროტესტი სტუდენტთა გამოსვლებმა გამოიწვია.

კონსერვატორების გახელება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სტუდენტთა უდიდესმა საპროტესტო გამოსვლებმა გამოიწვია. სტუდენტები ქუჩაში მას შემდეგ გავიდნენ, რაც ჰამადანის სასამართლომ პროფესორ ჰაჯემი აღაჯარის, სასულიერო ხელისუფლების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენების გამო, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სტუდენტები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, რაც აღაჯარის განაჩენი შეიცვალა.

სტუდენტთა გამოსვლები ქვეყნის უმაღლესმა სასულიერო ლიდერმა, კონსერვატორმა აიათოლა ალი ხამენეიმ დაგმო. თუმცა, ის სწორედ სტუდენტების საპროტესტო გამოსვლებმა აიძულა, სასამართლო ხელისუფლებისათვის განაჩენის შეცვლა თავად ებრძანებინა.

სასამართლო ხელისუფლების უკანდახევამ უბიძგა ჟურნალისტთა 134-კაციან ჯგუფს, რომ საჯარო წერილი დაეწერათ. ჟურნალისტებმა ირანის სასამართლო ხელისუფლებას მოუწოდეს, პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავი შეიკავონ.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტი არ შეიცვლება

*აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი კასპიის რეგიონის ენერგეტიკულ საკითხებში სტივენ მანი უაღრესად ნაყოფიერს უწოდებს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრებს. მანი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მიიღეს. ჯორჯ ბუშის მრჩეველი აცხადებს, რომ მან მიიღო სრული გარანტია საქართველოს მთავრობისაგან, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში წარიმართება და საქართველოს მხრიდან არანაირ შეფერხებას ადგილი არ ექნება.*

სოფო კვინტრაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2004 წლისათვის უნდა შევიდეს. თუმცა, ვიდრე მისი მშენებლობა დაიწყებოდეს, საჭიროა, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ პროექტს, ეკოლოგიური თვალსაზრისით, დადებითი დასკვნა მისცეს. როგორც ცნობილია, მთელი რიგი საერთაშორისო ექსპერტები, მათ შორის, ჰოლანდიური კომისია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტს უარყოფით შეფასებას აძლევენ. საუბარია მარშრუტის იმ მონაკვეთზე, რომელიც ბორჯომის ხეობაში, კერძოდ კი, ცხრაწყარო-კოდიანას მონაკვეთზე გაივლის. როგორც უცხოელი და ქართველი ექსპერტები აცხადებენ, მილსადენის დაზიანების შემთხვევაში, ბორჯომის მინერალური წყლების რესურსებსა და ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის ეკოლოგიას სერიოზული საფრთხე დაემუქრება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პოლიციელთა მძევლად აყვანა მოდაში შემოდის




*პოლიციელებმა ერთი ბოროტმოქმედი დააკავეს.*

# ერთგული ადმინისტრაციით მართული "სამართლიანი არჩევნები"

*პოლიტიკური სპექტრი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ გამოხმაურებია მოქალაქეთა კავშირის ინიციატივას პარტიებს შორის დიალოგისა და კონსულტაციების დაწყების თაობაზე, რომელიც "არჩევნების სამართლიანად და გაუყალბებლად გამართვას შეეხება".*

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ მოქალაქეთა კავშირის ოფისში შეკრებილმა პარტიის აქტივისტებმა, როგორც თვითონ განაცხადეს, კეთილი ნება გამოიჩინეს და პარტიებს კონსულტაციებისკენ მოუწოდეს. ამ მიმართვის თანახმად, **"მმართველი პარტია სრულად აცნობიერებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების სავარაუდო უარყოფით შედეგებს, გმობს პოპულიზმს და მზად არის, გაემიჯნოს უკანონობას, უსამართლობას და ერთგვარი კეთილი ჟესტისთვისაც ემზადება – იგი სთავაზობს პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებში თანაბარი, კონკურენტული გარემოს შექმნას".**

როგორც მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა, არმაზ ახვლედიანმა გაზეთ "24 საათს" განუცხადა, კონსულტაციების მიზანს, ძირითადად, მომავალი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის **"ჯანსაღი გარემოს შექმნა წარმოადგენს"**.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოთხ დღეში საქართველოს ოთხ რაიონში მაჟორიტარული არჩევნები ტარდება და, ჩვენი ინფორმაციით, ოთხივე რაიონში – აბაშაში, რუსთავში, სამტრედიასა და

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პლანეტა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სპეცსამსახურები B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის ინფორმაციით, მომავალ წელს საქართველოში ჩამოვლენ ნატო-ს ექსპერტები, რომლებიც განიხილავენ საქართველოს სამოქმედო გეგმას, რომელიც ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის საჭირო ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამასთან მიერთებას ითვალისწინებს.

მისივე თქმით, ამ მხრივ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, რათა გაიზიაროს მათი გამოცდილება ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. დეკემბრის დასაწყისში საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების ოფიციალური დელეგაცია ჩავა ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რათა ამ ქვეყნებთან თანამშრომლობამ უფრო აქტიური ხასიათი მიიღოს.

ნატო-ული ექსპერტები საქართველოში გაეცნობიან ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას, რომელშიც შედის რეფორმები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და ადამიანის უფლებათა საკითხებში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო სასამართლო 4 დეკემბერს განიხილავს 9 აპრილის ბაღში მიმდინარე უკანონო მშენებლობის კანონიერების საკითხს.

ამ თემაზე იმსჯელეს დღეს თბილისის მერიაში ტრადიციულ ორშაბათის თათბირზე.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის თქმით, ამ ეტაპზე მშენებლობა შეჩერებულია.

თბილისის მერი ვანო ზოდელავა მერიასაც "რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად გახსნილი საავტო კომპლექსის კანონიერებით დაინტერესდა.

დედაქალაქის მერის ინიციატივით მეტროსადგურების და მიწისქვეშა გადასასვლელების შესასვლელში, განათებული სარეკლამო აბრები განთავსდება, რომლებიც განათების პრობლემას გადაჭრის, რეკლამებიდან შემოსული თანხა კი ბიუჯეტს შეავსებს, — იმედოვნებს ზოდელავა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი სურხო იდიევი აცხადებს, რომ ჩეჩნეთიდან დევნილები პანკისის ხეობაში, რუსეთის მხრიდან პროვოკაციების ორგანიზებას არ გამორიცხავენ, რაც საქართველოს ნატო-ში შესვლის სურვილის ფონზე ქვეყნის დისკრედიტაციას ითვალისწინებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სურხო იდიევმა განუცხადა, ასეთი შიში ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს ყოველთვის ჰქონდათ, რამდენადაც რუსეთმა არაერთხელ განახორციელა პროვოკაციები არა მხოლოდ ჩეჩნეთში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზეც, სადაც დესტაბილიზაციის გამოწვევისათვის ფედერალური აგენტები აქტიურად მოქმედებენ.

მისი თქმით, პანკისში არსებული მდგომარეობის სიმშვიდის მიუხედავად, საქართველოში ჩეჩნეთიდან დევნილებს დარჩენა არ სურთ, რამდენადაც რუსეთის აგრესიისაგან ქართული ხელისუფლების დაცვის იმედი არა აქვთ.

მისი აზრით, ხეობაში სიტუაციის ნებისმიერი სახით გამწვავება მოსკოვს "აწყობს" და ჩეჩნებმა არაერთი მაგალითი იციან, როდესაც მათი სახელით დანაშაული ხდებოდა.

სურხო იდიევის განცხადებით, ბანდიტურ დაჯგუფებათა შექმნას და ჩეჩნი ხალხის სახელით დაჟინებას რუსეთის სპეცსამსახურები პანკისში უკვე ვერ შეძლებენ, თუმცა მცირე პროვოკაციების ორგანიზება ძალუძთ.

ამასთან, დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერას, შეუძლია აიძულოს მოსკოვი, რათა "კარგად დაფიქრდეს", სანამ აგრესიულ ნაბიჯებს გადადგამს, - აღნიშნა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონში, უსაფრთხოების ზონის ჩრდილოეთ სექტორში დისლოცირებულ რუს სამშვიდობოთა ბატალიონის როტაცია გუშინ დაიწყო და 30 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ამის შესახებ აცხადებს აფხაზეთში ქართულ სამშვიდობოთა წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ვალერი ჯაფარიძე.

მისი თქმით, მაიკოპის სამშვიდობო ბრიგადიდან სამხედრო მოსამსახურეთა გადმოსროლა რკინიგზის საშუალებით განხორციელდება.

ვალერი ჯაფარიძის თქმით, როტაცია, დაახლოებით, 500 სამხედროს შეეხება, ამასთან, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში "ცისფერჩაფხუტიანთა" რაოდენობის გაზრდა, რომელიც დღეისათვის თითქმის 2000 კაცს შეადგენს, არ იგეგმება.

მან აღნიშნა, რომ როტაციის მონიტორინგს გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლები მოახდენენ.

მისი თქმით, სამშვიდობოთა სარდლობა ამტკიცებს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა რკინიგზით გადაყვანა ქართულ და აფხაზურ მხარეებთან შეთანხმებულია, აგრეთვე როტაციის დასრულების შემდეგ, სარკინიგზო მიმოსვლა ისევ უნდა დაიკეტოს.

თბილისში აცხადებენ, რომ აფხაზეთზე რკინიგზის გახსნა მხოლოდ ქართველი დევნილების დაბრუნების პარალელურად უნდა მოხდეს.

ცნობისათვის: რუსეთის სამშვიდობოები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 1994 წლის ზაფხულში შევიდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, სოხუმის პროტესტის მიუხედავად, აშშ-ს ფინანსური მხარდაჭერით, მომავალ წელს, კოდორის ზემო ხეობაში ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გახსნას აპირებს.

ამის შესახებ განუცხადა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სასაზღვრო უწყების შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ.

მისი თქმით, კოდორის ხეობაში შექმნილია სრულფასოვანი კომენდატურა, რომელიც არა მხოლოდ ვერტმფრენების, თვითმფრინავების მიღების შესაძლებლობას საჭიროებს.

"სოხუმის პროტესტს საფუძველი არ გააჩნია, რამდენადაც უპირველეს ყოვლისა, კოდორის ხეობა საქართველოს ტერიტორიაა, ასევე, ამ რეგიონიდან აფხაზურ მხარეს არაფერი ემუქრება", - თქვა კორნელი სალიამ.

ასევე, მან აღნიშნა, რომ ასაფრენ-დასაჯდომი ზოლები აშშ-ს მხარდაჭერით მესტიასა და ლაგოდეხში გაიხსნება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, ადრე, ამ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, რომ კოდორის ხეობაში ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის გახსნამ, შესაძლოა, შეიარაღებული კონფლიქტის განახლება გამოიწვიოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქულმა გემმა "შექერ ბაბამ" ადმინისტრაციული ჯარიმა - 200 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. როგორც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრში აცხადებენ თურქულ გემს, რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა 19 ნოემბერს გამთენიისას დააკავეს, სასამართლომ მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი დააკასირა, რაც 200 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.

ჯარიმის გადახდა ათი დღის განმავლობაში უნდა მოხდეს, მაგრამ ამავე პერიოდში გემის ეკიპაჟს საშუალება აქვს გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამ დროისთვის გემი და მისი ეკიპაჟი ფოთში სასაზღვრო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ჰყავს დაკავებული.

შეგახსენებთ, რომ გემი ქართველი მესაზღვრეების გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ ბიჭვინთასთან ახლოს დააკავეს და ის ფოთში გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გემი 2000 წელსაც იყო დაპატიმრებული საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერის გამო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის საკრებულოს წევრი, ერთიანი კომუნისტური პარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი რევაზ ბულია საკრებულოს ტოვებს. როგორც ჟურნალისტებს ბულიამ განუცხადა, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ისაა, რომ თავის ამომრჩევლებს წინასაარჩევნო დაპირებებს ვერ უსრულებს.

"ჩვენ ამომრჩევლების წინაშე ვალდებული ვართ შევასრულოთ წინასაარჩევნო დაპირებები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალაქის საკრებულოს დეპუტატებს, თურმე, არაფრის უფლება არ გვქონია. არავინ არაფერს გვეკითხება", - განაცხადა ბულიამ და დასძინა, რომ სინამდვილეში ყველაფერს ზუგდიდის რაიონის გამგებელი განაგებს, საკრებულოს კი მხოლოდ "ზუგდიდის სასაფლაოების მოვლა-შენახვა ევალება". **კავკას-პრესი.**




# მაიერსი კმაყოფილია "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით

გუშინ შეერთებული შტატების არმიის გაერთიანებული შტაბების უფროსი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი მაიერსი კრწანისის სამხედრო პოლიგონს ეწვია და კომანდოს ბატალიონის წვრთნას დაესწრო.

ვიზიტის თარიღმა გენერლის ჩამოსვლას განსაკუთრებული ინტრიგა შესძინა. სტუმრობამდე ერთი დღით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა ნატო-ში გაწევრიანების შესახებ გააკეთა განცხადება, ვიზიტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ კი შეერთებული შტატები საქართველოდან 400 კილომეტრის დაშორებით, ერაყში ომის დაწყებას აპირებს.

პრესაში ბუნებრივად გაჩნდა კითხვა - ხომ არ უკავშირდება გენშტაბის შეფის ვიზიტი ან ერთ, ან მეორე მოვლენას?

თავდაცვის სამინისტრო ამის შესახებ აცხადებდა, რომ გენერლის ვიზიტი დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი და მის დღის წესრიგში მთავარი ორმხრივი ურთიერთობებისა და, კონკრეტულად, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის საკითხები გახლდათ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ნატო-ს სამიტიც და ერაყის წინააღმდეგ ომიც, ალბათ, უფრო დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი, ვიდრე მაიერსის სტუმრობა.

ამიტომ გუშინ, კრწანისის პოლიგონზე გამართული შეხვედრისას, ჟურნალისტებს სურდათ, თავად გენერლისაგან მოესმინათ მისი მთავრობის აზრი ერაყის ომისა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

მაიერსმა განაცხადა, რომ ერაყის



საველე პრესკონფერენცია.

ომის დაწყება ჯერ გადაწყვეტილი არ არის და, აქედან გამომდინარე, მისი მიმდინარეობისა და შესაძლო მონაწილეების შესახებ კომენტარის გაკეთება ნაადრევია.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ მაიერსს არც ბაზები და არც აეროდრომები არ უთხოვია. ის ექსპერტებიც, რომლებსაც "24 საათი" ესაუბრა, ფიქრობენ, რომ საქართველოს არა აქვს იმგვარი აეროპორტები ან საჰაერო ნავიგაციის სისტემები, რომ ამერიკელები ამით სერიოზულად დაინტერესდნენ. თანაც, საქართველო საკმაოდ მოშორებულია საომარ მოქმედებათა თეატრს. თუმცა, დამხმარე ოპერაციებისათვის ქართული აეროპორტები, როგორც სარეზერვო ვარიანტი, შეიძლება გამოდგეს.

რაც შეეხება ნატო-ში გაწევრიანებას, მაიერსმა განაცხადა, რომ ამ პროცესის ხანგრძლივობა არა დროით ჩარჩოებით, არამედ მიღწეული პროგრესის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თანაც რეფორმები უნდა გატარდეს არა მხოლოდ სამხედრო სფეროში. მინისტრმა თევზაძემაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტეგრაციის პროცესი რთული და დროში გაწელილი იქნება.

ამერიკელი და ქართველი სამხედროების თქმით, ვიზიტის დღის წესრიგი თითქმის მთლიანად ორმხრივი ურთიერთობებისა და, კონკრეტულად, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის განხილვას დაეთმო. მაიერსის განცხადებით, პროგრამა ძალზე წარმატებულად მიმდინარეობს და მასზე დამყარებულ იმედებს სრულად ამართლებს. ოთხვარსკვლავიანი გენერლის ამ განცხადებას სიამოვნებით უკრავდნენ კვერს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთათვის "წვრთნა და აღჭურვა" ბოლო წლების ყველაზე წარმატებულ "პიარ" აქციას წარმოადგენს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კომანდოს ბატალიონი მართლაც მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მხარეები, როგორც საჯარო, ისე კერძო საუბრებში, აცხადებდნენ, რომ ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა კარგად ვითარდება და იგი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დასრულების შემდეგაც არანაკლები ინტენსივობით გაგრძელდება. ბევრის აზრით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

# ლეიბორისტებს ქალაქის ახალი პრემიერი უნდათ, პრემიერი ქალაქს ახალი წლის შესახვედრად ამზადებს

*"მე ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, " – განუცხადა ჟურნალისტებს თბილისის პრემიერმა პარასკევს, ყაზბეგის 34 ნომერში მიმდინარე უკანონო მშენებლობის მონახულებისას, სადაც გია შერაძე, საკრებულოს თავმჯდომარესთან და დანარჩენ წევრებთან ერთად, მივიდა. "ყველაში" თბილისის პრემიერმა ახალი საკრებულოს შემადგენლობა იგულისხმა. "კარგმა ურთიერთობამ," ნაწილობრივ, და საკრებულოს არაერთსულოვნებამ, მეორე მხრივ, შერაძე ერთხელ უკვე იხსნა შესაძლო იმპიჩმენტისგან. საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ლეიბორისტები თბილისის პრემიერის უნდობლობის საკითხის დაყენებას ხელმეორედ გეგმავენ. ამით ისინი შეეცდებიან "სამარცხვინო შავი ლაქა" ჩამოერეცხონ საკრებულოს. აღნიშნული საკითხის ერთხელ უკვე ჩავარდნის შემდეგ, საკრებულოში შემავალ ფრაქციებს, შერაძესთან დაკავშირებით, არანაირი კონსულტაციები არ უწარმოებიათ. ამ საკითხთან დაკავშირებით "24 საათი" საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლებს დაუკავშირდა.*

სოფო ბუკია

თბილისის პრემიერის პერსონა ერთგვარ ინდიკატორად იქცა, რომელმაც საკრებულოს არაერთსულოვნება პირველსავე სხდომაზე გაამჟღავნა. შეგახსენებთ, რომ გია შერაძე გახლავთ თბილისის მთავრობის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელსაც საკრებულო, ჯერჯერობით, ვერ შეელია. კენჭისყრის შედეგად აღმოჩნდა, რომ პრემიერის იმპიჩმენტს საკრებულოს მხოლოდ 22 წევრი უჭერს მხარს. თუ მის წინააღმდეგ საკრებულო 30 ხმას (საკრებულოს წევრთა ორი მესამედი) მოაგროვებდა, გია შერაძე ავტომატურად თავისუფლდებოდა თანამდებობიდან. მისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად კი მხოლოდ 23 ხმა იყო საკმარისი. ახლადშექმნილ საკრებულოში შერაძეს, 22 მოწინააღმდეგესთან ერთად, 22 მომხრე გამოუჩნდა.

რატომ მოხდა ასე?

"ნაციონალები" ამტკიცებენ, რომ, თუ შერაძის უნდობლობის საკითხი საკრებულოში ჯერ კიდევ არ დგას, ამას პრემიერი ლეიბორისტებს უნდა უმადლოდეს.

**"ჩვენი ინფორმაციით, ლეიბორისტების დიდმა ნაწილმა გია შერაძის იმპიჩმენტს მხარი არ დაუჭირა. როგორც ჩანს, მათ ერთმანეთშიც კი არა აქვთ კოორდინაცია,"** – უთხრა "24 საათს" საკრებულოს წევრმა ფრაქცია "ნაციონალებიდან" ირაკლი ოქრუაშვილმა. მისი თქმით, შერაძის იმპიჩმენტის საკითხის ხელახლა დასაყენებლად, ლეიბორისტების სურვილი არ კმარა, საამისოდ აუცილებელია საკრებულოში შემავალმა ფრაქციებმა კონსულტაციები აწარმოონ, რაც დღემდე არ მომხდარა. **"არა მგონია, ეს საკითხი ხვალინდელ სხდომაზე დადგეს,"** – აცხადებს ოქრუაშვილი.

"დემოკრატები" და "ახლები" არაკოორდინირებულობაში, "ლეიბორისტებთან" ერთად, "ნაციონალებსაც" ადანაშაულებენ.

**"თუ შერაძის საკითხი დადგება, ჩვენ თავიდან ბოლომდე ვუერთდებით ლეიბორისტებს. თბილისის მთავრობის იმპიჩმენტს აზრი არა აქვს, თუ დედაქალაქის პრემიერი არ შეიცვალა. არ ვიცი, კიდევ ჩავარდება თუ არა ეს საკითხი, ამ კითხვით იმ ფრაქციებს მიმართეთ, რომლებიც უმრავლესობას ქმნიან საკრებულოში. მათი არაერთსულოვნება ერთხელ უკვე დაფიქსირდა,"** – ამბობს "ახლების" ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე.

ფრაქცია "დემოკრატები," შერაძის საკითხის ხელახლა დაყენების შემთხვევაში, ლეიბორისტებისგან "დამაჯერებელ არგუმენტებს" ელოდებიან. **"თავიდანვე უნდა დავაფიქსირო ჩვენი ფრაქციის პოზიცია: გასაახლებელია დედაქალაქის მთელი მთავრობა. ჩვენ ეს ნათლად გვაქვს გარკვეული, საჭიროა სხვა ფრაქციებიც ასე მოიქცნენ და მერე დააყენონ ეს საკითხი კენჭისყრაზე. შერაძის გარშემო ხომ თავად ლეიბორისტებში და "ნაციონალებში" იყო აზრთა სხვადასხვაობა. საკრებულომ შერაძესთან დაკავშირებით თავისი პოზიცია უკვე გამოხატა. მას შემდეგ კონსულტაციები არ ყოფილა, ბუნებრივია, ეს საკითხი შეიძლება მეორედაც ჩავარდეს, ამდენად მის ახლა დაყენებას აზრი არა აქვს. გვაინტერესებს, რა არგუმენტებისა და მოტივის საფუძველზე აყენებენ ხელახლა ამ საკითხს ლეიბორისტები? საკრებულო არ უნდა იქცეს აკვიატებული სცენარების განმახორციელებელ ორგანოდ,"** – განმარტავს "დემოკრატი" დავით ხუციშვილი. ფრაქცია "მრეწველების" წევრი გურამ საღარაძე აცხადებს, რომ მხარს დაუჭერს ნებისმიერ საკითხს, რაც ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. **"თუმცა, საკრებულოში არიან ფრაქციები, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ და ნებისმიერ საკითხს წყვეტენ. ჩვენ აუცილებლად შევიკრიბებით და ამ საკითხს ღირსეულად გადავწყვეტთ,"** – ამბობს იგი.

თავად ლეიბორისტები დარწმუნებით აცხადებენ, რომ დღევანდელი საკრებულოს დღის წესრიგში პრემიერის საკითხი აუცილებლად დადგება და საბოლოოდ მისი იმპიჩმენტით დაგვირგვინდება. ფრაქცია "ლეიბორისტების" თავმჯდომარე გიორგი გუგავა ამბობს, რომ შერაძის საკითხი საკრებულოს ფრაქციებთან რაიმე "განსაკუთრებულ და საგანგებო" კონსულტაციებს არ საჭიროებს და მისი კიდევ ერთხელ ჩავარდნა საკრებულოს ავტორიტეტზე ძალიან ცუდად იმოქმედებს. **"საკრებულოში შემავალი ყველა ძალა ცალსახად აღნიშნავს, რომ მხარს დაუჭერს შერაძის იმპიჩმენტს. თუ ოფიციალურად ერთს აცხადებენ და ფარული კენჭისყრის დროს სხვა შედეგები ფიქსირდება, ეს, ელემენტარულად, საკუთარი ამომრჩევლის მოტყუებაა. არა მგონია, შერაძის საკითხი კიდევ ერთხელ ჩავარდეს. საკრებულოში შემავალი ფრაქციები თავიანთ თავს არსებული ხელისუფლების ალტერნატივად მიიჩნევენ, რასაც დამტკიცება სჭირდება,"** – სინდისზე შეაგდო გუგავამ საკრებულოს დანარჩენი წევრები.

თავად გია შერაძე, როგორც ჩანს, მერიიდან წასვლას არ ჩქარობს, ყოველ შემთხვევაში, ახალ წლამდე მაინც. პრემიერი უკვე საახალწლო სამზადისშია და ნაძვის ხეებისა და თოვლის პაპების საკითხს აგვარებს.

გუშინ, ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ქალაქის პრემიერმა საახალწლოდ ქუჩების, ვიტრინებისა და მაღაზიების განათება-გალამაზების განკარგულება გასცა. ამ ახალ წელს, რუსთაველისა და გამსახურდიას გამზირების გარდა, შეიძლება, სხვა ქუჩებიც გაანათონ. დედაქალაქის პრემიერმა შესაბამის უწყებებს დეკემბრის დასაწყისიდან პენსიებისა და ხელფასების დაუყოვნებლივ გაცემა მოსთხოვა, რათა **"მოსახლეობა ახალ 2003 წელს მომზადებული, ლამაზ, საახალწლო გარემოში შეხვდეს".** შერაძე თბილისის მოსახლეობას საახალწლო ფეიერვერკებსაც მოუწყობს, რასაც, ალბათ, საკუთარი ფანჯრებიდან საკრებულოს წევრებიც მიადევნებენ თვალს. რაც შეეხება პრემიერის იმპიჩმენტის საკითხს, ის, შეიძლება, საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე არც დადგეს.

ამ სასესიო კვირას საკრებულომ, შესაძლოა, ვიცე-პრემიერების საკითხზე იმსჯელოს. არაოფიციალური ინფორმაციით, პარასკევს თბილისის მერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მთავრობის შემადგენლობას. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ვანო ზოდელავა უკვე აწარმოებს კონსულტაციებს "ნაციონალებთან" და ლეიბორისტებთან ვიცე-პრემიერების კანდიდატურებთან დაკავშირებით. საკრებულომ თბილისის სამივე ვიცე-პრემიერს უნდობლობა გამოუცხადა. ამჟამად, მუხრან მდივანი, დავით ღვინიაშვილი და ვლადიმერ დარჯანია ვიცე-პრემიერების მოვალეობის დროებით შემსრულებლებად რჩებიან. ვანო ზოდელავას უფლება აქვს, საკრებულოს ვიცე-პრემიერების იგივე შემადგენლობა შესთავაზოს, თუმცა, როგორც არაოფიციალურად გახდა ცნობილი, მერს ამ პოსტებისთვის ახალი კანდიდატურები ჰყავს შერჩეული. მერიაში აცხადებენ, რომ ვანო ზოდელავა თბილისის მთავრობის შემადგენლობის შემცირებასაც გეგმავს.

# პოლიციელთა მძევლად აყვანა მოდაში შემოდის

ინგა ალავიძე

თბილისის შერიფთან გუშინ დილიდან მიმდინარე, კახი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებული ოპერატიული თათბირი პოლიციის ჩინოსნებს ჯერ დამთავრებულიც არ ჰქონდათ, რომ საღამოს ექვსი საათისთვის თბილისში ახალი ხმაურიანი დანაშაული მოხდა – მძევლადაყვანის მორიგი კრიმინალური რაუნდი.

ვარკეთილის დასახლების მე-3 მიკრორაიონში მცხოვრებ ხუდოიანების ბინაში საყაჩაღოდ შესულ სამეულს მოულოდნელად ისანი-სამგორის პოლიციის გაძლიერებულმა რაზმმა ალყა შემოარტყა, რის შემდეგაც ყაჩაღებმა ხუდოიანების მთელი ოჯახი – 2 ქალი და მამაკაცი - მძევლად აიყვანეს, საფეთქელზე იარაღმიდებულები ეზოში ჩაიყვანეს და მათ მიერვე სახლში შესვლამდე ეზოში დაყენებულ გატაცებულ მიკროავტობუსში ჩასვეს. თავდამსხმელები პოლიციისგან ხელშეუხებლობის გარანტიას ითხოვდნენ.

ყაჩაღებთან მოსალაპარაკებლად მისული ისანი-სამგორის პოლიციის უფროსი ოთარ ტურაბელიძე და ვარკეთილის დასახლებაში მდებარე ისანი-სამგორის მე-8 განყოფილების უფროსი ვანო წოწონავა მოულოდნელად ყაჩაღთა ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ყაჩაღებთან დიალოგი იმით დასრულდა, რომ გამტაცებლებმა პოლიციელები იარაღის მუქარით მიკროავტობუსში აიყვანეს. თუმცა, ისინი დათანხმდნენ ახლადდატყვევებულთა წინადადებას და პოლიციელებში გაცვლილი ხუდოიანები ტყვეობიდან ლილოში გაათავისუფლეს.

კოლეგების გამოსახსნელად მიკროავტობუსს ადევნებული პოლიციელთა გაძლიერებული რაზმების კორტეჟი ლილოს გადასახვევთან მაშინ შეჩერდა, როცა ტურაბელიძემ და წოწონავამ ერთი თავდამსხმელის განიარაღება მოახერხეს. ანუ, პოლიციელთა მძევლად აყვანის ისტორია, დაახლოებით, ნახევარ საათში მათი გათავისუფლებითა და ერთი კრიმინალის დაჭერით დასრულდა. მიკროავტობუსში მყოფმა მეორე ყაჩაღმა გაქცევა მოახერხა და ლილოს დასახლებას შეაფარა თავი. მანამდე, ვარკეთილის დასახლებაში პოლიციელებს ხელიდან დაუსხლტდათ მეორე ყაჩაღიც.

დავით გიგინეიშვილი - ასე წარუდგინა თავი პოლიციელებს დაპატიმრებულმა ყაჩაღმა. იგი კანონდამცველებმა გუშინვე დაკითხეს ისანი-სამგორის პოლიციის შენობაში და ბრალიც წაუყენეს. ადამიანის გატაცებასა და ყაჩაღობაში ბრალდებული გიგინეიშვილი, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, გვიან ღამით წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

პოლიცია საიდუმლოდ ინახავს დანარჩენი ორი თავდამსხმელის ვინაობას, რომლებსაც გუშინ ღამით ლილოსა და ვარკეთილის დასახლებაში ეძებდნენ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ორი ბაბუს რჩეული

პირველი გვერდიდან

ტების თავისთვის ასამუშავებლად, ადგილობრივ არჩევნებში მარცხნაჭამ "სოციალისტებს" ნამდვილად უღირდათ ისეთი მსხვერპლის გაღება, როგორიც საბურთალოს რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი ზურაბ გუდავაძე გახლდათ და რჩეულიშვილსაც უკან აღარ დაუხევია - არად ჩააგდო კანდიდატის მიერ უკვე დაწყებული სარეკლამო კამპანია და მას კანდიდატურა "მოქალაქეთა კავშირი"-ს კანდიდატის - თემურ გოცაძის სასარგებლოდ მოახსნევინა. მიუხედავად იმისა, რომ თავად "მსხვერპლი" გუშინ იმედგაცრუებას არ იმჩნევდა, პარტიის ლიდერის გადაწყვეტილება მისთვის რომ მოულოდნელი იყო, ამაზე თუნდაც ის სარეკლამო კლიპებიც მოწმობს, რომლებიც სატელევიზიო ეთერში ამ განცხადების შემდეგაც გავიდა - ხარჯი, ჩანს, გაწეული გახლდათ...

ვახტანგ რჩეულიშვილი კი გუშინ გამარჯვების სიხარულს ვერ ფარავდა. მეტიც - ვახტანგ რჩეულიშვილი გუშინ ცენტრსა და რეგიონს შორის მედიატორ-მომრიგებლის როლს ირგებდა და ხმამაღლა აცხადებდა, რომ "ორ ბაბუსთან" შეხვედრამდე თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმაზე სასაუბროდ მზად არ არის. **"მე უნდა შევხვდე საქართველოს პრეზიდენტს, უნდა შევხვდე ბატონ ასლანს... "აღორძინება" არ აპირებს ალიანსის გაფორმებას და თანამშრომლობაში შემოსვლას ამ ეტაპზე, თუმცა იმედი მაქვს, რომ "აღორძინება" და "მოქალაქეები" მივლენ კონსტრუქციულ თანამშრომლობამდე იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ძალისმიერი მეთოდით აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას,"** - აცხადებდა გუშინ ვახტანგ რჩეულიშვილი და ამით გარკვეულ მინიშნებასაც აკეთებდა გარანტიებზე, რომელსაც, ცხადია, იგი ორი ლიდერისგან მოითხოვს.

## პარტიული სახეების დეფიციტი

ვახტანგ რჩეულიშვილმა ბოლო პერიოდში მოახერხა და საჭირო ფიგურა გახდა შევარდნაძისთვის და ჟორბენაძისთვისაც კი, რომელთაც საპარლამენტო ძალაუფლების განმტკიცებაში ფასდაუდებელი დახმარება გაუწია.

რომ არა გამოუვალი მდგომარეობა, ედუარდ შევარდნაძე არ დაიწყებდა რჩეულიშვილის ფრთიან ფრაზას, წარმოთქმულს წინა საარჩევნო კამპანიების დროს, და არც ავთანდილ ჟორბენაძეს მოუწევდა პარტიაში თუ ბლოკში შეგუებოდა რჩეულიშვილს.



ავთანდილ ჟორბენაძემ და ვახტანგ რჩეულიშვილმა ბრიფინგი გამართეს.

ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც საქართველოს პარლამენტში საკუთარი პარტიის სახედ ვიტალი ხაზარაძე დარჩა, აშკარად სჭირდებოდა პოლიტიკოსი, რომელიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, საჭიროებისა და ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავებას მოახერხებდა.

ცხადია, რომ "მოქალაქურმა" პარტიებმა ამ ფუნქციის შესრულება ვერ შეძლეს. მათ ვერ შეძლეს დღევანდელ პარლამენტში თავად ერთი ვიცე-სპიკერის პოსტის მოპოვებაც კი და დღეს პროშევარდნაძისტულ ფრაქციათაგან ყველაზე მაღალი საპარლამენტო თანამდებობა სწორედ ვახტანგ რჩეულიშვილს აქვს.

ამ სიტუაციაში უკანა პლანზე იწევს "განახლებული მოქალაქეების" ყველა ის სახე, რომელიც შევარდნაძემ გაზაფხულზე წამოსწია.

მამალაძესა და მის გუნდს, ავთანდილ ჟორბენაძის პარტიის სათავეში მოსვლისთანავე, შეეზღუდა გავლენა, რომელიც ჟვანიასთან დაპირისპირების პერიოდში ჰქონდა.

ამიტომ მოულოდნელი სულაც არ იყო, რომ ვიტალი ხაზარაძემ "მოქალაქეებისა" და სოციალისტების ერთობის შესახებ ჟურნალისტებისგან შეიტყო და "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ **"ლაპარაკი გაერთიანებაზე კი არა, იმაზე მიდის, რომ საბურთალოს რაიონში ეს ორი პარტია ერთი კანდიდატურით გამოდის".** მომავალ არჩევნებში ერთიანი სიით გამოსვლის და ამ სიაში "ძველისძველი მოქალაქეების" უკანა პლანზე გადაწევასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ **"ძველი კადრები თავის ადგილს არ დათმობენ",** ხოლო ვახტანგ რჩეულიშვილის პერსონასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე საერთოდ უარი თქვა.

"სოციალისტთა" ლიდერთან შედარებით, კანცელარიისთვის გაცილებით მისაღები ფიგურაა დავით სალარიძე. სხვათა შორის, მისი კანდიდატურის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ჯერ კიდევ ნინო ბურჯანაძის არჩევის წინ საუბრობდნენ, თუმცა მაშინ ძალთა ბალანსი პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარისკენ გადაიხარა და ამ მიმართულებით თავად დავით სალარიძესაც არ უაქტიურია.

ბოლო პერიოდში თავად პარლამენტშიც (გაიხსენეთ "კაცების შეხვედრა") და მის გარეთაც (შეხვედრა ამომრჩეველთან ოპერაში) დავით სალარიძის გააქტიურება არ გახლავთ შემთხვევითი ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ თავად ბატონი დავითი სამომავლო პოლიტიკურ ალიანსებზე ჯერ არ საუბრობს და აცხადებს, რომ ამის დრო გაზაფხულზე დადგება, როცა პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნება-არდაფუძნების საკითხი გადაწყდება, ცხადია, რომ მასზე ხელისუფლება აქცენტს კიდევ გააკეთებს. ოღონდ ესაა - ბოლო დღეებში მის სახელს უფრო თბილისის მერის თანამდებობის კონტექსტში ახსენებდნენ. და კიდევ - მას, ჯერჯერობით, არ ჰყავს საკუთარი მზა პოლიტიკური ძალა, რომელიც დასაყრდენად გამოადგებოდა.

შედეგად, შევარდნაძეს დღეს პარლამენტში არ დარჩა სხვა არჩევანი, გარდა არასტაბილური პოლიტიკური მისწრაფებების, მემარცხენე და პრორუსული ორიენტაციის ვახტანგ რჩეულიშვილისა.

შევარდნაძე დღეს, ხელისუფლების შენარჩუნების გამო, ყველა ამ კომპრომისზე წასვლისთვის მზად აღმოჩნდა და რჩეულიშვილმაც სცადა, ეს მომენტი ეფექტურად გამოეყენებინა.

## გარიგება

ვახტანგ რჩეულიშვილს, ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის მოპოვება სურს.

პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის საკუთარ ხელში აღება სურს საქართველოს პრეზიდენტსაც, რომელსაც, საკანონმდებლო ხელისუფლების სათავეში პრაქტიკულად უმართავი და მაღალრეიტინგიანი ნინო ბურჯანაძის ყოფნა, უკვე სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

ამიტომაც ქმნიან არასტაბილურ ფონს პროშევარდნაძისტული ფრაქციები, აგდებენ კვორუმებს ბიუროზე და თავად სხდომებზე; ცდილობენ, ჩაშალონ პარლამენტის მუშაობა, მოახდინონ მისი დისკრედიტება და შემდეგ პასუხისმგებლობა პარლამენტის თავმჯდომარეზე გადაიტანონ.

მიუხედავად იმისა, რომ არაოფიციალურ უმრავლესობაში მყარად აქვთ დამკვიდრებული ადგილი "მრეწველებს", ოფიციალურად სახელისუფლებო უმრავლესობაში გაერთიანებისთვის ისინი მზად არ არიან, ანუ მზად არ არიან სახელისუფლებო პასუხისმგებლობის ტვირთის ასაღებად. ყოველ შემთხვევაში, გუშინ "24 საათთან" საუბარში ასეთი შესაძლებლობა კატეგორიულად უარყვეს "მრეწველთა" ფრაქციის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ, ამავე ფრაქციის წევრმა, ლიბერალური პარტიის დამფუძნებელმა ვახტანგ ხმალაძემ, იგივე აზრს იზიარებს დავით სალარიძეც.

"მოქალაქეები" და "სოციალისტები", "მრეწველთა" გარეშე, დიდი სურვილისა და აქტიური მცდელობის მიუხედავად, უბრალო უმრავლესობის შექმნასაც ვერ მოახერხებენ პარლამენტში, თუ... არ შედგა გარიგება "აღორძინებასთან", რაზე მინიშნებაც გუშინ ვახტანგ რჩეულიშვილმა საკმაოდ ნათლად გააკეთა.

ესოდენ აშკარად ამის გაკეთება სოციალისტთა ლიდერს საკუთარი პერსონისა და როლის წამოწევისთვის დასჭირდა, თუმცა, ამ მცდელობას "აღორძინება" არ მისალმებია.

ეჭვი ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული გარიგების რეალურობის თაობაზე ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა "აღორძინებამ" საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი მოითხოვა და ამ მოტივით ავთანდილ ჟორბენაძის პასუხისმგებლობის საკითხისათვის მხარის დაჭერაზე უარი თქვა, მაგრამ რჩეულიშვილის მიერ გაკეთებულმა პირდაპირმა და გახსნილმა მინიშნებამ "აღორძინება" გააღიზიანა.

რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, რას ეტყვის "კონსულტაციებზე" ასლან აბაშიძე შუამავლად მოვლენილ "მთავარ სოციალისტს". "აღორძინების" ფრაქციის ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ კი გუშინ "24 საათთან" საუბარში რჩეულიშვილის მისამართით რისხვა აფრქვია და განაცხადა, რომ **"შევარდნაძე ყველაფერს აკეთებს "აღორძინების" ბლოკის დასაშლელად, რაც "ტრადიციონალისტებისა" და "სოციალისტების" ქმედებებში გამოიხატება; ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის საკმარისი ხმები არ მოგროვდეს; ასუსტებს "აღორძინებას", რომელიც ერთადერთი რეალური ოპოზიციაა პარლამენტში";** მან ასევე აღნიშნა, რომ **"მორიგებას, თუ საჭირო იქნა, შუამავლების გარეშეც მოახერხებენ..."** და თქვა, რომ **"მათ მაგივრად საუბრის უფლება არავის აქვს".**

ეს, სავარაუდოდ, იმის ნიშანია, რომ ოფიციალური საპარლამენტო უმრავლესობის შექმნაში "აღორძინება" "მოქალაქურ" და "სოციალისტურ" სურვილებს არ აჰყვება, თუმცა, ეს სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ცალკეულ საკითხებში, მაგალითად, იმავე პარლამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირებულ საკითხში, "აღორძინება" არ აღმოჩნდება პროშევარდნაძისტული ძალების თანამოაზრე (რა თქმა უნდა, საკუთარი, ოპოზიციური მოტივებით). არც იმის გარანტია არსებობს, რომ მომავალ არჩევნებზე "ფარული", უფრო სწორად - არაოფიციალური წინასაარჩევნო გარიგების მომსწრე არ გავხდებით.

და ბოლოს - დღეს ბრძოლა ხელისუფლებისთვის, მათ შორის, საპარლამენტო ხელისუფლებისთვისაც, ისეთ ფაზაშია შესული, რომ უახლოეს პერიოდში განვითარებული მოვლენები უკვე კითხვის ნიშნებს აღარ დატოვებს.

# ერთგული ადმინისტრაციით მართული "სამართლიანი არჩევნები"

პირველი გვერდიდან

საბურთალოზე - ვითარება უფრო და უფრო იძაბება. როგორც ამ არჩევნებში მონაწილე კანდიდატები აცხადებენ, რაიონების გამგებლები, რომლებიც, როგორც წესი, სწორედ მმართველი პარტიის წევრები არიან, არაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ საარჩევნო გარემო "კონკურენტული" გახადონ.

ჩვენთან საუბრისას "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტიის კანდიდატებს გამგეობები განსაკუთრებული მონდომებით ებრძვიან (როგორც ცნობილია, გივი თარგამაძე კენჭს საბურთალოს რაიონში იყრის, ხოლო ზვიად ძიძიგური – სამტრედიაში).

ვანო მერაბიშვილი განსაკუთრებულ პრეტენზიებს მოქალაქეთა კავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქის მისამართით გამოთქვამს. იგი აცხადებს, რომ საუბნო კომისიებში თავმჯდომარეებს და მდივნებს საიდუმლო ვუთარებაში ირჩევენ და ამ პროცესებში "ნაციონალების" მონაწილეობას ყველანაირად ზღუდავენ. პარტიის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი კი აცხადებს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ, არჩევანი მოსახლეობის მაგიერ უკვე გააკეთა და უპირატესობა მეორე კანდიდატს, ყოფილ პოლიციელს, დავით თევზაძეს მიანიჭა. აქედან გამომდინარე, მოქალაქეთა კავშირის მოწოდება "ნაციონალებმა" ლამის დაცინვად აღიქვეს.

მმართველი პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვიტალი ხაზარაძე, არჩევნებამდე დარჩენილი დღეების სიმცირის მიუხედავად, დაჟინებით ითხოვს საარჩევნო პროცესებში პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ჩართვას. იგი აცხადებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები კანონს ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ და პარლამენტი ამ პროცესებში უნდა გაერკვეს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ კომისიის თავმჯდომარე სწორედ სოციალისტი ზაქარია ქუცნაშვილია, მაშინ ვიტალი ხაზარაძის ასეთი "გარჯა" ბავშვისთვისაც გასაგები ხდება.

# საარჩევნო მარათონის სტარტი უკვე მიცემულია

პირველი გვერდიდან

ძალისხმევას არ იშურებს: იქნება ეს ცალკეულ რეგიონებში ახალი ორგანიზაციების დაფუძნება, თუ უკვე არსებულში საშუალო რგოლის მუშაკების (მაგალითად, სკოლის დირექტორების) არც თუ ნებაყოფლობითი მიზიდვა. გაიხსენეთ ისიც, მუნიციპალური არჩევნებამდე, რაოდენ აქტიურად ერეოდა სახელმწიფო მინისტრი საარჩევნო პერიპეტიებში; დაუმატეთ ამას მისი გავლენა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ცხადი გახდება, რომ 2002 წლის 2 ივნისს "მოქალაქეებისთვის" მოკვეთილი თავის ადგილზე მომავალი არჩევნებისთვის ახალ-ახალი თავები გაჩნდება.

მართალია, სმკ-სა და სოციალისტების გაერთიანებას "მრეწველთა" ხელმძღვანელობა გულგრილად შეხვდა, მაგრამ მათი ინდიფერენტულობა მოჩვენებითია: თუ არა ქვეყნის დღევანდელ მმართველ ძალასთან მიკედლება, სხვაგვარად თოფაძე-ტყემალაძის "კომპანიას" 2003 წელს გაუჭირდება არათუ წინა არჩევნებში ნაჩვენები შედეგის გამეორება, არამედ საერთოდ - შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ საკანონმდებლო ორგანოში სამწლიანი მოღვაწეობით "მრეწველებმა" თავის ელექტორატს იმედი გაუცრუეს და ეს ადგილობრივი არჩევნების შედეგებში უკვე აისახა. მათი მაჩვენებლები (განსაკუთრებით, რეგიონებში) საგრძნობლად გაუარესდა. ამდენად, "მრეწველებმა" საკუთარ თავს აღარ დაუტოვეს სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას შეეკრან. გამორიცხული არ არის, რომ სმკ-სოციალისტების ტანდემს ისინი ღიად არ შეუერთდნენ და კვლავ ცალკე პოლიტიკურ ძალად დაფიქსირდნენ იმის გარანტიით, რომ ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციისგან მხარდაჭერა ექნებათ.

რაც შეეხებათ "სოციალისტებს", შევარდნაძის "ოჯახში" მათი დაბრუნება, ასევე, იძულებითი ნაბიჯია. იმავე 2 ივნისის არჩევნებმა კარგად წარმოაჩინა ვახტანგ რჩეულიშვილის გუნდის რეალური ძალა (უფრო სწორედ, უძლურება) და ამიტომაც ვარდისფერთა შეთხელებულმა ლაშქარმა "ისტორიის სანაგვისკენ" იბრუნა პირი.

თუ "ტრიადას" მოკლედ დავახასიათებთ, შეიძლება ითქვას, რომ მისი პლუსი სახელისუფლებო წყაროებით კვებაა, ხოლო მინუსი - საზოგადოების თვალში შელახული ავტორიტეტი.

# ტყეშელაშვილი დესტაბილიზაციით იმუქრება

მაია მოსიაშვილი

რუსთავის მერიამ, პირდაპირი გზით ელეტროენერგიის მისაღებად, ენგურჰესთან გააფორმა ხელშეკრულება, რისთვისაც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისაგან საგანგებო ნებართვა იყო საჭირო. გუშინ მერიაში საბითუმო ბაზრის დირექტორის ალბერტო სოლისის წერილი მიიღეს, სადაც ის დელიკატურად ამბობს უარს ასეთი ხელშეკრულების გაფორმებაზე.

**"ელექტროენერგიის კრიზისი საქართველოში ეროვნული პრობლემაა, რომელიც ვერ გადაწყდება პირდაპირი ხელშეკრულების გზით, რადგან არავის შეუძლია ელექტროენერგიის მოწოდების გარანტირება,"** - წერს სოლისი.

ასეთმა პასუხმა რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი მდგომარეობიდან გამოიყვანა. მისი განცხადებით, მას ძალიან კარგად ესმის, რომ ელექტროენერგიის პრობლემა მხოლოდ რუსთავს არ აქვს, თუმცა ისიც დაუშვებლად მიაჩნია, ხელისუფლება მხოლოდ თბილისის განათებაზე რომ ფიქრობს და რეგიონების ჩაბნელება არ ადარდებს.

**"ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ საქართველო მხოლოდ თბილისია და იქ დესტაბილიზაციის ეშინიათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნაკლები დესტაბილიზაციის მოწყობა შეგვიძლია, ძალიან ცდება. მე თვითონ ჩავჯდები ავტობუსში, გავუძღვები ხალხს და კანცელარიის წინ მოვაწყობთ აქციას,"** - იმუქრება ტყეშელაშვილი და თავის გაცხარებას იმით ხსნის, რომ რუსთავს ელექტროენერგია ხშირად მთლიანად ეთიშება, რაც ქალაქის სრულ პარალიზებას იწვევს.



# ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

*გუშინ, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში, ენგურჰესის დირექტორმა ლევან მებონიამ, გერმანულ-ავსტრიული კონსორციუმის "ფოიტ-სიმენსისა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ენგურჰესის ელექტრომექანიკური ნაწილის რეაბილიტაციის პროექტს.*



*პროექტის ხელმოწერა საზეიმოდ აღინიშნა.*

ნინო ნარჩემაშვილი

**"ენგურჰესის რეაბილიტაციით ქართული ენერგეტიკა ისევ აღორძინდება. დიდი მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო პროექტის განხორციელებაში. დღეს ნამდვილად ბედნიერი დღეა",** - განაცხადა ხელმოწერის ცერემონიალზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ.

ენგურჰესზე ელექტრომექანიკური ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები გუშინვე დაიწყო, მაგრამ ბედნიერ დღემდე ჯერ შორს არის. ენგურჰესის ერთი აგრეგატის რეკონსტრუქციას ოცი თვე დასჭირდება, დანარჩენი ორი აგრეგატის აღდგენა და ჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოები სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება. პერსპექტივა კი საკმაოდ შთამბეჭდავია, რადგან ენგურჰესის დირექტორის ლევან მებონიას განცხადებით, **"ენგურჰესის ამუშავებით შესაძლებელი გახდება არა მარტო საქართველოს უზრუნველყოფა ელექტროენერგიით, არამედ აზერბაიჯანის, რუსეთისა და ირანის ენერგოსისტემებთან თანამშრომლობის საშუალებაც მოგვეცემა."**

ენგურჰესის რეაბილიტაციის აუცილებლობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჰესზე ახლახან მომხდარმა ავარიამ, რომელმაც, ფაქტობრივად, მწყობრიდან გამოიყვანა ქვეყნის მთელი ენერგოსისტემა.

რაც შეეხება სახსრებს, ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის ევროკომისიამ ათი მილიონი ევროს ოდენობის გრანტი, ხოლო ევრობანკმა 32,7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი გამოყო; საქართველოს მხრიდან პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანადაფინანსების წილი თოთხმეტი მილიონი დოლარია.

## მოკლედ

**თბილისი.** სააქციო საზოგადოება "თბილგაზი" დედაქალაქში გაზმომარაგების აღდგენით სამუშაოებს ამ კვირის ბოლოს დაასრულებს. ამჟამად კომპანიის ტექნიკოსთა სამი ჯგუფი მუშაობს, რომლებიც გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთისა და ისანი-სამგორის რაიონებში აღდგენით სამუშაოებს ახორციელებენ. ამის შესახებ "ინტერ-პრესს" "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა თენგიზ არშილავამ აცნობა.

უკვე დაიწყო და დღეს დასრულდება ვაშლიჯვრის, ბაგების, დიდი დიღმის, გლდანის I და II მიკრორაიონების, სანზონის დასახლების, ნინოშვილის, ჩიტაძის, მარჯანიშვილის, ახალციხის, ერისთავის, გროზნოს ქუჩების გაზმომარაგება. დღესვე ბუნებრივ აირს მიიღებენ ვარკეთილის მასივში, აგრეთვე ჯავახეთის ქუჩიდან მოსკოვის პროსპექტამდე მდებარე საცხოვრებელი კორპუსები. "თბილგაზი" გაზმომარაგების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას ხვალ ავლაბარში, ვაზისუბანში და ნაძალადევში გეგმავს. "თბილგაზი," უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მომხმარებელს სთხოვს, გაზის ონკანები გადაკეტონ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" ერთ-ერთი მონაკვეთის მარშრუტს ცვლიან. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, 500-კილოვოლტიანი ხაზის ერთ-ერთ მონაკვეთზე, კერძოდ კი, სოფელ ტობარში, ხაზის უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, გადააქვთ ერთ-ერთი ანძა. მარშრუტის შეცვლის სამუშაოები კვირის ბოლომდე დასრულდება, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელება. რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" ჩართვა გასულ კვირასაც იგეგმებოდა, თუმცა, აღნიშნული სამუშაოების გამო, გადაიდო. შეგახსენებთ, რომ "კავკასიონით" დღე-ღამეში 100 მეგავატი ელექტროენერგიის შემოტანა იგეგმება, რაც ენერგოსისტემის მეტ-ნაკლებად ნორმალურ მუშაობას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ხაზი, დაახლოებით, 15-ჯერ დააზიანა. გარდა ამისა, "კავკასიონს" დიდი ზიანი წყალდიდობამაც მიაყენა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ქონების მართვის სამინისტრო რუსული კომპანია "იტერას" მიერ წარმოდგენილ სააქციო საზოგადოება "აზოტის" განვითარების ბიზნეს-გეგმას იწუნებს. როგორც "კავკას-პრესს" სარწმუნო წყარომ აცნობა, "იტერას" ბიზნეს-გეგმის უარყოფითად შეფასების საფუძველი არსებობს, ვინაიდან მიუღებელია ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალების 20 წლით რესტრუქტურიზაცია. გარდა ამისა, მასში საუბარი არაა ინვესტიციების განხორციელებასა და საწარმოს რეაბილიტაციისათვის ახალი ინვესტიციების მოზიდვაზე. "საქმე ის არის, რომ საწარმო რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობს, "იტერა" კი რეაბილიტაციის ახალ წყაროებზე დუმს." შეგახსენებთ, "იტერამ" სააქციო საზოგადოება "აზოტის" განვითარების ბიზნეს-გეგმა ქონების მართვის სამინისტროს 28 ოქტომბერს წარუდგინა. სამინისტროს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საინვესტიციო ტენდერის გზით პრივატიზებას ემხრობა. "იტერამ" "აზოტთან" დაკავშირებით განაცხადი აგვისტოშიც შეიტანა სამინისტროში, თუმცა მაშინ მას ბიზნეს-გეგმა და საფინანსო უზრუნველყოფის დოკუმენტაცია აკლდა. რაც მთავარია, ამჟამად "იტერა" ქარხნის ოფიციალური პარტნიორია, რომელიც წარმოებული პროდუქციის - ამონიუმის გვარჯილის რეალიზაციაზეა პასუხისმგებელი. აღსანიშნავია, რომ ამ მისიას "იტერა" წარმატებით ვერ ასრულებს, რის გამოც აგვისტოდან გაუარესებულია ქარხნის ეკონომიკური მაჩვენებელი. შეგახსენებთ, რომ სს "აზოტს" 60 მილიონ დოლარზე მეტი დავალიანება დაუგროვდა. როგორც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე აცხადებს, საწარმოში 6 მილიონი დოლარის ჩადება მის ბრუნვას 150 მილიონ დოლარამდე გაზრდის და საწარმოს ფეხზე დააყენებს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მარეგულირებელი ფედერალური კომისია (U.S. FERC) ენერგოკომპანიებს - "ეი-ი-ესსა" და "ვილიამსს" ფინანსურ მაქინაციებში და ელექტროენერგიის ფასების ხელოვნურად გაზრდაში ადანაშაულებს. ჟურნალმა "THE WALL STREET JOURNAL EUROPE"-მა, გასული კვირის დასაწყისში გამოქვეყნებულ წერილში, "ვილიამსსა" და "ეი-ი-ესს" შორის არსებული საიდუმლო გარიგების დეტალები გამოავლინა. ენერგეტიკის მარეგულირებელი ფედერალური კომისია ამ ენერგოკომპანიებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც კალიფორნიის დამოუკიდებელი სისტემური ოპერატორის (ISO) საჩივარი მიიღო. ISO კალიფორნიის შტატის ელექტროქსელს მართავს. ფედერალური კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში "ვილიამსისა" და "ეი-ი-ესის" სატელეფონო საუბრებიდან ნაწყვეტებს შეიცავს. "ეი-ი-ესი" არლინგტონის, ვირჯინიისა და კალიფორნიის ზონაში ექსპლუატაციას უწევდა ორ ელექტროსადგურს, რომელთა მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას მთლიანად "ვილიამსი" ყიდდა. სატელეფონო საუბრები კალიფორნიაში 13-თვიანი ენერგეტიული კრიზისის გამომწვევ ელექტროენერგიის საბითუმო ფასის აწევამდე რამდენიმე კვირით ადრე, 2000 წლის აპრილსა და მაისში დაფიქსირდა.

"ფედერალური კომისიის ანგარიში იმ დიდი ენერგოკომპანიების მანიპულაციებს ააშკარავებს, რომლებიც 90-იანი წლების ბოლოს ელექტროენერგიის დარეგულირებული ბაზრისგან სარგებლის მიღების მიზნით კალიფორნიას შეესივნენ... საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ ამას წინათ დიდმა ფედერალურმა ჟიურიმ ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლები გამოიძახა, რათა გაერკვია, როგორ მუშაობდნენ ისინი ერთობლივად ფასების ხელოვნურ აწევაზე. გამოძახების უწყებები მიიღეს "ეი-ი-ესმაც" და "ვილიამსმაც," - ნათქვამია "THE WALL STREET JOURNAL EUROPE"-ის ს პუბლიკაციაში. **"კავკას-პრესი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 20 – 26 ნოემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.639 | 0.6335 | 0.0052 |
| US$ | 1.5651 | | 0.9913 | 0.0081 |
| €uro | 1.5785 | 1.0087 | | 0.0082 |
| ¥en | 192.2 | 122.78 | 121.76 | |

### 2002 წლის 26 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1606 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4191 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4670 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1750 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3818 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1772 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0683 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4446 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3714 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0795 ლარი |

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მარშრუტი არ შეიცვლება

## სტივენ მანმა გარანტიები საქართველოს პრეზიდენტისგან მიიღო

პირველი გვერდიდან

"ბორჯომის მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ მილსადენის დაზიანების რისკის გამორიცხვა შეუძლებელია. **"ეს რისკი ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს და თუ მოხდება მილსადენიდან ნავთობის გაჟონვა, ეს ნიშნავს, რომ ბორჯომის მინერალური წყლების ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება,"** – ამბობს ხაზარაძე და იქვე მიუთითებს, რომ, სამწუხაროდ, მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ შეუძლია. **"ჩვენ მხოლოდ პოზიციის დაფიქსირება შეგვიძლია. მთავრობა, ალბათ, მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას და მილსადენის არსებულ მარშრუტს შეინარჩუნებს. ჩვენ არ ვაპირებთ პოზიციის შეცვლას და მაქსიმალურ გარანტიებს მოვთხოვთ "ბი-პისაც" და საქართველოს ხელისუფლებასაც,"** - აცხადებს იგი.

მილსადენის პოლიტიკურ მნიშვნელობას აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი.



*სტივენ მანი პრეზიდენტთან შეხვედრაზე.*

როგორც სტივენ მანი აცხადებს, იგი მოხარულია, რომ საქართველოს მთავრობას კარგად ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარებისა და დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციის პროცესში. **"თუ ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა, ამას მოჰყვება ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტის მშენებლობაც. გარდა ამისა, ამ მილსადენების მშენებლობა ხელს შეუწყობს საქართველოში სხვა ინვესტიციების მოზიდვასაც,"** – აცხადებს სტივენ მანი.

ამერიკელმა სტუმარმა ცალსახად განაცხადა, რომ აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს მილსადენის არსებულ მარშრუტს და იგი საუკეთესო ვარიანტად მიაჩნია. რაც შეეხება ბორჯომის ხეობაში მოსალოდნელ ეკოლოგიურ საფრთხეს, მანი აცხადებს, რომ ბრიტანული კომპანია "ბი-პი" მზადაა, აღნიშნულ ზონაში უსაფრთხოების დამატებითი ზომები მიიღოს.

სტივენ მანის ვიზიტის ძირითადი მიზანი საქართველოს მთავრობისაგან იმ გარანტიების მიღება გახლდათ, რაც მშენებლობის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში დაწყებასა და დამთავრებას ითვალისწინებს. მან უშუალოდ პრეზიდენტისაგან მიიღო პირობაა, რომ მილსადენის მარშრუტის ცვლილება არ მოხდება. დღეისათვის კი სტივენ მანს დაგეგმილი აქვს კომპანია "ბი-პის" წარმომადგენლებთან შეხვედრა, სადაც უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღების საკითხებს განიხილავენ.

# „ემ-ბი-ჯი" აქციონერებს იცვლის

გვანცა კვინიკაძე

*გასული სექტემბრიდან "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი" (ემ-ბი-ჯი) ქვეყანაში მოქმედი ერთადერთი კომერციული ბანკია, რომლის ყველა დამფუძნებელი უცხოური საფინანსო ინსტიტუტია. აქციონერთა ასეთი სტრუქტურა მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც "ემ-ბი-ჯის" დამფუძნებელმა ორმა ქართულმა ბანკმა - "თი-ბი-სიმ" და "ინტელექტბანკმა" თავიანთი წილები, შესაბამისად, 17 და 2 პროცენტი, საინვესტიციო კომპანიას "საერთაშორისო მიკრო-ინვესტიციები" (IMI) მიჰყიდეს. მხარეები ამ გარიგებით კმაყოფილნი არიან.*

"ემ-ბი-ჯის" აქციონერთა შორის წილების განაწილების ამჟამინდელი სტრუქტურის თანახმად, საერთაშორისო მიკრო-საინვესტიციო კომპანია (IMI) - 29 პროცენტს, გერმანიის განვითარების სახელმწიფო ბანკი (KfW) - 20 პროცენტს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) - 16 პროცენტს, კომერცბანკი (Commerzbank) - 15 პროცენტს, ნიდერლანდების განვითარების სახელმწიფო ბანკი (FMO) - 10 პროცენტს, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) კი 10 პროცენტს ფლობს. "ემ-ბი-ჯის" დირექტორის ფილიპ ზიგვარტის განცხადებით, ბანკის აქციონერთა შემადგენლობის ასეთი ცვლილების უმთავრესი მიზეზი უცხოელ აქციონერთა მხრიდან "ემ-ბი-ჯის" განვითარებისთვის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის სურვილი იყო. გარდა ამისა, KfW-ს, IFC-ს, EBRD-სა და IMI-ს აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ერთობლივად აქვთ დაფუძნებული კომერციული ბანკები. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქართული ბანკების წილის გამოსყიდვა, "ემ-ბი-ჯი"-ში აღმოსავლეთევროპული ბანკების მსგავსი აქციონერთა სტრუქტურის შექმნასაც ემსახურებოდა, რაც, ზიგვარტის თქმით, გაცილებით გააადვილებს ბანკში ახალი კაპიტალის მოზიდვას.

"ემ-ბი-ჯის" დირექტორი დარწმუნებულია, რომ ბანკის აქციონერთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილება მხარეებისთვის ხელსაყრელი იყო, რადგან ქართულ კომერციულ ბანკებს ამ ეტაპზე სხვა პრიორიტეტები გაუჩნდათ. "თი-ბი-სი ბანკის" პრეზიდენტის ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, "თი-ბი-სიმ" "ემ-ბი-ჯიში" თავისი 17-პროცენტიანი წილის გაყიდვა იმ მოტივით გადაწყვიტა, რომ "ემ-ბი-ჯი", რომელიც დაფუძნებისას მცირე სესხების გაცემაზე იყო ორიენტირებული, სამწლიანი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ნელ-ნელა დაიწყო იმავე საბანკო სეგმენტზე (მსხვილი კრედიტების) შესვლა, რომელიც "თი-ბი-სის" უმთავრეს სამოქმედო არეალად მიიჩნევა. ამის გათვალისწინებით, მომავალში ერთგვარი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, "თი-ბი-სიმ" თავისი წილი IMI-ს მიჰყიდა და გარიგებითაც და თავისი გადაწყვეტილებითაც კმაყოფილია.

რაც შეეხება მეორე ქართულ კომერციულ ბანკს "ინტელექტბანკს", მას "ემ-ბი-ჯიში" გაცილებით ნაკლები – ორპროცენტიანი წილი ჰქონდა და მასზე უარი "თი-ბი-სისგან" ოდნავ განსხვავებული მიზეზით თქვა. ბანკის საკრედიტო დირექტორის ავთანდილ წერეთლის განცხადებით, "ინტელექტბანკმა" "ემ-ბი-ჯის" აქციათა პაკეტი საკუთარი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე გაყიდა და, თანაც, მეტად ხელსაყრელად.

თავის დროზე მის კაპიტალში ქართული ბანკების მონაწილეობით "ემ-ბი-ჯი" კმაყოფილია. იმის მიუხედავად, რომ ჯერ არ მოხსნილა დღის წესრიგიდან ამ ბანკისა და პიტერ შოუს მიერ დაფუძნებული "აგრობიზნესბანკის" გაერთიანების საკითხი, რასაც ევროგაერთიანება "აგრობიზნესბანკის" პრივატიზების ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავს, "ემ-ბი-ჯიში" აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში მათი აქციონერების სტრუქტურის ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

# ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა კიდევ ცამეტი მონოპოლისტი გამოავლინა

*ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა, მიმდინარე წლის პირველი ექვს თვეში ცხრა ბაზარზე ჩატარებული მუშაობის შედეგად, ცამეტი მონოპოლისტი კომპანია გამოავლინა. ამ ეტაპზე ანტიმონოპოლიურ სამსახურს უკვე შესწავლილი აქვს 36 ბაზარი. ბაზრების შესწავლის შედეგად, ანტიმონოპოლიური სამსახური წელიწადში ორჯერ ასახელებს მონოპოლისტების ვინაობას. ერთხელ - ოქტომბერ-ნოემბერში, მეორედ - თებერვალ-მარტში.*

სოფიკო ოხანაშვილი



*არმაზ თავაძე*

ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის არმაზ თავაძის ინფორმაციით, მათ შეისწავლეს სპირტის, კომპიუტერული ტექნიკის, ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის, ფქვილის, მარილის, მაკარონი-ვერმიშელის, მაიონეზის, საშენი მასალებისა და სალექი რეზინის ბაზრები; მონოპოლისტი კომპანიები მხოლოდ ექვს ბაზარზე გამოავლინეს.

ანტიმონოპოლიური სამსახურის ინფორმაციით, სპირტის ბაზარზე ორი მონოპოლისტია: სააქციო საზოგადოება "ნატურალპროდუქტი" და სააქციო საზოგადოება "კახალკო"; ასევე ორი მონოპოლისტი გამოავლინეს სალექი რეზინის ბაზარზეც - "მეგაკო" და შპს "კევი ჯორჯია". მაზუთის ბაზარზე აღმოჩენილი მონოპოლისტია შპს "ბაკურიძე და კომპანია".

დაზღვევის ბაზარზე, სხვადასხვა სახეობის მიხედვით, მონოპოლიურ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტად ხუთი კომპანია დაასახელეს. მათ შორისაა: "იმედი L" და "ალდაგი", რომლებიც, არმაზ თავაძის თქმით, დაზღვევის ოთხ სახეობაში გამოვლინდნენ მონოპოლისტებად.

მონოპოლისტის "ტიტულის" გარეშე დარჩნენ თხევადი აირის, ჩვილ ბავშვთა კვებისა და ბავშვთა ჰიგიენური საფენების ბაზრებზე მოქმედი კომპანიები. მიუხედავად ამისა, დადგენილია იმ კომპანიების ვინაობაც, რომლებიც აღნიშნულ ბაზრებზე გამოკვეთილად ლიდერობენ. ანტიმონოპოლიური სამსახურის ინფორმაციით, თხევადი აირის ბაზარზე პირველ ადგილზეა კომპანია "ენერგოაირი", საბავშვო კვების პროდუქტების ბაზარზე – "ემ-დი ჯგუფი", "ჰუმანა ჯორჯია", "ჯორჯია ინფო სერვისი", ბავშვთა ჰიგიენური საფენების ბაზარზე – "არტი".

ჯერჯერობით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოვლენილ კომპანიებს ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მინიჭებული მონოპოლისტის "ტიტული" არ გაუპროტესტებიათ. თუმცა, 2002 წლის დეკემბერში ანტიმონოპოლიური სამსახურის წინააღმდეგ კიდევ ერთი სასამართლო პროცესი დაიწყება. ამჯერად, ანტიმონოპოლიურ სამსახურთან ურთიერთობას კომპანია "საქართველოს თამბაქოს წარმოება" გაარკვევს. ეს კომპანია ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მონოპოლისტ საწარმოთა რეესტრში 2001 წლის აპრილში შეიყვანა. რამდენიმე მსხვილი კომპანიის მსგავსად, "მონოპოლისტობა" "საქართველოს თამბაქოს წარმოებისთვისაც" მიუღებელი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ პირველად ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მონოპოლისტის "ტიტულის" მინიჭება "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" გააპროტესტა და ამის გამო მიმდინარე წლის გაზაფხულზე სასამართლოში სარჩელიც შეიტანა.

# ჩრდილოეთ კორეაში დოლარის მიმოქცევა იკრძალება

*როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კორეის ცივილიზებულ სამყაროსთან დაახლოება შორეული მომავლის საქმეა. მსოფლიო კომუნიზმის ბასტიონი დასავლეთის მოთხოვნებს ბირთვული განიარაღების შესახებ არად აგდებს და ვაშინგტონთან უკიდურეს კონფრონტაციაზე მიდის. ამას მოწმობს ბოლო ცნობები იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე დოლარის აკრძალვას აპირებს. აი, ასე უპასუხა ფხენიანმა ამერიკელთა გადაწყვეტილებას, ამ ქვეყანას შეუწყდეს ნავთობის უსასყიდლოდ მიწოდება, სანამ იგი ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას არ შეაჩერებს.*

თორნიკე შარაშენიძე

ფხენიანის გადაწყვეტილება უკვე დეკემბრიდან ამოქმედდება, რის შემდეგაც დოლარი საერთოდ აღარ იტრიალებს ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში. მოქალაქეებმა ამერიკული "მწვანეები" სხვა ვალუტაზე უნდა გადაცვალონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეკემბრიდან ისინი ავტომატურად გადახურდავდება ევროებზე. კორეის სავაჭრო ბანკმა უკვე გამოფინა ევროს უზარმაზარი პლაკატები, რათა მოსახლეობას წარმოდგენა ჰქონდეს იმის შესახებ, თუ ამიერიდან, დოლარის ნაცვლად, რომელ ვალუტასთან უნდა დაიჭიროს საქმე.

ეჭვები იმის თაობაზე, რომ ფხენიანი ბირთვულ იარაღზე მუშაობდა (რომლის გარეშეც ვერც ერთი ტოტალიტარული სახელმწიფო ვერ ძლებს ხოლმე), დასავლეთს განსაკუთრებით 90-იანი წლების შუაგულში გაუძლიერდა. შედეგად, 1994 წელს გადაწყდა, ჩრდილოეთ კორეას ყოველწლიურად უსასყიდლოდ მიეწოდოს ხუთასი ათასი ტონა ნავთობი იმ პირობით, რომ იგი შეაჩერებს მუშაობას ბირთვულ პროგრამაზე.

აქამდე დახმარების პროგრამა მშვენივრად მუშაობდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ფხენიანის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი საეჭვოდ ალაპარაკდა, ვითომდა, კორეელთა ხელთ არსებულ ატომურ ბომბზე, რამაც დასავლეთი შოკში ჩააგდო. ვაშინგტონმა დაუყოვნებლივ მოითხოვა კორეისთვის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა, თუკი ფხენიანი გონს არ მოეგებოდა. მაგრამ ჩრდილოეთ კორეამ ეს არაფრად ჩააგდო და თავის ტერიტორიაზე ინსპექტორების შეშვებაზე უარი თქვა. შესაბამისად, ცხადია, ნავთობის მიწოდებაც შეუწყდა. წესით, ამ სანქციას სასურველი შედეგი უნდა გამოეღო, რადგან ზამთარში გაჭირვებულ კორეელებს საშინელი შიმშილი და სიცივე ელით, მაგრამ ხელისუფლება ამაზე, ალბათ, ნაკლებად დარდობს.

# ჯორჯ ბუშმა ახალი „ბიუროკრატიული ბეჰემოთი" შექმნა

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნის შესახებ კანონს მოაწერა ხელი. ამ უწყების მიზანი აშშ-ს ტერიტორიაზე ახალი ტერორისტული აქტების აღკვეთა იქნება. მას სათავეში საშინაო უსაფრთხოების საკითხებში თეთრი სახლის მრჩეველი ტომ რიჯი ჩაუდგება. ეს ღონისძიება ბოლო 50 წლის განმავლობაში აშშ-ს მთავრობის ყველაზე მასშტაბურ რეორგანიზაციას წარმოადგენს, რადგანაც ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტმა კურირება უნდა გაუწიოს 22 ფედერალურ სააგენტოს, სანაპიროს დაცვის, საიდუმლო სამსახურისა და საზღვრის პატრულირების ჩათვლით. მას 170 000 ათასი თანამშრომელი ეყოლება.*

უნდა აღინიშნოს, რომ არც გამოძიების ფედერალური ბიურო და არც ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ამ ახალი სტრუქტურის დაქვემდებარებაში არ შევლენ. ეს კი, სამართლადამცავ საკითხებში ზოგიერთი ექსპერტის მხრიდან, მკვეთრ კრიტიკას იწვევს. მათი აზრით, მთავარი მიზანი ამ ორ უწყებას შორის ინფორმაციის სწრაფი გაცვლა და ერთმანეთში უნაკლო კოორდინაცია უნდა იყოს, რათა თავიდან იქნას აცილებული 11 სექტემბრის მსგავსი ტერაქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. **"ამ ახალ დეპარტამენტში ერთად მოიყრის თავს შესაძლო ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ არსებული ყველა სადაზვერვო ინფორმაცია, რაც ჩვენ სწრაფად რეაგირებისა და ამერიკის დაცვის საშუალებას მოგვცემს,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა რადიომიმართვაში.

პრაღიდან დაბრუნებულმა აშშ-ს პრეზიდენტმა თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში გუშინ საზეიმოდ მოაწერა ხელი ამ ახალი უნივერსალური სტრუქტურის შექმნას. საზეიმო ვითარებაშივე გამოცხადდა მის შეფად ტომ რიჯის დანიშვნაც.

ტომ რიჯს – პენსილვანიის შტატის ყოფილი გუბერნატორს - ამ ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე თეთრი სახლის ტერიტორიული უსაფრთხოების ოფისის დირექტორის თანამდებობა ეკავა. როგორც ცნობილი გახდა, ახლა ის 170-ათასიან კოლექტივს ჩაუდგება სათავეში. ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტი 60 დღეში დაიწყებს ფუნქციონირებას და, დაახლოებით, ერთი წელი მაინც დასჭირდება, ვიდრე მის შემადგენლობაში 22 ფედერალური სააგენტო მოიყრის თავს.




ტომ რიჯი, ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის ახალი მდივანი.

ეს, რასაკვირველია, საკმაოდ რთული პროცესი იქნება. მთავარი საფინანსოსაალრიცხვო ოფისის აზრით კი, ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის სტრუქტურაში ინტეგრირებისათვის აქამდე დამოუკიდებლად მოქმედ ფედერალურ სააგენტოებს რამდენიმე წელი მაინც დასჭირდებათ, რადგან ამ უწყებებს საქმის კეთების ერთმანეთისგან განსხვავებული ტრადიციები და კულტურა გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ბუში ამ ახალ სტრუქტურას და ტომ რიჯს იმედის თვალით შესცქერის, ამ უწყებას ოპონენტები დასაწყისშივე გამოუჩნდნენ. მთავარ სკეპტიკოსად დასავლეთ ვირჯინიის შტატის სენატორი, დემოკრატი რობერტ ბერდი იქცა. **"ხალხს ახალი ბიუროკრატიული ბეჰემოთი შესთავაზეს,"** - განაცხადა მან. უნდა ითქვას, რომ ამ დეპარტამენტის შექმნა 5 ნოემბრის არჩევნებში დებატების მთავარ საკითხს წარმოადგენდა. თუ მანამდე დემოკრატებმა კონგრესში ეს საკითხი დაბლოკეს, რამაც ბუშის განაწყენება გამოიწვია, ამჯერად პრეზიდენტს უსაფრთხოების დეპარტამენტის შექმნაში ხელს ვერავინ შეუშლის, რადგან კონგრესის ორივე პალატაში უმრავლესობას მისი თანაპარტიელები - რესპუბლიკელები წარმოადგენენ.

ამდენად, ამ ახალი სტრუქტურის შექმნა უკვე რეალობად იქცა. ეჭვის საფუძველს მხოლოდ ის წარმოადგენს, თუ რამდენად შეძლებს ეს უწყება მასზე დაკისრებული მოვალეობისათვის თავის გართმევას. უნდა ითქვას, რომ აშშ-ში, უკვე ნახევარი საუკუნეა, მოქმედებს სადაზვერვო თანამეგობრობა, სადაც დაზვერვითი ფუნქციების მქონე 13 ორგანიზაციაა თავმოყრილი. ამ გაერთიანებას სათავეში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო უდგას, ხოლო მაკოორდინირებელ ორგანოს თავად ცსს-ს დირექტორი ხელმძღვანელობს. სადაზვერვო გაერთიანების მთავარ ფუნქციას კი სწორედ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტერიტორიული უსაფრთხოების დეპარტამენტის წინაშე ცსს და გამოძიების ფედერალური ბიურო არ იქნებიან ანგარიშვალდებულნი, სავარუდოა, ამ ახლი უწყების შექმნით, აშშ-ს ისედაც მრავალ სპეცსამსახურს შორის არსებული ღია თუ ფარული დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდეს. გარდა ამისა, ახალი უწყების შექმნა კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული. მართალია, შეერთებულ შტატებს ამ თანხის გაღება არ გაუჭირდება, მაგრამ არის კი საჭირო მილიარდების დახარჯვა იმ უწყებაზე, რომლის ეფექტური ფუნქციონირებაც თავიდანვე ეჭვს ბადებს?

# ირანელი კონსერვატორები რევანშის აღებას ცდილობენ

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ჟურნალისტებმა ხელისუფლებას ოთხი ყველაზე ცნობილი პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლების თხოვნით მიმართეს. მათ შორისაა ჰაჯემი აღაჯარი, ხოლო დანარჩენი სამი ჟურნალისტები არიან. ისინი იმ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების გამო დაადანაშაულეს ჯაშუშობაში, რომლის თანახმადაც ირანელთა 75 პროცენტი შეერთებულ შტატებთან დიალოგის განახლების მომხრეა.

სახალხო საპოლიციო ძალების (ბასიჯი) საპროტესტო აქციაში 2000 ქალიც მონაწილეობდა, რომლებიც რეფორმების მომხრე სტუდენტური მოძრაობის საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდნენ. აღსანიშნავია, რომ პოლიციელთა საპროტესტო გამოსვლებამდე რამდენიმე დღით ადრე, აღაჯარის სასიკვდილო განაჩენის გაუქმების გამო, სტუდენტთა მასობრივი გამოსვლები მთელ ქვეყანაში შეწყდა.

"ფარისევლებო, ფარისევლებო, გრცხვენოდეთ! დატოვეთ უნივერსიტეტი!" - ყვიროდნენ მიტინგზე შეკრებილი კონსერვატორები.

"სტუდენტები მედგრად უნდა იყვნენ, რათა კონსერვატორების რეაქცია თავიდან აიცილონ, - განაცხადა რეფორმისტული "ირანის ისლამური ფრონტის" წევრმა საიდ ჰაჯარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას, - მათ შეხვედრები მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გამართონ და ქუჩაში გამოსვლებს თავი დაანებონ, რადგან ზოგიერთები მზად არიან, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადონ".

კონსერვატორებს ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ამერიკასთან დაკავშირება და ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომიც არ დავიწყებიათ. ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის სარდლის, ბრიგადის გენერალ იაჰია რაჰიმ საფავის თქმით, შეერთებული შტატები ირანის უსაფრთხოების შერყევას ერაყის დაპყრობით ცდილობს. "ერაყის დაპყრობის მეშვეობით, ამერიკას ირანისათვის საფრთხის შექმნა აქვს განზრახული, რათა რეგიონში კრიზისი წარმოიქმნას და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან თეირანის ურთიერთობები გაართულოს", - განაცხადა მან მიტინგზე, რასაც 15 000 კაცის შეძახილი მოჰყვა: "სიკვდილი ამერიკას!"

"თეირან თაიმსის" ცნობით, ირანელ ხელისუფალთა გაღიზიანება შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის დონალდ რამსფელდის განცხადებამ გამოიწვია. ვაშინგტონში რამსფელდმა განაცხადა, რომ მალე ირანელი ხალხი ირანში ისლამურ რესპუბლიკას საერო მმართველობით შეცვლის.

ირანის ყოფილი პრეზიდენტი ალი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი ამერიკის თავდაცვის მინისტრის განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ რამსფელდს ამგვარი იდეების "ჯოჯოხეთში წაღება" მოუწევს.

ირანის ხელისუფალთა თქმით, მათ მიერ გამოხატულ სურვილს, ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე, შედეგი არ მოჰყოლია. შემხვედრი ნაბიჯების ნაცვლად, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანი "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა სიაში შეიყვანა

საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზმა ამერიკა-ირანის ურთიერთობების კომენტირებისას აღნიშნა, რომ, თეირანის მიმართ უკანასკნელ ხანებში შერბილებული პოლიტიკური განცხადებების მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის უნდობლობა კვლავ არსებობს.

სასამართლო ხელისუფლების მიერ აღაჯარის სასიკვდილო განაჩენის გაუქმების შემდეგ, ირანში რეფორმატორ პრეზიდენტსა და მის მხარდამჭერებს იმედი გაუჩნდათ, რომ ხათამის მიერ შემუშავებული ორი კანონპროექტი, შესაძლოა, რევოლუციის მცველთა საბჭომ დაამტკიცოს. ამ კანონპროექტების თანამხად, სასულიერო ხელისუფლების ძალაუფლება მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილებები გაფართოვდება. თუმცა, ექსპერტების აზრით, მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარება, ფაქტობრივად, გამორიცხულია, რადგან მცველთა საბჭოს (მმართველობის უმაღლესი ორგანო ირანში) მთლიანად კონსერვატორები აკონტროლებენ. კანონპროექტები ირანის პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. მათ ძალაში შესასვლელად სწორედ რევოლუციის მცველთა საბჭოს თანხმობა არის აუცილებელი. კანონების დაბლოკვა კი ირანში პოლიტიკურ კრიზისს კიდევ უფრო გაამწვავებს.

ჯერჯერობით, ირანში სტუდენტობა ერთადერთი ძალაა, რომლის წინაშეც აიათოლები ყოველთვის დათმობაზე მიდიან, თუმცა, კონსერვატორები კულისებს მიღმა გამართულ ბრძოლებში დანაკარგს შედარებით უმტკივნეულოდ ინაზღაურებენ ხოლმე.

## მოკლედ

**ისრაელი.** ისრაელის არმიის ქვედანაყოფებმა პალესტინის ტერიტორიაზე მასობრივი რეიდების განხორცილება დაიწყეს. პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციის "ისლამური ჯიჰადის" მიერ ისრაელის ერთ-ერთ კიბუცში მოწყობილი სისხლიანი ტერაქტის შემდეგ, ისრაელის მთავრობამ აქტიური კონტრზომების მიღება გადაწყვიტა. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქები – ბეთლემი, ჯენინი, ჰებრონი, კალკილია და რამალას გარეუბნები ისრაელის სპეცნაწილებმა საკუთარ კონტროლს თითქმის მთლიანად დაუქვემდებარეს. გუშინ გატარებული კომპლექსური სპეცოპერაციების შედეგად, ისრაელის სამხედრო ქვედანაყოფებმა ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი 40-ზე მეტი პალესტინელი დააპატიმრეს. ისრაელის მხარის განცხადებით, ეს არის ხალხი, ვინც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში ისრაელის ტერიტორიაზე სისხლიანი ტერაქტები განახორციელა. დაკავებულებს შორის ასევე გახლავთ ქალი, რომელიც ტერორისტულ აქტს გეგმავდა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ კალკილიასა და ბეთლემში, ისრაელის არმიის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, კომენდანტის საათი შემოიღეს. უნდა აღინიშნოს, რომ ზემონახსენები ორმოცი დაპატიმრებული პალესტინელიდან, დაახლოებით, 30 ბეთლემის მაცხოვრებელია. კომენდანტის საათის შემოღების მიუხედავად, ებრაელებს თავდაპირველად ქალაქის მაცხოვრებლებისათვის ქრისტეშობის ტაძარში შესვლა არ აუკრძალავთ. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ, რაიმე გართულების თავიდან აცილების მიზნით, ტაძარი დახურულ სამხედრო ზონად გამოაცხადეს და მის ტერიტორიაზე მოძრაობა მხოლოდ ბერებსა და სხვა სასულიერო პირებს დართეს.

იორდანეს დასავლეთ სანაპიროს გარდა, ისრაელის სამხედრო ნაწილებმა ასევე სწრაფი სპეცოპერაცია განახორციელეს ღაზას სექტორშიც, სადაც ტერიტორიაზე არსებული ყველა პორტი დახურულად გამოცხადდა. ამის მიზეზად იქცა ის ფაქტი, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული პალესტინელების ნავი ისრაელის კუთვნილ საპატრულო კატერს შეეჯახა, რის შედეგადაც ოთხი ებრაელი ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა თავის თავზე ექსტრემისტულმა ორგანიზაცია "ისლამურმა ჯიჰადმა" აიღო.

■ ■ ■

**აშხაბადი.** თურქმენეთის ხელისუფლების განცხადებით, გუშინ, დილით თავს დაესხნენ ქვეყნის პრეზიდენტს საფარმურატ ნიაზოვს. ოფიციალური წყაროების ცნობით, პრეზიდენტის კორტეჟს გზა "კამაზის" ტიპის სატვირთო ავტომანქანამ გადაუღობა, საიდანაც თურქმენბაშის ლიმუზინს ცეცხლი გაუხსნეს. პრეზიდენტი უვნებლად გადარჩა. აშხაბადში აკრედიტებული დიპლომატების ცნობით, სროლის დროს სამი ადამიანი დაიღუპა.

გადარჩენილი ნიაზოვის განცხადებით, მასზე განხორციელებული თავდასხმის უკან საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი შიხმურადოვი და სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ილკიმოვი დგანან. ორივე მათგანი ოპოზიციაში უდგას არსებულ რეჟიმს და, ბუნებრივია, საზღვარგარეთ ცხოვრობს.

მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა, ექსპერტებს ამ ტერაქტის ნამდვილობაში მაინც ეჭვი ეპარებათ, რადგან ქვეყანაში დამოუკიდებელი მედია არ არსებობს, რომ ეს ინფორმაცია დაადასტუროს, ხოლო თავად დიდ ბელადს პარანოია აწუხებს და მის წინააღმდეგ შეთქმულებს მეტისმეტად ხშირად პოულობს ხოლმე.

# კვიპროსი: 28-წლიანი კონფლიქტის დასასრული?

*თურქეთის ხელისუფლება, კვიპროსის პრობლემის შესახებ წარმოებული მოლაპარაკებების პარალელურად, ნატო-ს პრაღის სამიტზე ევროკავშირის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა.*

რევაზ ბახტაძე

თურქეთის პარლამენტის წინაშე ახალი მთავრობის სამომავლო პროგრამის წარდგენისას პრემიერ-მინისტრმა აბდულა გულმა განაცხადა, რომ გაერო-ს მიერ კვიპროსის პრობლემის დარეგულირების შესახებ წარმოდგენილი გეგმა თურქეთის მთავრობისათვის მისაღებია. თუმცა, პრობლემის მოგვარებისას თურქეთის ეროვნული ინტერესები და კვიპროსის თურქული წარმოშობის მოქალაქეთა ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს, - დასძინა მან.

ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძული კვიპროსი ეთნიკური ნიშნით 1974 წელს გაიყო, როდესაც თურქეთის არმიამ კვიპროსზე ინტერვენცია მოახდინა. შეიქმნა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომლის სუვერენიტეტს მხოლოდ თურქეთი ცნობს.

ევროკავშირი 2004 წლისათვის თავის რიგებში კვიპროსის გაწევრიანებას გეგმავს. ამდენად, ევროპელი ლიდერები ცდილობენ, ორად გაყოფილი კუნძულის პრობლემა, რაც შეიძლება, მალე მოაგვარონ. კვიპროსის გაერთიანების მიზნით, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა სპეციალური გეგმა შეიმუშავა, რომელიც განსახილველად საბერძნეთს, თურქეთსა და კვიპროსზე არსებულ ორივე პოლიტიკურ სუბიექტს წარედგინა.

საქართველოსთვის კვიპროსის პრობლემა ძალზე საყურადღებოა, რადგან კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმა ძალიან ჰგავს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად შემოთავაზებულ წინადადებებს, რომლებიც ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტის მიერ ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გულისხმობს.

საბერძნეთი და კვიპროსის ბერძნული ნაწილი კოფი ანანის მიერ შემოთავაზებულ კომპრომისულ გეგმას დათანხმდა. ამ გეგმის თანახმად, ერთიანი კვიპროსი უნდა შეიქმნას, რომელიც ორი "შემადგენელი სახელმწიფოსაგან" ჩამოყალიბდება, სადაც ყველა მოქალაქე თანაბარი პოლიტიკური უფლებებით ისარგებლებს. აღსანიშნავია, რომ, გეგმის მიხედვით, თურქულ მხარეს მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ბერძნული წარმოშობის კვიპროსელებისათვის გადაცემა ევალება.

რაც შეეხება თურქეთს, მისი ოფიციალური პასუხი, ჯერჯერობით, უცნობია. პოზიციების საბოლოოდ შესაჯერებლად, თურქეთის ახალი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი იაშარ იაკისი თურქი კვიპროსელების ლიდერის რაუფ დენქთაშის (იგი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება) სანახავად ნიუ-იორკში გაემგზავრა.

ნიუ-იორკში, დენქთაშთან შეხვედრის შემდეგ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ ტერიტორიული მოწყობისა და მიწისქვეშა წყლების რესურსების განაწილების საკითხები დასახვეწია.

"დიპლომატიურ ენაში არსებობს განსხვავება დოკუმენტის მიღებასა და დოკუმენტის განსახილველად მიღებას შორის", - აღნიშნა იაკისმა კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმის კომენტირებისას.

გასულ კვირას დენქთაშმა განაცხადა, რომ ის გაერო-ს გეგმის მისაღებად ჯერ კიდევ მზად არ იყო, თუმცა, კვიპროსელი თურქების 78 წლის ლიდერმა აღნიშნული გეგმა არ უკუაგდო. "ჩვენ განვიხილავთ, კონკრეტულად რა ცვლილებების შეტანა გვსურს", - აღნიშნა მან.

მართალია, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა თურქულ და ბერძნულ მხარეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადად 18 ნოემბერი დაუწესა, მაგრამ მხარეებმა ვადაში ჩატევა ვერ მოახერხეს. შეთანხმება, ფორმალურად, სწორედ დენქთაშის გულის ოპერაციის საბაბით გადაიდო.

თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ინგლისურენოვანი გაზეთი "თურქიშ დეილი ნიუსი" აღნიშნავს, რომ, დათქმულ ვადამდე შეთანხმების მიუღწევლობის მიუხედავად, პარლამენტში გულის შენიშვნები ცხადყობს, რომ გაერო-ს გეგმის მიხედვით მოლაპარაკება შესაძლებელია.

ევროკავშირისა და გაერო-ს ხელმძღვანელობა მხარეებისაგან დაჟინებით მოითხოვს შეთანხმების 12 დეკემბრამდე მიღებას. 12 დეკემბერს ევროკავშირის კოპენჰაგენის სამიტი გაიმართება, სადაც 2004 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებელი სახელმწიფოები უნდა დაასახელონ, რომელთა შორის კვიპროსიც იქნება.

თურქეთის ხელისუფლება კვიპროსის პრობლემის მოგვარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან, ევროპელი ლიდერების თქმით, კვიპროსის საკითხის დადებითად გადაწყვეტა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შანსებს მკვეთრად გაზრდის.

ბრიუსელის თქმით, ისინი კვიპროსს ევროკავშირში მაინც მიიღებენ იმის მიუხედავად, თურქულ ნაწილთან პრობლემა მოგვარდება თუ არა. თურქეთის წინა მთავრობა იმუქრებოდა, რომ იგი ჩრდილოეთ კვიპროსის ანექსირებას მოახდენდა იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი მხოლოდ ბერძნულ ნაწილს მიიღებდა გაერთიანებაში. მართალია, სამართლიანობის პარტია კვიპროსის მიმართ წინა მთავრობის პოლიტიკას გაემიჯნა, მაგრამ გასულ კვირას გერმანიის ლიდერებთან შეხვედრისას მისმა ლიდერმა რეჯებ ერდოქანმა აღნიშნა, რომ ევროკავშირმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის შედეგები, რაც კავშირში შუაზე გაყოფილი ქვეყნის მიღებას შეიძლება მოჰყვეს.

ნატო-ს პრაღის სამიტის მსვლელობისას ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერებსა და თურქეთის ხელმძღვანელობას შორის. თურქეთის პრეზიდენტი სეზერი, ჯორჯ ბუშის აქტიური მხადაჭერით, ევროპელ ლიდერთა გულის მოგებას ცდილობდა.

"ბრიტანეთის, ესპანეთისა და იტალიის პრემიერ-მინისტრებმა თურქეთის გაწევრიანების მიმართ სრული მხარდაჭერა გამოხატეს", - განაცხადა სეზერმა ტონი ბლერთან, ხოსე მარია აზნართან და სილვიო ბერლუსკონისთან გამართული შეხვედრების შემდეგ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა და გერმანიის კანცლერმა შრიოდერმა, პრაღის სამიტის შემდეგ, პრესკონფერენციებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განაცხადეს, რომ კვიპროსის საკითხის დადებითად მოგვარება 12 დეკემბრის კოპენჰაგენის სამიტზე ანკარას შანსებს გაზრდის. ერდოქანის პარტია ცდილობს, ევროკავშირმა კოპენჰაგენის სამიტზე თურქეთის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების საბოლოო თარიღი განსაზღვროს.

დანიის პრემიერ-მინისტრმა ანდერს ფოგ რასმუსენმა, რომელიც ამჟამად ევროკავშირს თავმჯდომარეობს, პრაღაში აჰმედ ნეჯდეთ სეზერთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ განაცხადა, რომ თურქეთის შესაძლო გაწევრიანების თაობაზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოზიცია ორად არის გაყოფილი. "რა თქმა უნდა, საერთო კლიმატი გაუმჯობესდება, თუ კვიპროსის საკითხი დადებითად გადაწყდება. თურქეთის სასარგებლოდ მოქმედებს ევროპის ერთიანი შეიარაღებული ძალების საკითხიც", - აღნიშნა რასმუსენმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ევროკავშირს დაგეგმილი აქვს საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელმაც ნატო-ს ინფრასტრუქტურა უნდა გამოიყენოს. თურქეთს კი, როგორც ნატო-ს წევრს, უფლება აქვს, ამ ინიციატივას ვეტო დაადოს.

კვიპროსის გაწევრიანების შესახებ საუბრისას შირაკმა პრაღაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "ევროკავშირი კონფლიქტის იმპორტირებას ვერ მოახდენს, ასე რომ, კონფლიქტები ევროკავშირში გაწევრიანებამდე უნდა მოგვარდეს".

საფრანგეთის პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად უარყო ყოფილი პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ`ესტენის სკანდალური განცხადება, რომ "თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება ევროპის აღსასრული იქნება".

"ჩემი აზრით, თურქეთს ევროპაში ყოფნის სრული უფლება აქვს. შესაძლოა, გეოგრაფიული პრობლემა მართლაც არსებობს, მაგრამ არ მგონია, რომ ისტორიული ან ცივილიზაციური თვალსაზრისით რაიმე პრობლემა იყოს", - თქვა შირაკმა.

მისი განცხადებით, ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებშია თურქეთის სრული გაწევრიანება მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა გაწევრიანების ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმს" სრულად დააკმაყოფილებს.

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

http://www.ceu.hu/crc/sessions.html

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა შემდეგი სესიებისათვის - 10 იანვარი 2003.

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა შემდეგი სესიებისათვის - 20 იანვარი 2003.

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა შემდეგი სესიებისათვის - 1 თებერვალი 2003.

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა შემდეგი სესიებისათვის - 1 აპრილი 2003.

დაწვრილებითი ინფორმაციისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ ფონდ "ღია საზოგადოება საქართველო"-ს ოფისს, თბილისი, ჭონქაძის ქ. 10. ტელ: 25 04 63, ელ-ფოსტა gaga@osgf.ge

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალშვილიანი დედების ერთმა ჯგუფმა რუსთაველის გამზირი გადაკეტა. მრავალშვილიანი დედებთან ერთად შეიკრიბნენ მარტოხელა და უმწეო ოჯახების წარმომადგენლებიც, რომლებიც მერიის ხელმძღვანელობისგან მათთვის განკუთვნილი ყოველთვიური თანხის გაცემას მოითხოვდნენ. როგორც მრავალშვილიანი დედები აცხადებენ, თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ დედების ერთ ნაწილს გარკვეული თანხა გადაუხადა, რათა ისინი საკრებულოს წინააღმდეგ მერიის წინ საკუთარი „სკამის“ დასაცავად გამოეყვანა. მრავალშვილიანი დედების ერთი ნაწილი აქციის შეწყვეტას არ აპირებს. მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მსგავსი გამოსვლები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის პრემიერმა გია შერაძემ ტრადიციულ, ორშაბათის თათბირზე, დედაქალაქში საახალწლო მზადებაზე ისაუბრა. მისი თქმით, აუცილებელია ქუჩების, ვიტრინების, მაღაზიების მოწესრიგება. რუსთაველისა და გამსახურდიას გამზირების გარდა, სხვა ქუჩების განათებასა და ფოიერვერკების მოწყობასაც აპირებენ. მერიაში კონკრეტულ თანხებსა და ხარჯებზე, ჯერჯერობით, არაფერს ამბობენ. დედაქალაქის პრემიერმა შესაბამის უწყებებს დეკემბრის დასაწყისიდან პენსიების და ხელფასების გაცემა მოსთხოვა, რათა მოსახლეობა დღესასწაულს მომზადებული შეხვდეს. დღევანდელ, ტრადიციულ თათბირზე, მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებზეც იმსჯელეს. "შესაბამისმა სამსახურებმა დღეიდანვე უნდა დაიწყონ ბიუჯეტზე მუშაობა, რისთვისაც არ არის აუცილებელი პარლამენტის მიერ დადგენილი ნორმატივების ლოდინი. ცვლილებების შეტანა ხომ უკვე შედგენილ ბიუჯეტშიც შეიძლება," - აცხადებს ქალაქის მერი ვანო ზოდელავა. ნოემბრის ბიუჯეტი, საგადასახადო კუთხით, 60 პროცენტით შესრულდა, რასაც თვის ბოლომდე 16-მილიონიანი შემოსავალიც უნდა დაემატოს. ამ შემთხვევაში ქალაქი ბიუჯეტს 92 პროცენტით შეასრულებს. მიუხედავად ამისა, ზოდელავა უკმაყოფილოა. მისი აზრით, სხვა წლებთან შედარებით, 11 თვის შედეგები მაღალია, მაგრამ ბევრ სამსახურს უფრო მეტი თანხის მოკრება შეეძლო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო სასამართლო 4 დეკემბერს განიხილავს 9 აპრილის ბაღში მიმდინარე უკანონო მშენებლობის კანონიერების საკითხს. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის თემურ ჭიჭიაშვილის თქმით, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მშენებლობა შეჩერებულია. თბილისის მერია ასევე ზოგადად მეტროსადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად გახსნილი სავაჭრო კომპლექსის კანონიერებითაც დაინტერესდა. დედაქალაქის მერის თქმით, მეტროსადგურებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში, შესაძლოა, განთავსდეს ფირმების სარეკლამო აბრები, რომლებიც განათების პრობლემასაც გადაჭრის. რეკლამიდან შემოსული თანხა კი ბიუჯეტს შეავსებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის("კვნ") გუნდი „თსუ+“ დაბრუნდა კრასნოდარიდან, სადაც "კვნ"-ის საერთაშორისო ჩემპიონატის რეგიონული ლიგის ფინალი გაიმართა. „თსუ+“ ფინალში მაიკოპის, კრასნოდარისა და ნევინომისსკის გუნდებს შეხვდა და მეორე ადგილი დაიკავა. იგი ჩემპიონატის გამარჯვებულს, კრასნოდარის გუნდს, ერთი ქულით ჩამორჩა. შემდეგ „თსუ+“-მა კრასნოდარში გამართულ სამხრეთ რუსეთის ლიგის თასის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ლიგის თასის ჩემპიონატში 12 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. „თსუ+“ თასს დაეუფლა. „თსუ+“ მზადებას დაიწყებს "კვნ"-ის საერთაშორისო ფესტივალისთვის, რომელიც იანვარში სოჭში გაიმართება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ენგურჰესზე მომხდარი ავარიის გამო, გუშინ დილიდან დედაქალაქის ენერგომომარაგება საგრძნობლად გაუარესდა. როგორც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, გუშინ ავარიულად გაჩერდა ენგურჰესის ერთი აგრეგატი, რომელიც მალე ჩაირთო. ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემაში 800 მგ. ელექტროენერგიაა, საიდანაც ენგურჰესის წილად 400 მგ. მოდის. დედაქალაქს მიეწოდება 320 მგ, რაც საკმარისი არ არის და იწვევს სიხშირის ვარდნას. ამის გამო ავტომატურად ითიშება ის ქვესადგურები, რომლებშიც დიდია გადახარჯვა. 800-იდან აფხაზეთს მიეწოდება 130-140 მეგავატი, დანარჩენი კი – საქართველოს სხვა რეგიონებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოტანიკურ ბაღში საშემოდგომო სამუშაოები დასრულდა: ხეები გადაიბელა, ხოლო ერთწლიანი ყვავილნარი ამოძირკვეს. ბაღის დირექტორის, ჯემშერ კერესელიძის განცხადებით, 600-მდე სახეობის ქოთნის კულტურა და ათასამდე სახეობის კულტურული მცენარე უნდა გადაიტანონ სათანადო შენობაში, სადაც მცენარეთა გამოზამთრების პირობები უკვე შექმნილია. "ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის პრობლემა ამ ეტაპზე მოგვარებულია, რაც ზამთარში, იმედია, არ შეიცვლება," - აცხადებს კერესელიძე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო სამსახურის ინიციატივით, დედაქალაქის მოსწავლეებისთვის მიმდინარეობს აქცია „მე და ჩემი უფლებები“. აქცია უკვე ჩატარდა თბილისის გლდან-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებში, სადაც 200-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. როგორც ამ სამსახურის ხელმძღვანელმა ბელა სარიამ განაცხადა, მე-4, მე-8, მე-9 და მე-11 კლასების მოსწავლეები სამოქალაქო უფლებებს სწავლობენ. ეს აქციაც მათთვის იმართება, რაც ერთგვარი შემოწმებაც არის, რამდენად იცნობენ მოზარდები ბავშვის უფლებათა კონვენციას. აქცია უფრო განსხვავებულად გაიმართა თბილისის 67-ე საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლეებმა სკოლის კედელი ფერადი ცარცით მოხატეს. ძირითადი თემა ბავშვის უფლებები და შესაბამისი კონვენცია იყო. აქციები დეკემბერში დასრულდება. **მედია-ნიუსი.**

## პრეზიდენტის სოფელში გიორგობის წინ ჯვარი აღმართეს

თამაზ ხარაიშვილი

*ოზურგეთი*

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მშობლიური სოფლის ცენტრში, შევარდნაძეთა ისტორიული საცხოვრისისა და საგვარეულო ძვალთშესალაგის მახლობლად წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობა ამ სამიოდე წლის წინ დაიწყო. გიორგობის დღესასწაულის წინ 19 ნოემბერს ეკლესიაზე ჯვარი აღმართეს. ეს მისია გურიის საერო და სასულიერო წინამძღვრებმა გუბერნატორმა კარლო გუჯაბიძემ და შემოქმედელმა ეპისკოპოსმა მეუფე იოსებმა იტვირთეს. როგორც წესი, ისინი შეხმატკბილებულად თანამშრომლობენ თავიანთ სამწყსოში. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის აგება უკავშირდება საქართველოს პრეზიდენტს (შდრ. წმინდა გიორგი - ედუარდ-გიორგი), ეკლესის აგებას კი მისი ცნობილი ძმისშვილები თავობენ, მშენებლობა მაინც გაჭიანურდა.

წარმოშობით აქაურმა მსხვილმა ბიზნესმენებმა გურიაში თავ-თავიანთ მშობლიურ სოფლებში გაცილებით მოკლე დროში ააგეს უფლის სახლები, რა თქმა უნდა, იმ ზომისა, ვისაც რა საშუალება ჰქონდა.

## დენის, გაზის და წყლის გადასახადი - ერთი ქვითრით

*საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო გამოდის ახალი ინიციატივით, რომლის მიხედვითაც, მოხმარებული ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის ყოველთვიურ საფასურს მოსახლეობა მხოლოდ ერთი ქვითრით გადაიხდის. რომელიმე კომპონენტის გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს დანარჩენი ორიც ავტომატურად გაეთიშება.*

ეთერ მამულაშვილი



გოჩიტა ბაბაიძის ფოტო

*თბილისელები სამ გადასახადს ერთი ქვითრით გადაიხდიან*

ამ პროგრამაზე სამინისტრომ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა და უახლოეს სამ თვეში დაასრულებს კიდეც. პროექტის მიხედვით, ყოველი თვის ბოლოს მოსახლეობა მიიღებს ქვითარს, რომელშიც იქნება სამი გრაფა: წყლის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის. ქვითარზე აღნიშნულ თანხას თბილისელები შესაბამისი რაიონის ბიზნეს-ცენტრებსა და საბანკო დაწესებულებებში გადაიხდიან.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ მიერ წარმოდგენილი პროექტი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კარგად აპრობირებული წესია და საქართველოში მისი დანერგვა რამდენიმე პრობლემურ საკითხს ერთდროულად გადაჭრის.

ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, ენერგეტიკის სამინისტროს იმედი აქვს, რომ, პირველ რიგში, ბუნებრივი აირისა და წყლის გადახდის მაჩვენებელი გაიზრდება, მოწესრიგდება აღრიცხვიანობის სისტემა და საგადასახადო სფეროში კორუფციის მასშტაბებიც საგრძნობლად შემცირდება.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ნინო ასათიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ სამინისტრო დაინტერესებულია, ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების მაჩვენებელი, რაც შეიძლება, სწრაფად გაიზარდოს.

“ეი-ი-ეს თელასს”, “თბილგაზთან” შედარებით, კარგად აქვს მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა, “ეი-ი-ესში” მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდა ქვითრებით და საბანკო სისტემით სრულდება. გაზის სფეროში კი, პირდაპირ ვთქვათ, არასწორი საფინანსო ოპერაციები ხორციელდება. არავისთვის დასამალი არ არის, რომ ხშირად ინკასატორები მოსახლეობას ურიგდებიან და მრიცხველს ხან აჩერებენ, ხანაც ჩამოყრიან. ახლა მუშავდება პროგრამა, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეები, ინკასატორთან კი არა, საბანკო განყოფილებებში გადაიხდიან. ვფიქრობთ, რომ ამ მეთოდით გადასახადების ამოღება საგრძნობლად გააუმჯობესებს “თბილგაზის” დღევანდელ მდგომარეობას”, - გვითხრა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მერაბ კვეკვესკირმა.

პროგრამის განხორციელებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და მოწესრიგება. საქმის დასაჩქარებლად და გასაიოლებლად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, “ეი-ი-ეს თელასთან” სპეციალური მოლაპარაკების შემდეგ, მათი მონაცემების გამოყენებას აპირებს. ამერიკული კომპანია მზად არის, საკუთარი მონაცემთა ბაზა ენერგეტიკის სამინისტროს მიაწოდოს, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი კომპანიასთან შესაბამის ხელშეკრულებას გააფორმებს და გარკვეულ თანხასაც გადაიხდის.

დღეისთვის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო მოლაპარაკებებს აწარმოებს “თბილწყალკანალთან” და “თბილგაზთან”. ამ უკანასკნელის პოზიცია სამინისტროს ინიციატივის შესახებ თავიდანვე ცნობილი იყო. “თბილგაზის” გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა ეთანხმება სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს პროექტს და იმედი აქვს, რომ მათ სისტემაში არსებული კორუფცია ცოტათი მაინც აღმოიფხვრება. “თბილწყალკანალის” პოზიცია ენერგეტიკის სამინისტროსთვის, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა, ჩვენთან საუბარში “თბილწყალკანალის” პრესმდივანმა გოჩა ჯელიამ მათი დაწესებულების პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: “გამორიცხული არ არის, რომ “თბილწყალკანალმა” ამ ეტაპზე ეს საკითხი საერთოდ არ განიხილოს, რადგან დაწესებულების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმდინარეობს ათწლიანი იჯარის ტენდერი. ხუთმა უცხოურმა კერძო კომპანიამ უკვე წარადგინა ტენდერში მონაწილეობის განაცხადი. ვფიქრობ, არასწორი იქნება, თუ მათ წინასწარ შევუქმნით რაღაც მექანიზმს, რომელსაც ხელახალი გადახედვა დასჭირდება, რაც, შესაძლოა, მათ მომავალში ტვირთადაც დააწვეთ”.

## საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია უნივერსიტეტების რაოდენობით

*საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი ათჯერ მეტია, ვიდრე ინგლისში, - შეიტყვეს ჟურნალისტებმა ბაკურიანში, მასმედიისთვის ჩატარებულ თემატურ სემინარზე.*

*უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის სამუშაო ჯგუფმა მასმედიის წარმომადგენლებს დაწვრილებით გააცნო სისტემაში არსებული პრობლემატიკა და ისაუბრეს კანონპროექტის ძირითად პუნქტებზე.*

*სავარაუდოდ, კანონპროექტს საზოგადოებაშიც და პარლამენტშიც დიდი წინააღმდეგობა ელის.*

დალი კუპრავა

ევრო-ატლანტიკური სივრცის ცივილიზებულ ნაწილთან ინტეგრაციისა და ამ სივრცეში ღირსეული თვითმყოფადობის დასამკვიდრებლად საქართველოს მნიშვნელოვანი გარდაქმნების პროცესის გავლა მოუწევს.

ამ მიმართულებით განათლება მთლიანად და, სახელდობრ, უმაღლესი განათლება ის სტრატეგიული ქვაკუთხედია, რასაც ძლიერი სახელმწიფო უნდა ეყრდნობოდეს.

ძველი სისტემის გარდაქმნა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა მოითხოვს ადეკვატურ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც დარგის სტრატეგიული ხედვის პრინციპებს უნდა იზიარებდეს.

საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, 2001 წლის ივნისში დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. ამ პროექტის შემუშავებაში თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპის საბჭო და ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო”. ჩამოყალიბდა ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის პრობლემების განსაზღვრისთვის. მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, საზღვარგარეთის პარტნიორი უნივერსიტეტები, სახელისუფლებო სტრუქტურები, არასახელმწიფო ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები.

“როდესაც, ”შვიდკაცას” შეკვეთით, უმაღლესი განათლების სისტემა გამოვიკვლიე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ კორუფცია კი არ იწვევს განათლების დაბალ ხარისხს, არამედ პირიქით: განათლების დაბალი დონე იწვევს კორუფციას”, - თქვა ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა გიგი თევზაძემ. მანვე უმაღლეს განათლებაში დაბალი ხარისხის განმსაზღვრელად შვიდი მიზეზი დაასახელა: მისაღები გამოცდები, სწავლების წესი, სწავლების ორგანიზაცია, ხარისხის დაცვა, მართვა, სახელმწიფოს და უმაღლესი სასწავლებლის ურთიერთობა და ეკონომიკა.

2002 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე მოეწყო 14 მრგვალი მაგიდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. გაიმართა სპეციალური სემინარი მასმედიის წარმომადგენლებისა და პარლამენტის წევრებისთვის. ასევე შემაჯამებელი კონფერენცია ჩატარდა ევროპის საბჭოსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებისა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი დოკუმენტის პროექტის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმაც.

2002 წლის 1 მარტს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო დადგენილება “საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ”, რომელიც საფუძვლად დაედო კანონშემოქმედებით მუშაობას საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში.

დადგენილებაზე დაყრდნობითა და პარლამენტის თხოვნის საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის პროექტზე.

“ვმუშაობთ კანონპროექტზე და გვინდა, რომ ეს იყოს კიდევ ერთი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელსაც უმაღლესი განათლების რეფორმა ჰქვია”, - გვითხრა გია შარვაშიძემ, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორმა.

კანონპროექტის ძირითადი პრინციპები და მიმართულებებია:

**ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა**, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ნაკლებად შეძლებული ფენებისთვის შრომით ბაზარში აქტიურ ჩართვას და ამ მხრივ სახელმწიფოს როლის გაზრდას კერძო სექტორთან თანამშრომლობის პირობებში.

**კორუფციისა და ელიტიზმის აღმოფხვრა**, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაზრდით; კერძო და სახელმწიფო სექტორში გამჭვირვალობის გლობალური სტანდარტების დამკვიდრებით; საგანმანათლებლო შესაძლებლობების თანაბარი და სამართლიანი განაწილებით; თანაბარი კარიერული და პროფესიული შესაძლებლობების განპირობებით.

**ქართული დიპლომების საერთაშორისო აღიარება,** სწავლების მოძველებული მეთოდიკიდან ახალზე გადასვლის ხელშეწყობით და ხარისხის ამაღლებით; სწავლების გეგმებისა და პროგრამების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანით; მოწინავე ქვეყნების განათლების სისტემებთან საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ჰარმონიული ინტეგრაციითა და პარალელურ რეჟიმში მუშაობით.

სამუშაო ჯგუფის განცხადებით, ამ მიზნების მისაღწევად არჩეულია მუშაობის ღია პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოების მიმდინარეობაზე საზოგადოების ინფორმირებას, სამუშაო პროცესში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა ჩართვას, საჯაროობის უზრუნველყოფასა და სამოქალაქო საზოგადოებაში ფართომასშტაბიანი დისკუსიის დაწყებას.

## სრული საჯაროობა ორჰუსულად

*ინფორმაცია, ყველაზე ღირებულ “ნაწარმთან” ერთად, მძლავრი იარაღი ხდება რიგითი მოქალაქეების ხელში. ვისაც ჯერ არ უცდია, შეუძლია, მოსინჯოს მისი ეფექტიანობა “ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” გამოყენებით. სულ ცოტა ხანში კი ნებისმიერ თქვენგანს ამ კოდექსისა და ეკოლოგიური ინფორმაციის საჯაროობის შესახებ საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე შეეძლება საკუთარი საყოფაცხოვრებო უფლებების დაცვაც კი.*

გიორგი გახელაძე

მაგალითად, შეგეძლებათ, ნებისმიერ მომენტში მოსთხოვოთ წყალმომარაგების მუნიციპალურ სამსახურს ან შესაბამის გამგეობას ზუსტი ინფორმაცია თქვენს ონკანში მომავალი წყლის ზუსტი შემადგენლობის, მისი ფილტრაციის, დეზინფექციის მეთოდებისა თუ ხარისხის და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის შესახებ. თუ ეს ინფორმაცია არ მოგცეს, ან არასრულფასოვნად მოგაწოდეს, ან, კიდევ უარესი – მცდარი მოგაწოდეს, მაშინ ძალიან თამამად შეიტანთ სარჩელს და სასამართლო პროცესსაც მოიგებთ. თან, შეგიძლიათ, იგივე მოითხოვოთ თუნდაც კერძო კომპანიისგან. რამდენიმე პრეცედენტი საქართველოში მოხდა. მაგალითად, ლილოს ნაგავსაყრელი სწორედ ასეთი სარჩელის საფუძველზე დახურეს.

4 დეკემბერს ევროკავშირისა და მისკენ მავალი ქვეყნების გარემოს დამცველებს სრულიად ახლებური სამოქმედო გეგმა ექნებათ განსახილველი. ორწლიანი მძაფრი კამათის შემდეგ 1998 წელს მიღებულ ორჰუსის კონვენციას ამოქმედება სჭირდება. ეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური დოკუმენტი 2001 წლის ოქტომბერში ოფიციალურად შევიდა ძალაში. ერთი შეხედვით, მისი სათაური არ ტოვებს პრობლემურ შთაბეჭდილებას, მაგრამ, სინამდვილეში, ხელმომწერი ქვეყნების ხელისუფლებისთვის დიდი თავსატეხია – “ეკოლოგიურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის შესახებ”. მაგალითად, მწვანეთა მოძრაობის მსოფლიოში აღიარებული ლიდერი – გერმანია ამ კონვენციის მიღებას ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა. გერმანელებს კარგად ესმით, რა რესურსებია საჭირო ამ მოთხოვნების კეთილსინდისიერად აღსრულებისთვის, მაგრამ, ყოფილი საბჭოთა და სოცბანაკის ქვეყნების გარემოს დამცველთა გაუთვითცნობიერებელი აქტიურობის გამო იძულებული გახდა, ეკისრა ორჰუსის კონვენციის ვალდებულებები. იუხერხულა. ევროპულ პოლიტიკაშიც ხდება ასეთი რამ.

გასული კვირის განმავლობაში კიევში ევროკავშირის “ტასისის” პროგრამის ფარგლებში შედგა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, ბელორუსისა და მოლდოვის რეგიონული შეხვედრა. ევროკომისიის დაკვეთით, ჰოლანდიური გარემოსდაცვითი ორგანიზაცია “როიალ ჰასკონინგი” ამ ექვს ქვეყანაში განახორციელებს ორჰუსის კონვენციის შესრულების ხელშემწყობ პროექტს. კონვენციის რატიფიკაცია ამ სახელმწიფოებმა სხვადასხვა დროს მოახდინეს. საქართველოში ეს მოხდა 2000 წლის 11 აპრილს. “ჰასკონინგის” პროექტის რეგიონული ცენტრი კიევშია. სწორედ იქ, მომავალი წლის მაისში, გაიმართება პოსტსოციალისტური 12 ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრების მე-5 კონფერენცია “გარემო ევროპისთვის”. ორი წლის განმავლობაში აღნიშნული ექვსი ქვეყნის სახელმწიფო მოხელეებისა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ასევე არასამთავრობო სექტორისთვის შემუშავდება სასწავლო და საინფორმაციო პაკეტები. პარალელურად, ორჰუსის კონვენციის მხარდამჭერი ეროვნული გუნდები განახორციელებენ აქტიურ საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას და, შესაძლოა, რამდენიმე საჩვენებელი სასამართლო პროცესიც გაიმართოს.

კიევის შეხვედრაზე საქართველოს ეროვნული გუნდი, სხვების დარად, შერეული შემადგენლობის იყო:



*რეგიონულ შეხვედრაზე. (მარცხნივ-საქართველოს გუნდის მწვრთნელი ნანა ნემსაძე).*

სამი სახელმწიფო მოხელე გარემოს დაცვის სამინისტროდან და შვიდი წარმომადგენელი საზოგადოებრივი, ე.წ. არასამთავრობო სექტორიდან. ლიდერი, ლია თოდუა, სწორედ დამოუკიდებელი ექსპერტი გახლავთ. გუნდის მწვრთნელი, ნანა ნემსაძე, მეცნიერი და საზოგადოება “ელკანას” პრეზიდენტია. მართალია, საქართველოს სხვადასხვა ტიპის წარმომადგენლობას ევროპულ და რეგიონულ შეხვედრებზე სატრაბახო ბევრი არაფერი აქვს ხოლმე, მაგრამ აქ სხვა სურათი იყო. “ქართული გუნდი ყველაზე კრიტიკული, მომთხოვნი და რაციონალური იყო. აღმოჩნდა, რომ ჩვენზე უკეთ გქონიათ გააზრებული კონვენციის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებები,” – აღიარა პროექტის ჰოლანდიელმა კოორდინატორმა ვერონიკა ვანმა. საქართველოს გუნდის ოთხდღიანმა რაციონალიზატორულმა საქმიანობამ რეგიონული ეკოლოგიური ცენტრების გაერთიანებული ჟენევის ოფისის წარმომადგენელი, მარიანა ბოლშაკოვა აიძულა, საჯაროდ ეთქვა, რომ “საქართველოსა და უკრაინის დელეგაციების ზოგჯერ მწარე შენიშვნებმა საერთო სამოქმედო გეგმა რადიკალურად შეცვალა. “ტასისის” სხვა პროექტებისგან განსხვავებით, აქ ფული ხელშესახები შედეგის მომცემ საქმიანობაზე დაიხარჯება.”

საქართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ არ არის სრულად მორგებული კონვენციის მოთხოვნებს, თუ არ ჩავთვლით ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს. მაგრამ, ყოველი ჩვენგანის კონსტიტუციური უფლების – ვიცხოვროთ ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში – რეალიზაციისთვის ეს არ კმარა. ნებისმიერი დონისა და პროფილის სახელმწიფო ორგანოებმა, ვისაც შეიძლება ჰქონდეს ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია, შიდაგანაწესებით უნდა უზრუნველყონ მისი გაცემა და, თანაც, არ დაელოდონ მოქალაქის მოთხოვნებს. შესაბამისი სერტიფიკაცია უნდა გაიარონ მოსამართლეებმა, ადვოკატებმა თუ პროკურორებმა. სომხეთის გუნდის ლიდერმა, ადვოკატმა აიდა ისკოიანმა, მკაფიოდ განაცხადა ყველასთვის ნიშანდობლივი ფაქტი: “სწორედ მართლმსაჯულება არის ყველაზე მიუწვდომელი ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის. არადა, არაკვალიფიციური განაჩენი გასაჩივრდება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. აწყობთ ჩვენს სახელმწიფო და სასამართლო მოხელეებს პრობლემები სტრასბურგში? რას ფიქრობდნენ, როდესაც ჯერ კონვენციის მიღების პროცესი დააჩქარეს და მერე რატიფიკაციაც გაუკეთეს? ხელმომწერი ქვეყნების ნებისმიერი მოქალაქე ახლა მარტივად და სამართლიანად მიუდგება ამ საქმეს – რაც იკისრე, უნდა შეასრულო”.

# „ჩემი მოვალეობაა, შარაძისნაირები ვამხილო"

თამარ კაციტაძე



*გურამ შარაძის მომხრეთა მიტინგი სასამართლოს შენობასთან.*

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ხუთი თვის წინ დაწყებული შარაძე-რამიშვილის დავა, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვლავ პირველ ინსტანციას დაუბრუნდა. საოლქო სასამართლოდან საქმის კვლავ ვაკე-საბურთალოს სასამართლოში დაბრუნება თავის დროზე **"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა სასამართლო კოლეგიის მხრიდან პასუხისმგებლობის მოხსნის მცდელობით ახსნეს. "მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღება ვერ გაბედა და საქმე კვლავ ქვემდგომ სასამართლოს გადაულოცა",** – ამბობდნენ ისინი.

ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საქმის დაბრუნება საკუთარ გამარჯვებად შეაფასა თავად ბრალმდებელმა დეპუტატმა.

გურამ შარაძის მოთხოვნა უცვლელია – იგი სასამართლოს ძალით კვლავ საკუთარი ღირსების დაცვას და ცილისმწამებელი (მისი გაგებით) ლევან რამიშვილის დასჯას მოითხოვს. აღიძრება თუ არა "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, ამას ახალი სასამართლო კოლეგია გადაწყვეტს სულიკო ციცვიძის ხელმძღვანელობით.

მანამდე ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლო მოსამზადებელ ეტაპზე მუშაობდა. მოსამართლე ტაბატაძისგან განსხვავებით, რომელიც შარაძის საქმის განხილვისას თავად გაეხვია შარში და ადმინისტრაციული სასჯელიც დაეკისრა, მომჩივანი მხარე ახალი სასამართლო კოლეგიით კმაყოფილია.

გუშინ მოსამართლე ციცვიძემ კანონით გათვალისწინებული შვიდდღიანი მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა - ახსნა-განმარტება ჩამოერთვა, როგორც ბრალდებულ, ასევე ბრალმდებელ მხარეებს. წინა სასამართლოს მოსამზადებელი ეტაპისგან განსხვავებით, ყოველგვარი ექსცესის გარეშე დასრულდა შარაძის მხრიდან ცრუ დასმენის ოქმზე ხელის მოწერის სავალდებულო ცერემონიალიც.

მოკლედ, პროცესუალურად ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ მართლმსაჯულებამ კანონიერი გადაწყვეტილება გამოიტანოს.

**"იმ დღის შემდეგ, რომდესაც ლევან რამიშვილმა პირდაპირი ეთერიდან უცხო ქვეყნის აგენტობაში, ერთა შორის და რელიგიური შუღლის გაღვივებაში ცილი დამწამა, რამდენიმე თვე გავიდა. მაგრამ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი მონანიების ნაცვლად კვლავ აგრძელებს ცილისმწამებლურ კამპანიას. ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რამიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, რის შემდეგაც მას პასუხისმგებლობაც დაეკისრება. მე მორალური შეურაცხყოფისთვის არც მატერიალურ ანაზღაურებას მოვითხოვ და არც ბოდიშის მოხდას დავჯერდები. ჩემთვის მთავარია, რამიშვილი ციხეში ერთი დღით მაინც ვნახო",** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში შარაძემ.

თავის მხრივ, პოზიციებს არ ცვლის ლევან რამიშვილიც: **"რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს სასამართლოში დამიბარეს და ახსნა-განმარტება დამაწერინეს, სადაც ჩემი აზრი კიდევ ერთხელ დავაფიქსირე. კვლავ დავადასტურე ის, რაც პირდაპირ ეთერში ვთქვი. ეს ჩემი მოსაზრებაა და ვფიქრობ, ყველა ადამიანს აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. მიმაჩნია, რომ ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა და კონსტიტუციური ვალდებულებაა, შარაძის მსგავსი პიროვნებები ვამხილო და ამას სასამართლო ვერ დამიშლის",** – ამბობს ბრალდებული რამიშვილი.

ერთი სიტყვით, არც ბრალმდებელი დეპუტატი და არც ბრალდებული - ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი უკან დახევას არ აპირებენ. სასამართლო კი სისხლის სამართლის აღძვრის (ან არაღძვრის) გადაწყვეტილების მიღებისთვის ემზადება, რომელსაც დღეს, 11 საათზე, გამოაცხადებს.

# მეომრებისთვის მინიჭებული პრივილეგია ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა

ინგა ალავიძე

**"პირად საუბრებში მოსამართლეები გვეუბნებიან, თქვენი სარჩელი სამართლიანია და მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ თქვენნაირი ძალიან ბევრია და თქვენი სარჩელი რომ დავაკმაყოფილოთ, მოგვაკითხავენ და რევოლუცია მოხდებაო. ვერა და ვერ მივაღწიეთ კანონით დაწესებული ნორმის ამოქმედებას. მოსამართლეები იძულებულნი არიან, მსგავსი შინაარსის სარჩელები არ დააკმაყოფილონ, რადგან ეს ხელისუფლებას არ სურს,"**- აცხადებს ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენელი, ადვოკატი შალვა თადუმიძე.

სამართლებრივი დავა, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ წლების წინ დაიწყო, მალე უზენაეს სასამართლოში გაგრძელდება. დიდუბე-ჩუღურეთისა და საოლქო სასამართლოების მიერ გამოტანილ უკანონო გადაწყვეტილებებს ადვოკატი შალვა თადუმიძე უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს. სახელმწიფოს მიერ არიდებული საკითხი, რომელიც სასამართლო დარბაზებში უშედეგოდ განიხილება, ყოფილი მეომრების სოციალურ უზრუნველყოფას ეხება. ეს ის თემაა, რომლითაც წლების მანძილზე მეომრები უმაღლეს ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ და მათთვის ფორმალურად მინიჭებული პრივილეგიების რეალურად ამოქმედებას ითხოვდნენ.

საქართველოში არსებობს კანონი "სამხედრო და შს ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ", რომლითაც სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მეომართა სოციალური დაცვა. ნაზი ფახურიძის ისტორია კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ ეპყრობა სახელმწიფო ნაომარ ხალხს და როგორ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

ნაზი ფახურიძის ვაჟიშვილი, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის ქუთაისის ბატალიონის ოცმეთაური გოჩა ფახურიძე, 1992 წელს აფხაზეთის ომში დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ მას ოფიცრის წოდება მიენიჭა, მოგვიანებით, 1994 წელს, აფხაზეთის ომში გამოჩენილი გმირობისათვის დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით. გოჩა ფახურიძის დედას კი, მარჩენალი შვილის დაკარგვის გამო, სახელმწიფომ ოფიცრისთვის კანონით დაწესებული პენსია - 47 ლარი დაუნიშნა. 1997 წელს ნაზი ფახურიძემ საპენსიო ფონდს მიმართა და ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენოსანთათვის მინიჭებული პრივილეგია – დაწესებული პენსიის 50 პროცენტის დანამატი მოითხოვა. მას საპენსიო ფონდში კატეგორიული უარი განუცხადეს. "თქვენი შვილი ვახტანგ გორგასლის ორდენის სამივე ხარისხის მფლობელი არ იყო და ამიტომაც 50-პროცენტიანი დანამატი არ გეკუთვნითო," – ასეთი იყო ფონდის მიერ ნათქვამი უარის მოტივი. თითქმის იგივე პასუხით გამოისტუმრეს ნაზი ფახურიძე დიდუბე-ჩუღურეთის და საოლქო სასამართლოდან. მისი სარჩელი არც ერთმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა. სასამართლო არგუმენტად ზემოხსენებულ კანონს იშველიებდა, რომლის 41 მუხლშიც წერია: "კანონის შესაბამისად, დანიშნული პენსიები გაუდიდდებათ პენსიონერთა შემდეგ კატეგორიებს: დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოებულ პირებს, ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენით დაჯილდოებულ პირებს... პენსიის ოდენობის 50 პროცენტით." სამართალდამცველთა განაჩენით, კანონით მინიჭებული პრივილეგია ნაზი ფახურიძეს არ ეკუთვნის, რადგან მისი შვილი გორგასლის ორდენის სამივე ხარისხის მფლობელი არ არის. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ გია ბარამიძემ (ნაზი ფახურიძის ყოფილი ადვოკატის შეკითხვის პასუხად) აუხსნა მოსამართლეებს და განუმარტა, რომ კანონი პრივილეგიის მინიჭებას იმ პირებისთვის გულისხმობს, ვისაც სამი ხარისხის ორდენიდან ერთ-ერთი მაინც აქვს მიღებული. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლის განმარტება სასამართლოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა. "გია ბარამიძე პარლამენტი არ არის", – ასეთი იყო ერთ-ერთი მოსამართლის პასუხი.

**"ასეთი რამ არ არსებობს, ვახტანგ გორგასლის ორდენის სამივე ხარისხის მფლობელი საქართველოში არავინ არის. საოცარი რამ ხდება, დედა ითხოვს ომში დაღუპული შვილისთვის მინიჭებულ პრივილეგიას და უარს ეუბნებიან. საუბარია სულ რაღაც 24 ლარის მომატებაზე. სასამართლომ იცის, რომ უკანონო გადაწყვეტილება გამოაქვს, მაგრამ მაინც აკეთებს ამას, რადგან ერთხელ თუ დაუშვა პრეცედენტი და ამ საქმეზე დააკმაყოფილა მოსარჩელე, შემდეგ მას სხვებიც მიმართავენ. სასამართლოს ეს პოზიცია ჩემთვის გაუგებარია,"** – აცხადებს ნაზი ფახურიძის ადვოკატი შალვა თადუმიძე, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, სარჩელის შეტანას ახლა უზენაეს სასამართლოში აპირებს.

*პრეცედენტი*

# ბრალდებული სამი წლის შემდეგ გამართლდა

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"დენზე არ შევუერთებივარ და ძვლები არ დაუმტვრევიათ ჩემთვის, თორემ დანარჩენი ყველაფერი გამიკეთეს. მე ბოლომდე დავიცავ ჩემს უფლებებს და არაკომპეტენტური, არაპროფესიონალი და კორუმპირებული მოსამართლეების პასუხისმგებლობის საკითხს იუსტიციის საბჭოში კიდევ დავაყენებ, "** – ასეთია სამართალდამცველებთან და მართლმსაჯულებასთან ურთიერთობის შვიდწლიანი სტაჟის მქონე გივი ალბოროვის გადაწყვეტილება.

მეზობლებს შორის ხუთი წლის წინ დაწყებულმა სამოქალაქო დავამ, რომელმაც რამდენიმე ინსტანციის სასამართლო მოიარა, შვიდი გამომძიებელი და შვიდი მოსამართლე გამოიცვალა და ცოტა ხნის წინ დასრულდა კიდეც; თუმცა, როგორც ჩანს, ახლა კვლავ აქტიურ ფაზაში შედის. ხუთი წლის განმავლობაში საკუთარი უფლებების დაცვისთვის მებრძოლი გივი ალბოროვი მოსამართლეს უჩივის და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას კატეგორიულად მოითხოვს.

საქმე, რომელმაც, როგორც უკვე გითხარით, ხუთი წლის განმავლობაში სხვადასხვა ინსტანცია მოიარა, უამრავ კანონდარღვევასა და სიყალბეს მოიცავს. გივი ალბოროვის ურთიერთობა სამართალდამცველებთან და სამართალწარმოების ორგანოებთან ასე დაიწყო: მეზობელმა ჯალილ მამედოვმა ალბოროვების ოჯახს სავალი გზა უკანონოდ, უპროექტოდ და ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაწყებული მშენებლობით გადაუკეტა. ალბოროვებმა მეზობელს საბურთალოს რაიონის გამგეობაში უჩივლეს. გამგეობამ მომჩივანთა მოთხოვნა დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ უკანონო ნაგებობა უნდა დანგრეულიყო, მაგრამ უკანონოდ აშენებული შენობა ხელუხლებელი დარჩა, მის ამშენებელს კი სასამართლომ ერთწლიანი პირობითი სასჯელი არგუნა. მოგვიანებით საბურთალოს რაიონის გამგეობამ დაავალა პოლიციას მამედოვების მიერ უკანონოდ აგებული შენობა-ნაგებობის დანგრევა. პოლიცია მართლაც მივიდა ადგილზე, მაგრამ გამგეობის მითითება სამართალდამცველებმა გაურკვეველი მიზეზების გამო არ შეასრულეს. დავის საგანი – უკანონო შენობა - კვლავ ხელუხლებელი დარჩა. ამის შემდეგ მეზობლებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა და საქმე სერიოზულ შელაპარაკებამდე მივიდა. მომჩივანის როლში ამჯერად მამედოვების ოჯახი აღმოჩნდა. გულნარა მამედოვა ირწმუნებოდა, რომ შელაპარაკებისას გივი ალბოროვმა ის დაუნდობლად სცემა. "მარცხენა თვალზე სისხლჩაქცევა; სისხლჩაქცევა მარცხენა ლოყაზე; თხემის ჰემატომა", – ასეთი იყო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გულნარა მამედოვას დაზიანებებს აღწერდა. გივი ალბოროვის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანების მუხლით აღიძრა. **" გულნარა მამედოვას საერთოდ არ შევხებივარ, ექსპერტიზის დასკვნა ყალბია",** - ირწმუნებოდა გივი ალბოროვი, რომელსაც მოსამართლე სთავაზობდა – ექვსთვიან პირობით სასჯელს შეგიფარდებთ, სასჯელს მოიხდი და საქმესაც შევწყვეტთო.

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი სამოქალაქო დავის საქმის განხილვა სასამართლოში თავდაპირველად ორი წლის განმავლობაში გაჭიანურდა გამოძიებასა და მართლმსაჯულებას შორის გამართული "პინგ-პონგის" გამო. მართლმსაჯულება ალბოროვის საქმეს თავიდან იშორებდა და კვლავ გამოძიებას უბრუნებდა. გამოძიება კი ერთი ხელის მოსმით წერდა საბრალდებო დასკვნას და საქმეს ისევ სასამართლოს უბრუნებდა, საბოლოოდ კი გაჭიანურებული საქმე კვლავ გამოძიების ხელში რჩებოდა.

ალბოროვები, საქმის განხილვის გაჭიანურების გამო, საჩივრით იუსტიციის საბჭოსაც მიადგნენ. მეზობლური დავის დაწყებიდან სამი წლის თავზე, საქმის მორიგი, ხელახალი ძიებისას, როგორც იქნა, გივი ალბოროვი გამართლდა. ვაკე-საბურთალოს პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა საქმის ძიება დანაშაულის არარსებობის გამო შეწყვიტა. დაზარალებულ მხარეს მისთვის არასასურველი გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. სამაგიეროდ, წლების განმავლობაში მეზობლისგან და კანონდამცველებისგან უფლებაშელახულმა და საბოლოოდ გამართლებულმა ალბოროვმა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კვლავ სასამართლოს მიმართა. მან ცილისწამებისა და ცრუ ჩვენებების მიცემისთვის მამედოვების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. მოსამართლე ციცვიძემ დაუსაბუთებლად უთხრა უარი სარჩელზე გივი ალბოროვს და მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურებაც არ მიიჩნია საჭიროდ. "საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება ვერ დადგინდა",- ასეთი იყო მოსამართლის ბოლო (რიგით მერვე) გადაწყვეტილება.

**"კანონის მიხედვით, მოსამართლე ციცვიძეს ჩემი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ის ან კორუმპირებულია, ან არაპროფესიონალი. ორივე ბრალდება საკმარისია იმისთვის, რომ ასეთები მოსამართლეებად არ მუშაობდნენ და ადამიანების ბედს არ წყვეტდნენ",** - ასეთია უკვე გამართლებული გივი ალბოროვის პოზიცია, რომელიც ახლა მოსამართლის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. მისი სარჩელი საოლქო სასამართლოსა და იუსტიციის საბჭოში უახლოეს დღეებში შევა.

# სისხლიანი გარჩევა პოლიციელებს შორის

*შაბათს, გორის მთავარ ქუჩაზე, სტალინის გამზირზე, ღამით ამტყდარი სროლის შედეგად სამი ადამიანი დაიჭრა.*

გორში სროლის ხმა ნამდვილად არ უკვირთ. ყაჩაღობა და მკვლელობა აქ თითქმის ყოველდღიურ რეალობად იქცა, პერიოდულად ოპერაციებიც ტარდება მავანი დამნაშავის დასაკავებლად; თუმცა, ამჯერად ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას ძილი თავად სამართალდამცავებმა დაუფრთხეს. სისხლიანი დაპირისპირება პოლიციელთა შორის კამათს მოჰყვა და პოლიციელებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტეს.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებას ჯერ არ დაუდგენია, შემთხვევის ადგილზე შეკრებილ 7-8 პოლიციელს შორის კონკრეტულად ვინ მონაწილეობდა წარმოქმნილ კონფლიქტში და ვინ ისროდა.

საოლქო პროკურორის ამირან ნოზაძის თქმით, მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები; თუმცა, ჩხუბის მიზეზი, ჯერჯერობით, მაინც ბუნდოვანია. წინასწარი ინფორმაციით, დაპირისპირება საგზაო შემთხვევამ გამოიწვია. გამოძიებას ჯერ არც კონფლიქტის დაწყების ზუსტი დრო დაუდგენია. მათთვის მხოლოდ ის გახლავთ ცნობილი, რომ შელაპარაკება შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და გორის პოლიციის თანამშრომლებს შორის დაიწყო. კონფლიქტის წამომწყები იყო გორის პოლიციის სამმართველოს ყოფილი მუშაკი, ამჟამად კი კადრების განკარგულებაში მყოფი პირი. მოგვიანებით დაპირისპირება გაღრმავდა, მასში სხვა პოლიციელებიც ჩაერივნენ და დაპირისპირება უწყებებს შორის ურთიერთსროლაში გადაიზარდა.

გორის ცენტრში ატეხილი სროლის შედეგად დაიჭრა შიდა ქართლის პოლიციის მთავარი სამმართველოს სამი ოფიცერი – გიორგაძე, წაველიძე და მეზვრიშვილი. ამირან ნოზაძის თქმით, გიორგაძის ჭრილობები მძიმეა. გორის საავადმყოფოში მკურნალობს შედარებით მსუბუქად დაჭრილი წაველიძე, რაც შეეხება მეზვრიშვილს, იგი თბილისში გადმოიყვანეს.

ამ ინციდენტის გამო შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსი ნოდარ დალაქიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

## *კრიმინალური ქრონიკა*

### მკვლელი დააკავეს

გლდანი-ნაძალადევის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ძმები კოშელევები. ერთ-ერთმა მათგანმა ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფით მოკლა 32 წლის კახა საბაშვილი და მძიმედ დაჭრა 19 წლის მიხეილ შუშანაშვილი. ამოღებულია მკვლელობის იარაღი – სანადირო თოფი "ვინჩესტერი". გამოძიებას აწარმოებს გლდანი-ნაძალადევის პროკურატურა.

### პოლიციას პლასტმასის პისტოლეტის არ შეეშინდა

გუშინ, დილის 5 საათზე კერძო ტაქსის მძღოლის დასაყაჩაღებლად მთელი დაჯგუფება შეიკრიბა. ადრე ნასამართლევმა ლევან ბერუაშვილმა, თემურ და მალხაზ სიხუაშვილებმა, 26 წლის ნანა კარაევასთან ერთად, წერეთლის გამზირზე ტაქსი გააჩერეს, მერე კი ტაქსის მძღოლს, ზვიად ღონღაძეს, გინებით, დანისა და პლასტმასის პისტოლეტის მუქარით მანქანაც წაართვეს და 168 ლარიც. თუმცა, მოძალადეებს არ გაუმართლათ, ისინი დააკავეს და მათ საქმეს ახლა ისანი-სამგორის პროკურატურა გამოიძიებს.

### ბევრი ჰეროინი ავტოფარეხში

56 წლის რევაზ ლაფაჩს 52 გრ ჰეროინი პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა, ხოლო დანარჩენი 113 გრ, ექვს პაკეტად დაფასოებული, პოლიციელებმა ავტოფარეხში უპოვეს. ლაფაჩის განმარტებით, მან ნარკოტიკები ცხინვალში შეიძინა ვინმე სოსლან დუკაევისგან და თბილისში წამოიღო გასაყიდად. 165 გრამი ჰეროინი შავ ბაზარზე სულ ცოტა 20 ათას ლარად ფასობს.

### თვითმკვლელობები ხშირდება

თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტში, შემაძრწუნებელი სცენა გათამაშდა: 36 წლის ზურაბ გაბელიამ გამყიდველებისა და მყიდველების თვალწინ პისტოლეტი ამოიღო, საფეთქელთან მიიდო და გაისროლა. ყოველივე ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ მისთვის ხელის შეშლა ვერავინ შეძლო. გაბელია ადგილზევე გარდაიცვალა. ამჟამად ტარდება მოკვლევა იმის გასარკვევად, ხომ არ ურევია ვინმეს ხელი მის თვითმკვლელობაში. მოკვლევა ჩატარდა მოსკოვის გამზირზე მცხოვრები, 65 წლის გალინა გოლობკოს თვითმკვლელობის გამოც. თუმცა, ამ შემთხვევაში ტრაგედიის მიზეზები შედარებით ნათელია. როგორც გარდაცვლილის მეზობლები ამბობენ, ქალი ფსიქიურად იყო დაავადებული და სწორედ ფსიქიურმა გაუწონასწორებლობამ აიძულა, მუცელში დანა დაერტყა.

წინასწარი მონაცემებით, სამართალდამცველებს თვითმკვლელობასთან აქვთ საქმე კიდევ ერთ შემთხვევაში. გუშინ, სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვარში იპოვეს 40-45 წლის ქალის გვამი. მისი ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. ის ფაქტი, რომ გვამს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება, აფიქრებინებთ, რომ ქალი მტკვარში თვითმკვლელობის მიზნით გადახტა.

## *მოკლედ*

**თბილისი.** პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, მთავრობაში, დანაშაულის წინააღმდეგ სასჯელის გამკაცრების თვალსაზრისით, კანონპროექტთა პაკეტი მუშავდება, რომელიც არსებულ კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებებს გულისხმობს.

ედუარდ შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ პარლამენტი ამ საკანონმდებლო ცვლილებებს მხარს დაუჭერს.

წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, კახი ასათიანის მკვლელობის ფაქტის კომენტირებისას შევარდნაძემ თქვა, რომ გამართლება არა აქვს იმას, გარდამავალ ეტაპზე რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ "ასცდა კრიმინალთა თავზეხელაღებულ მოქმედებას, რაც ძალიან ძვირად უჯდება საზოგადოებას".

პრეზიდენტის განცხადებით, მომავალ კვირას გაიმართება გაფართოებული შეკრება სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზეც ფართო მსჯელობა გაიმართება იმ გზებისა და საშუალებების შესახებ, რომელთა მეშვეობით კრიმინალთა შემოტევას ბოლო უნდა მოეღოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ბულგარეთის მოქალაქის დაყაჩაღებისა და ადამიანის გატაცებისათვის ძებნილი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები:

ორჯერ ნასამართლევი, 27 წლის ზვიად ხარებავა; ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში მცხოვრები, 44 წლის გელა არველაძე და მრავალჯერ ნასამართლევი, 33 წლის უშანგი ჯიქია. ისინი ხობის რაიონის სოფელ საგვიჩიოსთან თავს დაესხნენ ბულგარეთის მოქალაქეს პანჩო ბინბელოვს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით პირადი ნივთები მოსტაცეს.

უშანგი ჯიქიამ მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს, სხვა პირებთან ერთად, თავისი ავტომანქანით ბადრი კოღუაშვილი გაიტაცა.

ბოროტმოქმედებისგან, რომლებიც სენაკისა და ხობის რაიონების ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, ამოღებულია 37 ათასი აშშ დოლარი, ავტომანქანა ვაზ "21011", რომელიც მიმდინარე წლის 1 აგვისტოს, აბაშის რაიონის სოფელ წყემში, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით წაართვეს ჯემალ კუპრაშვილს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაქარია ქუცნაშვილი საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივით გამოდის და პარლამენტს მხარდაჭერას სთხოვს.

ქუცნაშვილის ინიციატივა კონსტიტუციის 52-ე მუხლის კორექტირებას ეხება, რომელიც დეპუტატის იმუნიტეტის შეზღუდვას ითვალისწინებს.

„მოქმედი კანონმდებლობით დეპუტატს იმუნიტეტი შეუზღუდავად იცავს და მისი დაპატიმრება-დაკავება (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი) შეუძლებელია", – განაცხადა ქუცნაშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე.

მისივე თქმით, ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრის დაკავება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის თუ პირადი გაჩხრეკვა შეიძლება პარლამენტის თანხმობით, გარდა მძიმე დანაშაულისა. ასევე გამონაკლისს წარმოადგენს დანაშაულზე წასწრების შემთხვევა.

ქუცნაშვილის ვარაუდით, ამ ცვილილებით პარლამენტარობის სურვილი აღარ ექნებათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენ პირებს.

ქუცნაშვილის თქმით, თითქმის ყველა ფრაქციის ლიდერი დეპუტატის იმუნიტეტის შეზღუდვის მომხრეა; როცა საკითხი კენჭისყრაზე დადგება, მაშინ გამოჩნდება, ვის აძლევს ხელს პარლამენტის კრიმინალებისგან დაცვა. ცვლილებების აუცილებლობას კი პარლამენტში გახშირებული ხულიგნობა ადასტურებს.

ქუცნაშვილი ამ ცვლილებების ამოქმედებას 2003 წლის ახალი მოწვევის პარლამენტს სთხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ, დილით, ზუგდიდის რაიონის საზღვრისპირა სოფელ შამგონაში, ერთ-ერთი მოსახლის თხილის პლანტაციაში იპოვეს ადამიანის მოკვეთილი თავი, რომლის გვერდით ჩანთა ეგდო. მოკლული 30-35 წლის ქერა მამაკაცი უნდა იყოს. შამგონის და მეზობელ სოფელ თაგილონის მოსახლეობამ მოკლული ვერ ამოიცნო.

შამგონაში განლაგებული, რუსეთის საგუშაგოს პირადი შემადგენლობის თქმით, მათთან არავინაა მოკლული. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლო ჩეჩნების ექსტრადიციის მასალების განხილვას ხვალ გეგმავს. 26 ნოემბერი ის ვადაა, როდესაც ევროსასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა არსებით განხილვაში საქმეს, რომლის სახელწოდებაა "11 ჩეჩენი რუსეთის წინააღმდეგ".

საქართველოში დაკავებულმა ჩეჩენმა პატიმრებმა ევროსასამართლოში სარჩელი 4 ოქტომბერს შეიტანეს. მოსარჩელეებიდან, რომლებიც რუსეთში ექტრადიციას აპროტესტებენ, ნაწილი უკვე ექტრადირებულია.

სტრასბურგმა პირველადი განხილვისას, რომელიც ნოემბრის დასაწყისში მოეწყო, მხარეებს დამატებითი მასალების გადაგზავნა მოსთხოვა. მანამდე კი რეკომენდაცია მისცა საქართველოს, რომ თავის შეიკავოს დარჩენილი 8 ჩეჩენის რუსეთისთვის გადაცემაზე. **კავკას-პრესი.**

# ჯიჰადი და კომპენსაცია







*ყოველი პალესტინელი თვითმკვლელ-ტერორისტის ოჯახი სიკვდილის შემდეგ არაბული ქვეყნებიდან 5-დან 25 ათასამდე დოლარის დახმარებას იღებს. თუ ტერორისტი ოჯახის მარჩენალი იყო, მის ჯალაბს ორმაგი კომპენსაცია ერგება, ვინაიდან პალესტინელები ისრაელის მოქალაქენი არიან. ისრაელის მთავრობა კი მარჩენალდაკარგულ თავის მოქალაქეებს თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფულად დახმარებას აძლევს. ამ კანონის გადახედვასთან დაკავშირებით ისრაელის პარლამენტში ფიქრი მხოლოდ ახლა, მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვის შემდეგ დაიწყეს. არადა, ყველამ იცოდა, რომ ყოველთვიური კომპენსაციები თვითმკვლელი-ტერორისტისთვის დამატებითი სტიმული იყო.*

ზაზა ფაჩუაშვილი
"24 საათის" სპეციალური კორესპონდენტი ისრაელში

## შიმშილი და იდეოლოგია

ნერვიულნი, დაღლილნი და დათრგუნულნი უწოდა ისრაელელებს და პალესტინელებს ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა პროფესორმა ბენ არიელმა, რომელიც თავის ისტორიულ სამშობლოში, სსრკ-დან რეპატრირებული მილიონი რუსი ებრაელის მსგავსად, საკუთარი სახელმწიფოს ასაშენებლად ჩამოვიდა და აღმოსავლურ ალიაქოთში მოხვდა. ისრაელში მყოფ პოსტსაბჭოთა ჟურნალისტებთან საუბარი მან 7-წლიანი მშვიდობიანობის ხანით დაიწყო, რომელიც ისრაელის მშენებლობის 50 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დადგა – 1993-2000 წლებში.

" 1993 წლის "ოსლოს" მოლაპარაკების შემდეგ, როცა პალესტინამ ავტონომია მიიღო და არაფატმა ისრაელთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე თანხმობა განაცხადა, მშვიდობის დამყარება პალესტინაშიც დაიჯერეს. 1995 წლის გამოკითხვის შედეგად ცნობილი გახდა, რომ პალესტინაში ისრაელის წინააღმდეგ ტერორიზმის მომხრე იყო მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი. დანარჩენებს ცხოვრება და მუშაობა უნდოდათ. ისინი პალესტინაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ისრაელში მუშაობდნენ და ოჯახებს ამით არჩენდნენ. ყოველდღიურად პალესტინა-ისრაელის საზღვარს 100 ათასზე მეტი არაბი კვეთდა. ამ პერიოდში ისრაელელი ბავშვებიც თავისუფლად დადიოდნენ სკოლებში და არც მათ მშობლებს უკანკალებდათ შიშით მუხლები.

მაგრამ 2000 წლის სექტემბერში არაფატმა ისრაელის კომპრომისულ წინადადებას ინტიფადას გამოცხადებით უპასუხა, ტერორისტული ომი განაახლა და ამით ყველაფერი დამთავრდა. ისრაელის ჯარმა საზღვრები ჩაკეტა და პალესტინელები კვლავ იზოლაციაში აღმოჩნდნენ. ამის გამო შემოსავალი დაკარგა ათასობით მრავალშვილიანმა ოჯახმა. მოგეხსენებათ, დამღუპველი იდეოლოგიის გარდა პალესტინაში არაფერი მუშაობს. იგი ყველაფერს ისრაელისგან იღებს - ელექტროენერგიას, სასმელ წყალს, ბუნებრივ აირს. შეიძლება ითქვას, რომ ინტიფადას შემდეგ პალესტინაში შიმშილი დაიწყო. ახლა რომ გამოკითხვა ჩატარდეს, ტერორიზმის მომხრე იქნება პალესტინელთა 100 პროცენტი, ვინაიდან ურჯულოთა დახოცვისთვის სამოთხეში მოხვედრის იდეოლოგია, ამისთვის ფულადი კომპენსაცია და შიმშილი თვითმკვლელ-ტერორისტად გახდომის შესანიშნავ პირობებს ქმნის," – გვითხრა პროფესორმა ბენ არიელმა.

## მშვიდობა და არაფატი

პროფესორი ბენ არიელი: " ჩვენი საზოგადოების აზრით, არაფატის საქციელს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. პირველი - არაფატის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მისთვის უკეთესია, იყოს მტრით გარშემორტყმული არწივი, ვიდრე თავისუფალი პატარა ჩიტი. მეორე – არაფატის შიში ექსტრემისტული ორგანიზაციებისადმი. მესამე – არაფატი ფიქრობდა, რომ განუწყვეტელი ტერაქტებით ისრაელს აიძულებდა უფრო დიდ დათმობაზე წასვლას და ა.შ."

აღნიშნული ფაქტორებიდან მშვიდობის დასარღვევად ყველა გამოდგებოდა. მტრებით გარშემორტყმულ არწივობას მოძმე ქვეყნებიდან, მორალურის გარდა, მძლავრი მატერიალური მხარდაჭერაც მოჰყვება. ისეთი, რომ კაცს ომის დაწყებაც არ დაენანება. იერუსალიმის ივრითული უნივერსიტეტის არაბისტი პროფესორის მოშე შარონის აზრით, ექსტრემისტული ორგანიზაციებისადმი შიშიც რეალურია. მისი თქმით, ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი ანვარ სადათი იმიტომ მოკლეს, რომ მან მუსულმანური კანონები დაარღვია, როცა ურჯულოებთან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე ხელის მოწერის (იგულისხმება ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო მოლაპარაკება) შემდეგ ყველას გასაგონად განაცხადა, სისხლისღვრა საბოლოოდ დამთავრდაო.

"მუსულმანებში არ არსებობს მშვიდობიანი მოლაპარაკების ცნება ურჯულოებთან მიმართებაში. მათ მხოლოდ ერთმანეთთან შეუძლიათ ასეთი შეთანხმების გაფორმება. ურჯულოებთან ზავი ყოველთვის დროებითია და ახალი ომისათვის ძალების მოკრებას ემსახურება. ერთხელ ჩემს მოწაფეს აზმი აბუ საიდს ვკითხე (სხვათაშორის, ის არაფატის ძმისშვილია), თქვენ როგორი მშვიდობა გინდათ-მეთქი და გაუკვირდა. განა შეიძლება მშვიდობაზე ლაპარაკიო, ეს ხომ ცეცხლის დროებითი შეწყვეტააო. არაფატმა "ოსლოს" შეთანხმებაზე ხელის მოწერის დროს ძალიან კარგად იცოდა, რომ მშვიდობას მალე დაარღვევდა," – ამბობს პროფესორი შარონი.

მშვიდობის უპერსპექტივობაზე ისრაელში ბევრი ლაპარაკობს. მათ შორისაა ისრაელის პრემიერ-მინისტრობის რეალური კანდიდატის ბენიამინ ნეთანიაჰუს მრჩეველი ბენი ბრისკინი.

" აქ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში მშვიდობა არ დამყარდება. ამიტომ ისრაელმა თავი უნდა დაიცვას და პალესტინის მხრიდან საფრთხე მინიმუმამდე დაიყვანოს," – წუხს იგი და პროგნოზებისაგან თავს იკავებს.

ბრისკინის განცხადება მართლაც დამაფიქრებელია, ვინაიდან მისი შეფი ნეთანიაჰუ მომავალი წლის იანვრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პალესტინიდან არაფატის გასახლებას გეგმავს. როგორც ჩანს, ამას მხოლოდ კომპენსაციების გაუქმება მოჰყვება და არა მშვიდობა.

# ანატოლი ჩუბაისი: "ქართველ ენერგეტიკოსებთან საუკეთესო ურთიერთობები გვაქვს, მაგრამ ბიზნესი ბიზნესია"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთში 25 ნოემბერს დაარსდა საერთაშორისო პრემია "გლობალური ენერგია", რომლის ფონდი 900 ათასი აშშ დოლარია. ამ პრემიის დაარსების შესახებ განცხადება 11 ნოემბერს, ბრიუსელში რუსეთისა და ევროსაბჭოს სამიტის დროს, პრეზიდენტმა პუტინმა გააკეთა. "გლობალური ენერგია" პირველი საერთაშორისო პრემიაა ენერგეტიკის სფეროში, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს ან მეცნიერთა ჯგუფს - მათ შორის, არატრადიციული ენერგეტიკის სფეროშიც. საერთაშორისო პრემიის კომიტეტს ხელმძღვანელობს ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ჟორეს ალფიოროვი. პრემიის ფონდი განიხილავს სულ 5 სამეცნიერო-საკონკურსო ნაშრომს, პრემიის მინიჭების პირველი ცერემონიალი კი 2003 წლის ივნისში სანქტ-პეტერბურგში გაიმართება. თუ რატომ რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში და არა მოსკოვში, ამ მიამიტურ შეკითხვას დღეს არავინ სვამს .

პრემიის ფონდის ოფიციალური სპონსორები არიან რუსეთის სამი წამყვანი ენერგეტიკული კორპორაცია - "გაზპრომი" (ალექსანდრ მილერი), "რაო - ეესი" (ანატოლი ჩუბაისი) და "იუკოსი" (მიხაილ ხოდორკოვსკი). 25 ნოემბერს "პრეზიდენტ-ოტელში" "გლობალური ენერგიის" საერთაშორისო ფონდმა პირველი პრესკონფერენცია გამართა.

"24 საათისათვის " მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში "რაო - ეეს"-ის თავმჯდომარემ **ანატოლი ჩუბაისმა** განაცხადა, რომ "საერთაშორისო ენერგეტიკული პრემია "გლობალური ენერგია" დღეიდან რუსეთის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებაზე იმუშავებს".

**- რამდენად საფუძვლიანია მოსკოვში გავრცელებული ხმები, რომ რუსეთის ხელისუფლებამ კერძო კორპორაციები აიძულა, პრემია დაეფინანსებინათ?**

- აქ იძულების ელემენტი გამორიცხულია, რამდენადაც ეს პრემია მსოფლიოში ცნობილი და ავტორიტეტული - ნობელისა და კიოტის პრემიების საპატიო რიგში ჩადგება. "გლობალური ენერგიის" სამეცნიერო ბრენდში მონაწილეობა იძულებითი კი არა, პრესტიჟული იქნება. პრემიის ჟიურის საბჭოში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წევრები, მინისტრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქნებიან. ასე რომ, მისი წარმომადგენლობითი ხასიათი უკვე გარანტირებულია. შემთხვევით არ ხდება, რომ პრეზიდენტი პუტინი პირადად მეურვეობს პრემიის ფონდს და ყველა ღონისძიება პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ ჩაივლის.



ანატოლი ჩუბაისი

**- ეს იდეა მართლა ცნობილ რუს მეცნიერს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჟორეს ალფიოროვს ეკუთვნის, თუ, როგორც კულუარებში ამტკიცებენ, თქვენ?**

- მსოფლიო ენერგეტიკის სფეროში რუსეთის უკვე ჩამოყალიბებული იმიჯი მოითხოვს მსგავსი სამეცნიერო ორიენტირების არსებობას. ეს იდეა მხოლოდ ჟორეს ალფიოროვის საკუთრებაა, იგია ინიციატორიცა და სულისჩამდგმელიც. ხოლო რუსეთის მსხვილმა ბიზნესელიტამ მას ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ტყუილად არ უთქვამს ჭკვიან კაცს, რომ "ენერგეტიკა ისტორიის ლოკომოტივია". რა სჭირს დღეს ამ ლოკომოტივს? - ეს საკითხი ყველას გვაღელვებს. ამიტომ პრეზიდენტი და პრემიერი ქვეყნის ენერგეტიკული სფეროს რეფორმისთვის იბრძვიან. საბოლოო მიზანი კი მასშტაბური სტრატეგიული ინვესტიციებია – მხოლოდ ინვესტიციებს შეუძლიათ ამ დარგის ფუნდამენტური მეცნიერების განვითარება, ამიტომ ჩვენი კოლეგებიც აქტიურად ჩაერთნენ ამ პროექტში. მსხვილი კორპორაციების მონაწილეობა ენერგეტიკული რეფორმის განხორციელებაში აუცილებელია.

ერთსაც აღვნიშნავდი: აშშ-რუსეთის სამიტის დროს, ბუშმა და პუტინმა უმაღლეს დონეზე განიხილეს ორი სახელმწიფოს ენერგეტიკული პარტნიორობის თემა. აშშ-რუსეთის ენერგეტიკული დიალოგი ახალი რუსეთის იმიჯზე მუშაობს. დღეს რუსეთი ფეხზე დგება, არის კარგი დინამიკა ენერგეტიკის სფეროში. ამიტომ პარტნიორები გვიმრავლდებიან.

**- თქვენი აზრით, რა განაპირობებს ენერგეტიკულ პრობლემებს საქართველოსთან, ამას პოლიტიკური სარჩული ხომ არ უძევს?**

- არავითარი კონფლიქტი არ გვაქვს საქართველოსთან. უფრო მეტიც, ქართველ ენერგეტიკოსებთან საუკეთესო ურთიერთობები გვაკავშირებს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრთან პირადი და კეთილი კონტაქტები გვაქვს. მაგრამ ბიზნესი ბიზნესია. ჩვენ შევთანხმდით, რომ არსებობს დავალიანება, რასაც გადახდა სჭირდება. ეს პრობლემა რუსეთის შიგნითაც გვაქვს - რა ვქნათ, არ შეგვიძლია ელექტროენერგიის ვიღაცისათვის ჩუქება, მით უფრო, ვერ გავაჩუქებთ ენერგიას ქვეყნის გარეთ. საქართველოს წარმომადგენლებს ჩვენ გასაგებად ავუხსენით, რომ როგორც კი დავალიანება დაიფარება, ჩვენ დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ხელოვნური პრობლემების გარეშე და სიამოვნებითაც განვაახლებთ ელექტროენერგიის მიწოდებას. ეს ნორმალური ბიზნესია და უკმაყოფილო არავინ უნდა დარჩეს. პოლიტიკურ სარჩულს მე აქ ვერ ვხედავ.



www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# დანაშაულის გასახსნელად ისევ დამნაშავეთა სამყარო უნდა გამოიყენო

*შერლოკ ჰოლმსი მაინც სულ სხვაა... საინტერესოა, დაკითხავდა თუ არა ის ერთ კვირაში ასეულობით ვერცხლისფერი BMW-ს მაღალ, შავგვრემან მძღოლს, მკვლელის გამოსავლენად.*
*დღესაც გვინდოდა ჰოლმსის მსგავსი ადამიანის პოვნა... ძებნაში რომან გვენცაძეს მივადექით. იგი პოლიციაში (მაშინ, მილიციაში) 1974 წელს ინსპექტორის თანამდებობაზე მივიდა და 1993 წელს შს მინისტრის თანამდებობით დაემშვიდობა მშობლიურ სტრუქტურას.*
*გვენცაძე გამოჩენილი ოპერატიული მუშაკი იყო და მის სახელთან არაერთი ისეთი საქციელია დაკავშირებული, პოლიციელისგან რომ გვიკვირს.*
*გასაკვირი კი ერთი პოსტულატის გამოა, - სამწუხაროდ, არც წინა რეჟიმის დროს და მით უფრო, ახლა, - არ დამკვიდრდა კარგი პოლიციელის მოდელი. ანუ, ის, ვინც მართლა ებრძვის დამნაშავეებს და ის, ვინც მართლა იცავს უდანაშაულოს...*
*დღევანდელი ჩვენი "პერსონა" თითქმის ასეთად შემორჩა ქართველ ოპერმუშაკთა ისტორიას. დღეს პარლამენტარი რომან გვენცაძე იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების წევრი და კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეა.*



*რომან გვენცაძე*

მაია ჭალაგანიძე

**- დანაშაულის გახსნის რა ხერხები იყო გავრცელებული საბჭოთა კავშირში. იყო თუ არა ეს, მხოლოდ აღიარებითი ჩვენებები, ისე, როგორც დღეს?**

- დანაშაულის 20-30 პროცენტი ოპერატიული სამძებრო და საძიებო მუშაობის შედეგად, ცხელ კვალზე იხსნებოდა; დანარჩენი 70 პროცენტი კი - ოპერატიული გზით, სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით. აქ ვგულისხმობ აგენტურასაც და ოპერატიული მუშაკის პროფესიონალიზმსაც.

**- სად იგულისხმება ცემით მოპოვებული "აღიარება"?**

- დღეს ახალი თაობა მოვიდა სამართალდამცავ სტრუქტურებში. გარდა ამისა, ისეთი კანონებია და იმდენი ინსტიტუტებია ჩარეული ამ საქმეში, რომ ცემას არა მგონია, მასობრივი ხასიათი ჰქონდეს. ერთეულ შემთხვევებს კი, როგორც ვიცი, თავად შსს-ს ხელმძღვანელობა ებრძვის.

**- ლოგიკით, როდის რთულდება ქვეყნის კრიმინოგენული ვითარება?**

- რეფორმების დროს. რა თქმა უნდა, რეფორმების მომხრე ვარ, მაგრამ ეს პროცესი თანამიმდევრული უნდა იყოს. ყველაფერი არ უნდა გადმოვწეროთ. უნდა გავითვალისწინოთ ქართველი ხალხის თავისებურება და ტრადიცია. ფრანგული, ამერიკული ან გერმანული მოდელი ჩვენში არ იმუშავებს. უნდა შეჯერდეს ქართულ მენტალიტეტთან, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან.

ადრე, კომუნისტების დროს, გვეკრძალებოდა სოციალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისთვის თავისი სახელის დარქმევა. ღარიბი და მდიდარი მაშინაც იყო, მაგრამ არ იყო მათ შორის ამხელა განსხვავება, საშუალო ფენა კი არსებობდა. მუქთახორობისთვის და უმუშევრობისთვის მაშინ სასჯელი იყო დაწესებული. დღეს სამსახურში ვერც მოეწყობი. ადამიანები სოციალური სიდუხჭირის გამო, საქართველოდან გადიან. ადრე, ქურდულ ტრადიციებს იდეებისა და გაჭირვების გამოც მისდევდნენ. სოციალური გაჭირვება დღეს მრავალი დანაშაულის მიზეზი ხდება. და ამ პრობლემებს ყოველდღიურად ვეხები.

7-კაციან ოჯახში როცა არავინ მუშაობს, რომელიმე აუცილებლად იფიქრებს ფულის მოკლე და სწრაფი გზით შოვნაზე. დუხჭირი ცხოვრება ადამიანს დანაშაულისკენ უბიძგებს. რა თქმა უნდა, ამას არ ვამართლებ, მაგრამ ეს რეალობაა. კანონი კი გაჭირვებას შემამსუბუქებელ გარემოებად არ აღიქვამს.

ძალოვან სტრუქტურებშიც იგივე საზოგადოებიდან მოსული ადამიანები მუშაობენ, ციდან ჩამოვარდნილი კი არ არიან. პოლიციელი რომ თვეობით არ მიიღებს ფულს, ტანსაცმელს, ტექნიკას... მისგან ყველაფერს უნდა ელოდო. ვიმეორებ, ამას მათ გასამართლებლად არ ვამბობ.

**- თქვენ, ალბათ, ქვედა ფენებს გულისხმობთ, - პოლიციის, ჯერ კიდევ, წესიერ ნაწილს.**

- გამონაკლისები ყოველთვის იყო და იქნება. წესიერები ზედა ფენებშიც არიან. წესრიგის დროს, პოლიცია უზრუნველყოფილი იყო ყველაფრით - მათ შორის, დიდი შეღავათებით. დღეს ისინი ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი. ტყვიაზე მიდიან და დანაშაულის გახსნა ევალებათ. როცა პოლიციელს ასე უჭირს, წაუცდება ხელი ფულზე, აბა, რა იქნება...

**- თქვენ სამართალდამცავ სტრუქტურებში მოღვაწეობდით მაშინ, როცა ეს ისე პრესტიჟული არ იყო, როგორც დღეს. რატომ ილტვის ყველა ამ რეპუტაციაშელახულ სტრუქტურაში სამუშაოდ?**

- ვერ დაგეთანხმებით. პირად შემადგენლობაში დიდი დენადობაა. ხალხი ამ სტრუქტურებიდან მასობრივად მიდის. ასეთი დენადობა არასდროს ყოფილა. ვაკანსიები კი პოლიციაში ადრე, პრაქტიკულად, არ იყო. რას სთავაზობს დღეს სახელმწიფო 80 ლარიან პოლიციელს? ვერაფერს, - ჩამოკიდა იარაღი, მისცა საბუთი და გაუშვა ბედის ანაბარა. პოლიციელებიც იმ სენით არიან დაავადებული, რითიც მთელი საზოგადოება.

**- რას მიაწერთ ამას?**

- სოციალურ გაჭირვებასა და სახელმწიფოს მოშლილობას. ჩვენი სახელმწიფო კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. დღეს ყველა დარგს პრიორიტეტულს უწოდებენ. რომელიმე დარგის ცალკე გამოყოფას აზრი არ აქვს. ყველა დარგმა ერთიანად უნდა იმუშაოს.

**- რა წილი აქვს დანაშაულობების გახსნაში ადამიანურ ფაქტორს?**

- მქონია ასობით ისეთი შემთხვევა, როცა მარტო მე მჯეროდა ეჭვმიტანილის უდანაშაულობისა და მართალი ვყოფილვარ. კარგ ოპერატიულ მუშაკსა და გამომძიებელს ეჭვმიტანილთან ერთი-ორი დღის მუშაობის მერე, გამოცდილება და ინტუიცია კარნახობს, არის თუ არა იგი დამნაშავე. ამას უნდა - არსებული მასალების კარგი ანალიზი, საინფორმაციო წყაროს სამართლიანობა, ჯდება თუ არა ინფორმაცია დანაშაულის ფორმაში, ალიბების გადამოწმება, ვერსიების გამორიცხვის მეთოდი.

არავის არაფერს ვკარნახობ. უბრალოდ, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვსაუბრობ. დღევანდელმა სამართალდამცავებმა ჩემზე უკეთ იციან ყველაფერი.

**- ყველაზე რთული საქმე, რაც გაგიხსნიათ...**

- ძალიან ბევრი. რომელი გამოვარჩიო... 80-იან წლებში ავიყვანე 29 კაციანი ბანდა, რომელიც სისტემატურად იტაცებდა ადამიანებს. მძევლებს საშინლად აწამებდნენ და ფულს სძალავდნენ. გატაცებულები, ძირითადად, მეღვინეები იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი გატაცებისა და წამების ფაქტები 22-მდე იყო და არც ერთი არ იყო განცხადებული. მაშინ, მეღვინეებს ფულის გამოჩენის ცალკე ეშინოდათ და გამტაცებლებისა - ცალკე. ამ ჯგუფიდან, არც ერთი შემთხვევითი ადამიანი არ ყოფილა. 22-დან მარტო 8 - მრავალჯერ ნასამართლევი კანონიერი ქურდი იყო... ისინი ბანდიტიზმის მუხლით დასაჯეს. ერთ ხანს, თითქოს, შეწყდა ეს. ახლა - ისევ დაიწყო.

**- დღეს სად არიან ისინი?**

- 15 წელი ჰქონდათ მისჯილი და გამოვიდნენ, ზოგი გამოსწორდა, ზოგმა ისევ ჩაიდინა დანაშაული... რა ვიცი.

**- გაგიხსნიათ თუ არა შეკვეთილი მკვლელობა. კონკრეტულად როგორ?**

- შეკვეთილი დანაშაულობები ადრე გაცილებით ნაკლები იყო. რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ, ასეთი მასობრივი ხასიათი არ ჰქონდა. დამოუკიდებლობასთან ერთად ჩვენ საძმოები და დანაშაულებრივი დაჯგუფებები მოვიპოვეთ. მაშინ ისინი ვითომ ხელისუფლებას ეხმარებოდნენ წესრიგის დაცვაში; ციხიდან გამოსულ ხალხს იარაღს აძლევდნენ... თავად გამიხსნია არაერთი ასეთი დანაშაული.

**- თქვენ რომ იძიებდეთ ასათიანის საქმეს, პირველად რას გააკეთებდით? დაკითხავდით თუ არა ვერცხლისფერი BMW-ს ყველა შავგვრემან მძღოლს. თუ დაკითხავდით, რა შედეგს მოგიტანდათ ეს?**

- ამდენი მძღოლის დაკითხვა არ მიმაჩნია... არ მოხდებოდა ეს. რა გამოვა, - ის კაცი გეტყვის, მე ვიყავიო? არსებობს გამორიცხვის მეთოდები, დადგინდება, რამდენია ასეთი მანქანა, მერე, ეს რიცხვი კიდევ შემცირდება; ჩამოვა - ათამდე. არსებობს ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები. დაკითხვა ბოლო სტადიაა.

კონკრეტულად არ ვიცნობ ამ საქმეს, დამნაშავეს ვერ გაპოვნინებთ, ამიტომ, ზოგადად გეტყვით -. კახი ჩემი მეგობარი იყო. მას 57 წელია ვიცნობ. ძალიან ცუდად გავხდი, ეს ამბავი რომ გავიგე.

მაგ საქმეში დამკვეთი, ანუ ისინი, ვისაც კახის თავიდან მოშორება უნდოდა, სამი ოთხი კაცი მაინც იქნებოდა. შემსრულებელიც - როგორც ვიცით, არ იყო ერთი. ამ ათამდე ადამიანიდან ერთიც არ გამოჩნდა ისეთი, ვინც ხელი აალებინა ამ დანაშაულზე. ეს არის სწორედ გულსატკენი. კახი არ იყო ისეთი პიროვნება, რომ ასეთი სისასტიკით მოეკლათ. პირდაპირ გეტყვით, ერი რომ აქამდე მივა, მას მკურნალობა სჭირდება.

მჯერა, რომ კახის საქმეს აუცილებლად გახსნიან. ვიცი, რომ 24 საათიანი რეჟიმით მუშაობენ ამისთვის.

**- არანაკლებ გახმაურებული საქმეები დარჩენილა გაუხსნელი...**

- გაიხსნება. ზოგ დანაშაულს 10-15 წელი სჭირდება, ზოგი ცხელ კვალზე იხსნება. ზოგიც, - 2 თვეში...

**- დანაშაულის პროფილაქტიკა, - რას ნიშნავს ეს?**

- ადრე, დანაშაულის პროფილაქტიკის სპეციალური სამსახურები იყო. მუშაობდნენ საეჭვო პირებთან, სამსახურში აწყობდნენ, ზოგს იძულებით ასაქმებდნენ.

დანაშაულის ყველაზე კარგი პროფილაქტიკა დამნაშავის დაჭერაა. ეს არის დანაშაულთან ბრძოლის უპირველესი ბერკეტი.

**- სამართალდამცავ სტრუქტურებს კრიმინალურ სამყაროსთან განუყოფლად აკავშირებენ. თქვენი აზრით, საიდან მოდის ეს და სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს?**

- რაც ადამიანზე ვისაუბრე, ის პოლიციელსაც ეხება. ის ცდუნებას ვერ უძლებს. კომუნისტური რეჟიმის დროს, დანაშაულის მუხლი არ ყოფილა, პოლიციელს რომ არ ჩაედინა. იგივეა ახლა. მათ ერთმანეთთან კავშირს არავინ უარყოფს, მაგრამ მასობრივად ეს არ ხდება.

**- არც "ქურდები" მოიპოვებიან მასობრივად.**

- არა, ძალიან ბევრნი არიან და ამის გამო, პოლიცია და მთელი ქვეყანა დიდი პრობლემის წინაშე დგება. ამ ვითარებას ბოლო თანმიმდევრულად უნდა მოეღოს... პოლიციას ხელი უნდა შეეუწყო. ვგულისხმობ კანონებს, რომელიც ნაჩქარევად მივიღეთ და ამით პოლიციის მუშაკებს ბორკილები დავადეთ. როცა ვამბობ, რომ პოლიციას უფლებები უნდა გავუფართოვოთ, იმას არ ვგულისხმობ, რომ პატიმრების ჯოხით ცემა დავუკანონოთ.

**- აბა, რას გულისხმობთ, ბატონო რომან?**

- პირობები უნდა შევუქმნათ. წინა კანონმდებლობით, ეჭვმიტანილს აიყვანდნენ და სამი დღე-ღამე ჰქონდათ დაკავების უფლება. ამ დროში მათ უნდა მოეკვლიათ, ემუშავათ და მერე წარედგინათ სანქციაზე. ახლა - აიყვან თუ არა, ადვოკატი ერთვება საქმეში და დაკავებულს დუმილის უფლების გამოყენებას ურჩევს. არ ვარ ამის წინააღმდეგი, მაგრამ დღეისთვის, პირადი შემადგენლობა ამისთვის მზად არ არის.

**- იქნებ, საქმე მათ პროფესიონალიზმშია?**

- სანამ დამნაშავეს აიყვანს, მას სჭირდება მასალები, მტკიცებულებები. ამას დღეები, კვირეები სჭირდება. დანაშაული კი ყოველ წამს ხდება. პირადი შემადგენლობა არ ეყოფა, რომ ამდენი დანაშაულის მასალებზე სათითაოდ იმუშაოს. დაკავებულები დამნაშავეები არიან, მაგრამ პოლიციას ამის დამტკიცებისთვის დრო არ აქვს და ვერ უმტკიცებს. რა თქმა უნდა, ადამიანის ცემა-ტყეპის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ამდენი ინსტიტუტი იცავს პატიმართა უფლებებს, დაზარალებულთა, ან პოლიციელთა უფლებების დაცვა კი არავის ახსენდება.

**- თქვენი აზრით, რა სჭირდება სამართალდამცავი ორგანოების სახელისა და პრესტიჟის აღდგენას?**

- ზოგიერთი სვამს კითხვას, - ჯერ წესრიგი უნდა დამყარდეს და მერე ეკონომიკა განვითარდეს, თუ ჯერ ეკონომიკას მივხედოთ, პოლიციას პირობები შევუქმნათ და წესრიგიც დამყარდება? ასე ვუპასუხებდი - ორივე ერთად. ეკონომიკა და წესრიგი ერთად უნდა აღორძინდეს, იმის დრო არ გვაქვს, რომ ველოდოთ, როდის აყვავდება ქვეყანა და დამყარდება წესრიგი. ორივე ერთმანეთთან იმდენად არის დაკავშირებული, რომ ცალ-ცალკე არ იმუშავებს. ორივე ერთად უნდა დაიძრას. ამას მონდომება და ხელისუფლების ნება უნდა.

**- არსებობს თუ არა გაუხსნელი დანაშაული?**

- მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ იხსნება ყველა დანაშაული. თეორიულად კი - ყველა უნდა გაიხსნას. ჩემი მონაცემებით, დანაშაულის გახსნის საერთო მაჩვენებელი 75-80 პროცენტია.

**- ეს პროცენტები წვრილი დანაშაულობების ხარჯზე იზრდება...**

- რა თქმა უნდა, მძიმე დანაშაულის გახსნა უფრო რთულია და მათი გახსნის პროცენტული მაჩვენებელი საერთო დანაშაულის მაჩვენებელთან შედარებით ნაკლებია, - ეს მთელს მსოფლიოში ასეა.

**- თქვენ, ალბათ, იცნობთ პოლიციელებს, რომლებიც დილით ადამიანის ცემითა და წამებით არიან დაკავებულნი და საღამოს მშვიდად ეთამაშებიან შვილებს. როგორი ადამიანები არიან ისინი?**

- მე მგონია, რომ დღეისთვის ასეთი ფაქტები მინიმუმამდეა დაყვანილი. საამისოდ, დღეს ბევრი სტრუქტურებია შექმნილი. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ პენიტენციალური სისტემა იუსტიციის სამინისტროში გადავიდა. არ ჯდება დემოკრატიული ქვეყნის მოდელში ის, რომ ერთი და იგივე სტრუქტურამ დაიჭიროს და შეინახოს ადამიანი. წინასწარი დაკავების საკანში, პოლიციელმა რომ კაცი ცემოს, პენიტენციალური სისტემა არ მიიღებს მას. თვითონ უფლებათა დამცველები აღიარებენ, რომ წამების ფაქტები მინიმუმამდეა დაყვანილი.

**- გახშირდა პოლიციელთა მძევლობის ფაქტები. გუშინაც, ვარკეთილში, მსგავსი პრეცედენტი მოხდა. თქვენ პროფესიონალი პოლიციელი ხართ. რას დაარქმევდით ამას?**

- გუშინდელ შემთხვევასაც და რუსთავში მომხდარსაც, დადებითად ვაფასებ. მძევლად კი არ აიყვანეს, არამედ ჩაენაცვლნენ. ჩვეულებრივმა მოქალაქემ თავის დახსნისთვის, შეიძლება, ვერაფერი გააკეთოს. ისინი კი თვითონ ჩაბარდნენ, ჩაენაცვლნენ, დიალოგი გამართეს დამნაშავესთან, რაღაცას შეპირდნენ... და ეს მათი პროფესიონალიზმის სასარგებლოდ მეტყველებს. ამ შემთხვევაში, პოლიციელი თავს წირავს. ეს კი ვაჟკაცობაა.

**- არიან თუ არა დაკავშირებული კრიმინალურ სამყაროსთან პოლიციის მაღალჩინოსნები?**

- მაღალჩინოსნებს ვერ დავიჯერებ. თუმცა, პოლიციას კრიმინალებთან ურთიერთობა ჰქონდა და ექნება. მეც მქონია ურთიერთობა დამნაშავეთა სამყაროსთან. მაგრამ, ეს ურთიერთობა სამსახურეობრივია. პოლუსები არ უნდა აირიოს - პოლიციელი თავის პოლუსზე უნდა იყოს და კრიმინალი თავის პოლუსზე. დანაშაულის გასახსნელად ისევ დამნაშავეთა სამყარო უნდა გამოიყენო, - აკადემიკოსი დანაშაულს ვერ გაგახსნევინებს. მხოლოდ, ურთიერთობა უნდა იყოს საქმიანი და საიდუმლო. კრიმინალს პოლიციელი არ უნდა შეეკრას და მისგან გასახსნელი საქმე არ უნდა მიიღოს. ეს მაინც არ იმალება.

**- როდის გვეყოლება კარგი პოლიციელი**

- როცა ერთად, - მე, თქვენ, პოლიციელი, ეკონომისტი, ბიზნესმენი და ა.შ. ავაშენებთ კარგ ქვეყანას.



## მალხაზ ხარბედიას სვეტი



# მხიარული გრანტოფაგების საქბილო

### ანუ პოლიტიკური ანეკდოტის ბედი საქართველოში

ძველი ბერძნები ანეკდოტს "გამოუცემელს" უწოდებდნენ. მაგრამ ეს მერე იყო, მანამდე კი, უფრო ძველებმა - რომლებმაც, როგორც ჩანს, არ იცოდნენ, რა იყო წიგნები და არც მათი "გამოცემისა" გაეგებოდათ რამე - ეს ბასრი სიტყვა გაუთხოვარ ქალს შეარქვეს. "სად ერეკლეო და სად ჩვენი თოროზაანთ თეკლეო", იტყვის ჩვენი განათლებული მკითხველი, მაგრამ აბა გადახედეთ სათაურს, კორინთული კაპიტელივით რომ ადგას ჩვენს სვეტს და გაიხსენეთ, რომ ქართული პოლიტიკური ანეკდოტის კულტურაც სწორედ რომ იმ გაუთხოვარ ქალსავით აპკგაუხსნელია, უხმარი და რიდიანი.

ქართველებს პოლიტიკური ანეკდოტის გემო არც არასდროს გვიგემია, ეს კულტურა ვერ ავითვისეთ, იგი მხოლოდ თარგმანის სახით შემოდიოდა ჩვენთან და ქართველიც კარგად ირგებდა ამ თარგმანს. სულ სხვა ვითარებაა დღეს, როცა თავად ქართული პოლიტიკა აღმოჩნდა ანეკდოტურ ვითარებაში, თანაც გარეგნულადაც მას დაემსგავსა. ხომ გახსოვთ, როგორ გამოიყურება ანეკდოტი, ერთი უბრალო სიტყვა-პასუხია ლაზათიანი დასასრულით. და ამ ლაზათითაა რომ განმუხტავენ ხოლმე დაძაბულობას ადამიანები, ამაშივეა ანეკდოტის კომუნიკაციური ფუნქციაც და ძველი რეჟიმის პირობებშიც სწორედ ამით ითქვამდნენ სულს.

მოდით ქართულ პოლიტიკაზეც ვთქვათ, იქაც სიტყვა-პასუხია ლაზათიანი დასასრულით, ოღონდ მუშტითა და ჭიტლაყით, თანაც მისი კომუნიკაციური ფუნქცია ცოტა სხვაა, იგი მხოლოდ ვიწრო წრეზე როდია გათვლილი, არამედ საერთო სახალხოა, ანეკდოტი-Live-ში და ეს ანეკდოტი პირდაპირ ეთერში მიდის მილიონებისთვის. სადღაა ის სიმყუდროვე, ასე რომ ამკობდა პოლიტიკურ ანეკდოტს, ან ადრე სად ნახავდი კაცი დაბეჭდილს, ყველაფერს ამას. ახლა კი ამან საჯარო ხასიათი შეიძინა და ანეკდოტებსაც მას-მედია გვაწვდის.

ერთი ძველი "ხოხმაა", ცოლი ამოიხვნეშებს და ქმარი ეტყვის, ხო გთხოვე არა, პოლიტიკაზე არ გვინდა ლაპარაკიო. ანუ აქ ანეკდოტის საგანი სიტყვით კი არა, ქმედებით გამოიხატება, ერთი უბრალო ამოხვნეშით და დღესაც, პრინციპში ეგეთ დღეში ვართ, ანეკდოტურ სიტუაციას კი არ გვიყვებიან, არც გადმოგვცემენ, არამედ ყოველგვარი მედიატორის გარეშე გვაჩვენებენ პირდაპირ ეთერში, ან ვკითხულობთ ინტერვიუში. ესაა Real-TV-ის პრინციპი და ვიდრე ამ რეჟიმში ვცხოვრობთ, მანამდე ვერ დავტკბებით ლაზათიანი იუმორით. არადა რამხელა მასალას იძლევა ეს ოხერი რეალობა, თითქოს გიხმობს: მოდი რაღა, გარდამთქვი და ხალხი გააცინეო!

ნოდარ დუმბაძესთან დაკავშირებული ერთი ამბავი მახსენდება. ინაურს დაუბარებია თურმე. ისე, უბრალოდ, ხმა უნდოდა გაეცა საყვარელი მწერლისთვის. ჰოდა, მისულა ნოდარი ამ სფინქსთან, უბაასიათ და როცა გამოსულა, დაფეთებული თანამოკალმეები დასევიან: ჰა, რა ხდებოდა შიგნითო!. არაფერიო, უპასუხია ნოდარს, უბრალოდ, სკამების ნაცვლად ბოთლები აქვთო.

ეს ერთ-ერთია იმ რამდენიმე უმანკო ხუმრობიდან, რომლებიც იმ დროიდან გვახსოვს.

სამწუხაროდ დღეს იუმორი უკვალოდ გაქრა სადღაც, არც ტელევიზიაში ჩანს და არც პრესაში (სცენაზე რომ არაფერი ვთქვათ). ისე, ვერც წარსულით ვიამაყებთ, რადგან მარტო პაროდისტები საქმეს ვერ შველიან ხოლმე, ამ საქმეს ავტორები სჭირდება, აი ისეთი, გუბერმანი რომ იყო რუსეთში, კაცი, რომელმაც ერთხელ ასეთი რამ ამოთქვა: Давно пора, ебена мать,/ умом россию понимать! და იქვე დასძინა: Среди немыслимых побед цивилизации/мы одиноки, как карась в канализации. ეს ჭკუამხიარული რუსი-ებრაელი მალე დაიჭირეს, შემდეგ კი იერუსალიმშიც დაახვევინეს, გააგდეს, რადგან რუსეთში მაშინ არავის სჭირდებოდა მისნაირი ჭკუის მასწავლებლები... ეგ კი არა, მიხაილ ზადორნოვმა ამ სტრიქონის ძველი, პირველადი სტატუსის აღდგენით (Умом Россию не понять) სული მოითქვა, კაი პურსა ჭამს, პრეზიდენტსაც უყვარს, თანაც ენაბასრი სატირიკოსის სახელიც დაიმკვიდრა.

ეს ისე, ინფორმაციისთვის, თუმცა დავძენ, რომ ჩვენს სამეზობლოში ახლაც არავის სჭირდება თავისი ქვეყნის გონებით წვდომა, ისევ განუზომელი და აუწყველი რუსეთი ურჩევნიათ (Аршином общим не измерить), დაწყობილ და შემოსაზღვრულ სახელმწიფოს და ამიტომაცაა, საკუთარი საზღვრები რომ ავიწყდებათ, სხვაგან დაფრინავენ და სხვაგანვე აფრენენ ხოლმე თავიანთი სპეცსამსახურების მალემსრბოლებს. ზოგს გაგზავნაც არ ჭირდებათ, ადგილზევე მოიძებნებიან, როგორც მაგალითად ჩვენთან და მათ მხოლოდ თითის წახმარება სჭირდებათ, ბუდიდან რომ ამოფრთხიალდნენ.

ხო მართლა, სპეცსამსახურებზე გამახსენდა: ამბობენ, ახლო მომავალში, ანუ არჩევნების წინ, პოლიტიკური ანეკდოტების ჟანრის აყვავებაა მოსალოდნელი საქართველოში და იმასაც დასძენენ, რომე (როგორც ჩვენი რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი იტყოდა), ეს მადლიანი საქმე, სწორედ სპეცსამსახურებს წამოუწყიათ. წარმოიდგინეთ, ახლოვდება არჩევნები და ამ დროს საკაშვილზე გაიგონებ კარგ, ჯანიან ანეკდოტს, ანდა ჟვანიას, ან "ახლების" შესახებ მოყვებიან ახალი დეტალებითა და საარჩევნო პროგრამიდან ამოღებული მოტივებითა თუ მითოლოგემებით შეკმაზულ ანეკდოტებს.

რას შვრებიან ამ დროს საერთაშორისო ორგანიზაციები? როგორ თუ რას? აგზავნიან პრიორიტეტული სფეროების ნუსხას და იმ ნუსხაში (გამაგრდი მკითხველო და გაიხარე ჭკუამხიარულო გრანტოფაგო) მომავალი წლის დასაწყისიდან პოლიტიკური ანეკდოტის აყვავება ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტად მოჩანს.

მაშ ასე, მომავალი წლიდან იმ ხალხსაც შეუძლია მიადგეს ღია საზოგადოებების კოორდინატორებს (ხო აზრზე ხართ, კოორდინატორებად რა მაგარი ხალხი იქნება), ვისაც არასდროს დასიზმრებია ეს ძვირფასი ორგანიზაციები და აქამდე მხოლოდ ერთობოდნენ, თავისთვის. მერე ნახეთ პარლამენტის ტრიბუნიდან საიდუმლო დოკუმენტაციის ფრიალი, აქაოდა სახელმწიფო უშიშროება არასამთავრობოებს აკონტროლებსო. მერე კი საინფორმაციოს ეთერში გამოჩნდებიან ახალ-ახალი "ენჯეოები", მაგალითად, ასეთი სახელით: "მოძრაობა ნახალოვკის ლაზათიან სიცილ-ხარხარში გამოწრთობისა და განვითარებისათვის", გაიმართება კარგად დაფინანსებული და ორგანიზებული საქველმოქმედო კონცერტები: "ქმრებზე მღერიან და ხუმრობენ ქართველ პოლიტიკოსთა ცოლები" და ა. შ.

ერთი სიტყვით, გავერთობით და ქართული პოლიტიკური ანეკდოტის ქალწულებრივი ინსტიტუტიც გადავარდება. მართალია, არჩევნების შემდეგ ცოტათი გამჭრიახობა მოაკლდება ამ კამპანიას, მაგრამ უცხოური ფონდების გრანტების ანაბარანი, სულს მაინც მოვითქვამთ პოლიტიკური ანეკდოტების თხზვით.

## განცხადება

2002 წლის 29 ნოემბერს, პარასკევს 10 საათზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციულ კორპუსში (სააკაძის მოედანი) საქართველოს მხატვართა კავშირის XIV ყრილობა გაიმართება. მანდატების მისაღებად გთხოვთ, მობრძანდეთ 27, 28 ნოემბერს საქართველოს მხატვართა კავშირში.

მხატვართა კავშირის სამდივნო

# „შემოდგომის აზნაურები" შემოდგომის მიწურულს

### "სოლომან მორბელაძის" პრემიერა

თამარ მურვანიძე

რა გინდა, ნამდვილი ანშლაგიაო – ხუმრობდნენ თეატრის მსახიობები. თეატრში გუშინ მთელი უბნის სკოლის მოსწავლეებმა მოიყარეს თავი, იყო ერთი ღრიანცელი, ჭიდაობა, სტვენა და ფეხების ბაკუნი, მასწავლებლების ტუქშუნი, მოკლედ, დიდი აურზაური. მერე ბავშვებს თანდათან სიქა გამოეცალათ, მიჩუმდნენ და სპექტაკლიც დაიწყო...

გიორგი შავგულიძის სახელობის დამოუკიდებელ თეატრ "სახიობაში" დავით კლდიაშვილის "სოლომან მორბელაძის" პრემიერა გაიმართა. კლდიაშვილი "სახიობაში" უკვე მეორედ დაიდგა, "დარისპანის გასაჭირის" შემდეგ.

"კლასიკა იმით არის ყოველთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ყველა დროს, ყველა ეპოქას ეხმიანება, - ამბობს სპექტაკლის რეჟისორი, ბატონი ტარიელ ღვინიაშვილი, - სპექტაკლში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანური ღირებულებების გაუფასურების, გაუცხოების თემა. სწორედ ეს გაუცხოებაა საზოგადოებაში არსებული პრობლემების მიზეზი, ადამიანები კი მიზეზს გარეთ ეძებენ. საკუთარ თავში არავინ იხედება."

ბოლო ხანებში გიორგი შავგულიძის თეატრი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართულ დრამატურგიას: "ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთი დრო დაგვიდგა, რომ ახალგაზრდა თაობას წიგნი ნაკლებად აინტერესებს. ამიტომ რაღაცნაირად ვცდილობთ, ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი გავაღვიძოთ. კლდიაშვილზე არჩევანი შემთხვევით არ შეგვიჩერებია. გარდა იმისა, რომ ის ქართული ლიტერატურის კლასიკოსია, მისი ნაწარმოებები ძალიან თანადროულია," – გვეუბნება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი გია კახელი.



სცენა სპექტაკლიდან "სოლომან მორბელაძე"

სპექტაკლი ერთმოქმედებიანია, ის ათამდე პატარა ეპიზოდისგან შედგება, ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლა მთხრობელის მცირე შესავლის შემდეგ ხდება. "სოლომან მორბელაძეში" თითქმის მთელი დასი მონაწილეობს, მსახიობები გრიმის გარეშე გამოდიან სცენაზე, დეკორაცია პირობითია, პირობითია კოსტუმებიც (როგორც რეჟისორი აღნიშნავს, თითქმის უნიფორმამდე დაყვანილი კოსტუმები), იმერეთის კოლორიტს მხოლოდ რამდენიმე დეკორატიული დეტალი ქმნის. ამით კიდევ უფრო ხაზგასმულია, რომ "შემოდგომის აზნაურების" ყოფა დღევანდელ ყოფასაც ასახავს.

თეატრის სამომავლო გეგმები ასეთია: დაწყებულია მუშაობა პიესაზე "ჭრიჭინა" (თავის დროზე ამ სპექტაკლში გიორგი შავგულიძე თამაშობდა). მიუხედავად იმისა, რომ ეს თეატრი, როგორც მისი სამხატვრო ხელმძღვანელი ამბობს, მსახიობის თამაშზე აკეთებს აქცენტს და არა სანახაობითობაზე, ძველი პიესის განახლებულ ვარიანტში ჭარბად იქნება შოუს ელემენტები. "ჭრიჭინას" მაყურებელი ახალი წლის დღეებში იხილავს. "სახიობა" მალე ანუის "ანტიგონეზე" და ვაჟა-ფშაველას "სტუმარ-მასპინძელზეც" დაიწყებს მუშაობას.

# სპექტაკლი №20807

თამარ ბაბუაძე

მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა; სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო 297 მსახიობმა, მათთვის გაუთოვდა 117 კილომეტრი ტანსაცმელი, გაიყიდა 320 ტონა ნაყინი და სპექტაკლზე დასასწრები ათი მილიონამდე ბილეთი, დამყარდა გინესის რეკორდი – "სათაგური" თეატრის ისტორიაში შევიდა, როგორც სპექტაკლი, რომელიც ყველაზე დიდხანს არ ჩამოსულა სცენიდან.

გუშინ ლონდონში, წმინდა მარტინის თეატრში სწორედ ამ ღირშესანიშნავ თარიღს – "სათაგურის" ოქროს იუბილეს აღნიშნავდნენ. გუშინდელ ჩვენებას, არც თუ შემთხვევით, ელიზაბეტ მეორეც დაესწრო. ელიზაბეტი ხომ ზუსტად იმ წელს ავიდა ტახტზე, როდესაც ლონდონში "სათაგურის" პრემიერა გაიმართა. მას შემდეგ, "სათაგურმა" და ელიზაბეტმა ერთად აღნიშნეს ვერცხლის იუბილე და წელს ოქროს იუბილეც ერთად იზეიმეს.

ელიზაბეტისა და ედინბურგის პრინცის ვიზიტის გამო, გუშინ გამართულ სპექტაკლს, საიუბილეოსთან ერთად, "სამეფოც" უწოდეს. შოუს აგატა კრისტის შვილთაშვილის შვილები ჯოშუა და მაქს კლემენსტონებიც დაესწრნენ. სპექტაკლის დაწყებამდე მათ ელიზაბეტ მეორეს ყვავილები მიართვეს, ედინბურგის პრინცს კი – პროგრამა. შემდეგ ბრიტანეთის მონარქებმა აგატა კრისტის მიერ საუკუნის შუახანებში დახლართული ისტორიის გამოხსნით შეიქციეს თავი. საღამოს დასასრულს კი, ელიზაბეტმა დაბადების დღე "სათაგურის" დასის წევრებს პირადად მიულოცა.

ერთი სიტყვით, გუშინ ლონდონის თეატრის სცენაზე ფარდა 20807-ედ აიწია და გამოჩნდა სოფლის ძველი სახლის ინტერიერი: შენობა, რომელსაც პატარა სასტუმროდ გადააკეთებენ, პირველ სტუმრებს მასპინძლობს. თუმცა, ამოვარდება საშინელი ქარბუქი და სტუმრები გარესამყაროს საერთოდ მოწყდებიან. პარალელურად, ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, სასტუმროს თითოეულ მობინადრეს ლონდონში მომხდარ მკვლელობასთან ჰქონდეს კავშირი. ისტორია ზუსტად ისე იხლართება, როგორც აგატა კრისტის დეტექტივებში ხდება ხოლმე – ეჭვის აღება აბსოლუტურად ყველა პერსონაჟზე შეიძლება. კრისტის პიესას კიდევ უფრო მეტ ინტრიგას მატებს რეჟისორ დევიდ ტერნერის მიერ გამოყენებული სპეცეფექტები. მოულოდნელად ჩამქრალი შუქი, სიბნელეში გამოკვეთილი ლანდები, გიგანტური ჩრდილები, კივილი, იარაღი...

თუმცა, საინტერესოა, რომ თავად საშიში ისტორიების დიდოსტატს "სათაგურში" მოთხრობილი ამბავი განსაკუთრებულად სულაც არ ეჩვენებოდა. "ამ პიესას არც მაინცდამაინც საშიში სიუჟეტი აქვს და არც ძალიან დამაინტრიგებელი. სამაგიეროდ, ის, ალბათ, ინტრიგასაც და საშიშ ელემენტებსაც გარკვეული დოზით მაინც შეიცავს და საზოგადოების აღფრთოვანებასაც ამიტომ იწვევს", - ვარაუდობდა საკუთარი ქმნილების გრანდიოზული წარმატების გამო აგატა კრისტი.

შესაძლოა, მისი ვარაუდი მართალიც იყოს. შესაძლოა, სპექტაკლის წარმატების მიზეზად მსახიობთა თამაში და კარგი რეჟისურაც მივიჩნიოთ... ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ "სათაგური" 1952 წლის 25 ნოემბრის შემდეგ, როდესაც ის ლონდონის თეატრის სცენაზე პირველად დადგეს, აღარც მოუხსნიათ. არ ჩავარდნილა არც ერთი დღე, სპექტაკლები არც ორიოდე წლის წინ შეჩერებულა, როდესაც სცენის დიზაინი შეცვალეს და "სათაგურისთვის" ახალი ავეჯი შეიძინეს.

პირველი რეკორდი სპექტაკლმა ექვსიოდე წელში დაამყარა. 1958 წელს ის გახდა პირველი სპექტაკლი ბრიტანეთში, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან. შემდეგ უკვე "სათაგურის" ამბავი ბრიტანეთის საზღვრებს გასცდა. მის სანახავად მაყურებელი ლონდონში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადიოდა. სპექტაკლს სხვა ქვეყნებშიც დგამდნენ. დღეს ის უკვე ორმოცი ქვეყნის სცენაზე თამაშდება და ოცამდე ენაზეა თარგმნილი. ასე რომ, აგატა კრისტის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი მალე იქცა შოუდ, რომელიც ყველაზე დიდხანს შემორჩა თეატრის სცენას. გინესის რეკორდების წიგნში მოხვდნენ მსახიობებიც: დევიდ რეივენი – 4.575 წარმოდგენაში შესრულებული როლით და ნენსი სიბრუკი – 6.240 როლით. თავისი ისტორია აქვს სპექტაკლში გამოყენებულ თითოეულ ნივთსაც: ორმოცდაათი წელია, "სათაგურში" უცვლელად ჩნდება ძველი საათი, რომელიც ბუხარზე დგას და რომლის რეკვაც დაძაბულობას მატებს ისედაც საშიშ მომენტებს...




აგატა კრისტის "სათაგურის" აფიშა

"სათაგურის" პრემიერის პირველ ხანებში აგატა კრისტი ყველას აფრთხილებდა: "ვისაც სპექტაკლი არ უნახავს, გთხოვთ, დასასრულის შესახებ ნურაფერს ეტყვით". ამ ტრადიციას ბრიტანეთში ერთგულად იცავენ. რა თქმა უნდა, არც გუშინ უთქვამთ ელიზაბეტისთვის წინასწარ, თუ როგორ გაიხსნებოდა გასული საუკუნის შუახანებში ჩახლართული მკვლელობის ისტორია.

თუ რა იქნება კინოსა და თეატრის მოვლის შემდეგ ბრიტანეთის დედოფლის შემდეგი კულტურულ-შემეცნებითი გაჩერება, ჯერ არავინ იცის. თუმცა, ფაქტია, რომ ღონისძიება, რომელსაც დედოფალი მომავალში დააფასებს, აუცილებლად ბრიტანული ფასეულობების ამსახველი იქნება. "სათაგურზეც" ხომ არჩევანი ტყუილუბრალოდ არ შეჩერებულა. გარდა იმისა, რომ სპექტაკლსა და დედოფალს წელს "ოქროს იუბილე" აქვთ, "სათაგური" აგატა კრისტის ეკუთვნის – ინგლისელ ქალბატონს, რომელმაც თავის დროზე ყველაზე საპატიო ჯილდო – ბრიტანეთის იმპერიის ორდენი დაიმსახურა... ანუ, ისევ ის ცნობილი ბრიტანული ჯაჭვი შეიკრა, რომელთანაც საქმე ჯეიმს ბონდის ბოლო ფილმის ლონდონურ პრემიერაზე გვქონდა: ბრიტანელები, კულტურის გლობალიზაციის ფონზე, საკუთარ კულტურას განსაკუთრებული მოწიწებით აშუქებენ. ამიტომაც დადის დედოფალი კინოში...

# ნორვეგიელი მეცნიერი ამირანით დაინტერესდა

თამარ სუხიშვილი

ნებისმიერი პროფესიონალი ქართველი მეცნიერისა თუ ხელოვანის უცხოეთში გასვლა მათი შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისთვის დიდი სტიმულია და ამასთან, ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაციასაც უწყობს ხელს. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად ამასწინათ გამართული როდოსის სამი ზღვის ქვეყნების კონფერენცია-ფესტივალიც შეიძლება ჩაითვალოს. ფესტივალი "ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა – მითები, სიმღერები, ზღაპრები" სამი ზღვის მწერალთა და მთარგმნელთა საბჭომ მოაწყო. ფესტივალის გეგმებზე ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან წინასწარი ინფორმაცია უკვე მივაწოდეთ მკითხველს, ახლა კი რამდენიმე სიტყვას შედეგებზეც ვიტყვით. როდოსის კონფერენცია-ფესტივალზე ჩვენი ქვეყანა 4-კაციანი დელეგაციით იყო წარმოდგენილი: მმართველი კომიტეტის წევრი მანანა დუმბაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ზურაბ კიკნაძე, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლები: ნინო კრაველიშვილი (ფანდური) და დავით სხირტლაძე (გუდასტვირი). ქართული დელეგაცია როდოსზე 112 ბოთლი ქართული ღვინით ხელდამშვენებული ჩავიდა. "საფერავისა" და "სამების" ზურმუხტისფერი ბოთლები ყოველ შეხვედრასა თუ პრეზენტაციაზე თვალსა და ხელს შუა იცლებოდა. დელეგაციის რიცხოვნობას ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა: "კარგი გვინდან და ცოტანიო"...

როდოსის კონფერენცია-ფესტივალზე უფრო მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი, ვიდრე ორგანიზატორები ელოდნენ. ამ ხალხმრავლობას არაერთმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: ზღვისპირა საბერძნეთის კოლორიტმა, ფესტივალის თემატიკამ და ერთმანეთის გაცნობისა და დაახლოების სურვილმა. "ჩვენგან განსხვავებით, ევროპული საზოგადოება მეტნაკლებად იცნობს ერთმანეთს, ამიტომ განსაკუთრებით აინტერესებდათ პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომლებიც ნაკლებად არიან ჩართულნი საერთაშორისო კულტურულ მოვლენებში, – ამბობს ქალბატონი მანანა დუმბაძე, - სათითაოდ მოდიოდნენ ჩვენთან, გვეცნობოდნენ; ჩვენმა მცირერიცხოვანმა დელეგაციამ პირველი დღიდანვე მიიპყრო ფესტივალის მონაწილეების ყურადღება ჯერ თავისი გულღიაობით, მერე პროფესიონალიზმითაც: ერთმანეთის გაცნობის, ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებისა და სავალდებულო ოფიციალური საუბრების მოთავების მერე ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმე რომ გაგვეფანტა, ავდექით და სიმღერა წამოვიწყეთ... მერე ნინომ საცეკვაოდ წამოიწია, დათომაც ჩაიმუხლა და უცბად ავიყოლიეთ ყველა. დიდხანს გვიკრავდნენ ტაშს..." ასეთი იმპროვიზაციული საღამოები ფესტივალზე სხვაც ბევრი იყო. მაგალითად, ცნობილ როდოსულ კოქტეილზე, სადაც, დადგენილი "პროტოკოლის" თანახმად, რატომღაც ცეკვა-თამაში არ შეიძლებოდა, "მაგრამ დარბაზში, სადაც კოქტეილზე მიგვიპატიჟეს, როიალი რომ დავინახეთ, რაღა გაგვაჩერებდა..." – იგონებს მომღერალი ნინო კრაველიშვილი. ფესტივალის მონაწილეებმა საქართველო ნანა ჯანელიძის ფილმითაც ("საქართველო ჩემი სამშობლოა") გაიცნეს. მართალია, ფილმის ჩვენებისთვის 35 წუთი იყო გამოყოფილი, ქართულმა დელეგაციამ კი "დრო მოიპარა" და 55-წუთიანი ფილმი აჩვენა დარბაზს, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, საათზე დაეხედა.

პირველ საკონცერტო და ეკრანულ შთაბეჭდილებებს ზურაბ კიკნაძის მოხსენება მოჰყვა ამირანის ეპოსის შესახებ. როგორც ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლები გვიამბობენ, ქართველმა პროფესორმა აუდიტორია მონუსხა, მისმა მოხსენებამ უამრავი შეკითხვა წამოჭრა, კითხვები კონფერენციის დასრულების შემდეგაც არ წყდებოდა. მართალია, ქართული მითოსი გვეუბნება, "ცოტა კაცია ამირან"-ო, მაგრამ ინტერესი კი დიდი გამოიწვია. ერთ ნორვეგიელ მეცნიერს ამირანის ეპოსზე მუშაობისა და თარგმნის სურვილიც კი დაებადა.

როდოსული კონცერტისთვის ქართველმა შემსრულებლებმა პატარა თეატრალიზებული გამოსვლა მომზადეს. "ვიმღერეთ "ვაჟკაცო, მთაში გაზრდილო", "ლალე", "იალაღებზე" და "დარიდურის" დამუშავებული ვარიანტი. ორ სიმღერაზე იქვე, სახელდახელოდ ცეკვაც კი დავდგით. საგანგებოდ ავირჩიეთ პატარა და რითმიანი სიმღერები, რომ მაყურებლისთვის თავი კი არ მოგვებეზრებინა, არამედ მოვენატრებოდით, - ამბობს ქალბატონი ნინო კრაველიშვილი. არჩევანმა გაამართლა...

ქართული დელეგაცია დღეს უკვე თბილისშია, კმაყოფილია იმით, რომ გამორჩეულად დაამახსოვრა თავი ფესტივალის მონაწილეებს და მონატრებით იგონებს კუნძულელებთან შეხვედრის ხალისიან დღეებს.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

ხალხის პირისპირ

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დაakრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ცსს და პენტაგონი, ფაქსებით და სატელეფონო ზარებით, ერაყელი სამხედრო პირების გაწამებას გეგმავენ



*პენტაგონის შტაბ-ბინა.*

ცენტრალური სადაზვერვოს სააგენტო და პენტაგონი ერაყელი მაღალჩინოსანი სამხედრო პირების ფაქსების და მობილური ტელეფონების ნომრებს ადგენენ, რათ მათ აშშ-ს მხარეზე გადასვლა და ჰუსეინის ღალატი შესთავაზონ. ეს ინფორმაცია ამერიკულმა გაზეთმა "ნიუ-იორკ პოსტმა" გაავრცელა ამერიკის ადმინისტრაციაზე დაყრდნობით.

გამომცემლობის აზრით, ეს ღონისძიება ფართო საიდუმლო კამპანიის ნაწილია და მის მიზანს ერაყის სამხედრო ხელმძღვანელობის დარწმუნება წარმოადგენს. აშშ-ს სპეცსამსახურები ცდილობენ, ვიდრე ვაშინგტონი მოკავშირეებთან ერთად სამხედრო ოპერაციის განხორციელებას დაიწყებს, სადამ ჰუსეინის უახლოეს გარემოცვაშიც შეიტანონ ბზარი.

გაზეთის ინფორმაციით, აშშ-ს სპეცსამსახურები თანამშრომლობენ ერაყულ ოპოზიციურ დაჯგუფებებთან. მათი საშუალებით ამერიკელები ცდილობენ ასობით ერაყელ ოფიცერთან კონტაქტში შესვლას. მათ ან თანამშრომლობას შესთავაზებენ ან - საპატიმროს.

როგორც პენტაგონის ინკოგნიტო წარმომადგენელმა გაზეთს შეატყობინა, აშშ-მ ერაყელ სამხედროებს უნდა გააგებინოს, რომ მათ ქვეყანაში რეჟიმი აუცილებლად შეიცვლება, და არჩევანის გაკეთება მოუწევთ: ან სადამ ჰუსეინთან ერთად დაიღუპონ ან ახალი ერაყის მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა.

"საიდუმლო ოპერაცია, უკვე რამდენიმე თვეა, მუშავდება,"- აღნიშნავს "ნიუ-იორკ-პოსტი" და ნაწილობრივ ეყრდნობა ავღანეთში ცსს-ს და პენტაგონის მიერ განხორციელებულ სამხედრო წარმატებებს. მაშინ ბევრი გავლენიანი სამხედრო მოისყიდეს, რის შედეგადაც მათ "თალიბანი" მიატოვეს და ანტიტერორისტულ კოალიციაში ჩაერთნენ, რამაც საბოლოოდ ავღანეთში ახალი ხელისუფლება ჩამოაყალიბა.

ამის გარდა, ამერიკული სპეცსამსახურების ანალიტიკოსები იმედოვნებენ, რომ ოპერაციის მსვლელობის დროს დაარწმუნებენ სადამ ჰუსეინის უახლოეს გარემოცვას, არ დემორჩილონ ბრძანებებს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე ამერიკული კოალიციის სამხედროების წინააღმდეგ.

როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გაზეთს შეატყობინა, იმ ერაყელ სამხედროებს, ვინც მასობრივი განადგურების იარაღს აკონტროლებს, მოკავშირეები გააფრთხილებენ, რომ იარაღის გამოყენების შემთხვევაში მათ ისე მოეპყრობიან, როგორც სამხედრო დამნაშავეებს.

ამ მისიის განსახორციელებლად კი, ცენტრალური სადაზვერვოს სააგენტოს და პენტაგონის ანალიტიკოსები ხელმძღვანელობას ფაქსების და მობილური ტელეფონების აქტიურად ამოქმედებას ურჩევენ. ამას კიდევ ერთი ხელსაყრელი მხარე ექნება – ერაყელი სამხედროების ფსიქიკური წონასწორობის დარღვევა.

## ცსს-ს ორი თანამშრომლის მკვლელობის გამო პაკისტანელი ტერორისტი მირ აიმალ ყაზი სიკვდილით დასაჯეს



*მირ აიმალ ყაზი*

ცნობილი მუსულმანი ტერორისტი, პაკისტანის მოქალაქე მირ აიმალ ყაზი 1993 წელს ცსს-ს ორი თანამშრომლის მკვლელობისთვის სიკვდილით დასაჯეს.

აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ ხუთშაბათს ყაზის შეწყალების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა ვირჯინიის შტატის გუბერნატორმა, რომლის ტერიტორიაზეც, მკაცრი რეჟიმის ციხეში იმყოფებოდა ყაზი და, სადაც განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. გუბერნატორმა საქმეში ჩარევაზე თავიდანვე უარი განაცხადა. 38 წლის ყაზი სასიკვდილო ნივთიერების ვენაში შეყვანით დასაჯეს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება "ამერიკელი და სხვა უცხოელების წინააღმდეგ" მუსულმან ტერორისტთა მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეზე.

ამასთან დაკავშირებით, აშშ-ს მოქალაქეებს მთელ მსოფლიოში ევალებათ უსაფრთხოების ზომების დაცვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - კლუბებში, ეკლესიებში, სკოლებში და სასტუმროებში.

ყაზის საქმეში ჩართული ამერიკის პროკურატურის ოფიციალური მონაცემებით, ცსს-ს ორი თანამშრომლის მკვლელობა ტერორისტის მხრიდან, ამერიკის მიერ ერაყზე დარტყმის და ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხლის" გამო, შურისძიება იყო.

1993 წლის 25 იანვარს ყაზი ავტომობილით მივიდა მოსახვევთან, რომელც ვაშინგტონში, ლენგლიში, ცსს-ს შტაბ-ბინის მთვარი შენობისკენ მიდის. მან "კალაშნიკოვის" ტიპის ავტომატის ჯერი შენობისკენ მიმავალი ავტომანქანებისკენ მიმართა.

ყაზის 150 ტყვიის მარაგი ჰქონდა. მან დაჭრა 4 ადამიანი, მოკლა ცსს-ს 66 წლის ანალიტიკოსი ლანსინგ ბენეტი, და 28 წლის ფრენკ დარლდინგი - ცსს-ს საიდუმლო ოპერაციის სამმართველოს თანამშრომელი. სროლის შემდეგ ყაზმა შემთხვევის ადგილი დატოვა და მალე აშშ-დანაც წავიდა.

ტერორისტის დაპატიმრება მხოლოდ 1997 წელს გახდა შესაძლებელი - პაკისტანის ცსს-ს განყოფილების დახმარებით. ის ავღანეთის საზღვარზე მდებარე იაფფასიან სასტუმროში აიყვანეს. აშშ-ში გადაგზავნის შემდეგ სასამართლომ ყაზი დამნაშავედ ცნო, მაგრამ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყაზი მოქმედებდა როგორც ეული-ტერორისტი და საერთაშორისო ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან არ იყო დაკავშირებული.

პროცესის მსვლელობის დროს ყაზიმ განაცხადა, რომ თავისი მოქმედებებით ამერიკისთვის სამაგიეროს გადახდა უნდოდა.

# საბჭოთა კავშირის და რუსეთის სპეცსამსახურები

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №163

## სსრკ-ს სპეცსამასახურების მოწინააღმდეგის მხარეს გადასული თანამშრომლები

საგარეო დაზვერვის ***მაიორი ს. ლევჩენკო.*** 1975 წლიდან იყო გრუ-ს რეზიდენტი ტოკიოში, სადაც 1979 წლამდე მუშაობდა - მოსკოვში გამოწვევამდე. ის იაპონიაში დარჩა, შემდეგ გადავიდა აშშ-ში. გასცა სუკ-ის აგენტურის ქსელი იაპონიაში. 1981 წელს სსრკ-ში მას დახვრეტა მიუსაჯეს. ლევჩენკომ გამოსცა რამდენიმე წიგნი აშშ-ში და დღეს მუშაობს ამერიკულ გაზეთში "ახალი რუსული სიტყვა".



*სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის პირველი სპეცრაზმი ავღანეთში.*

სუკ-ის ***მაიორი ვ. შეიმოვი.*** 1971 წელს მუშაობდა სუკ-ის ერთ-ერთ ყველაზე გასაიდუმლოებულ სამმართველოში - დაზვერვის და კონტრდაზვერვის გამშიფრავ სისტემებზე. 1979 წელს ვარშავაში დაუკავშირდა ცსს-ს აგენტებს, რომლებმაც 1980 წელს ის აშშ-ში გაიყვანეს. მოსკოვი მას უგზოუკვლოდ დაკარგულად თვლიდა და 5 წელიწადს ეძებდა. მხოლოდ 1985 წელს გახდა ცნობილი, რომ ის დასავლეთში გაიქცა. ამ 5 წის მანძილზე სუკ-ის შიფრები არ შეცვლილა და ეს ცსს-მ იცოდა. შეიმოვი ვაშინგტონში ცხოვრობდა. ის იქ მედლით დააჯილდოვეს. 1981 წელს რომის პაპზე განხორციელებული თავდასხმის პროცესზე იგი სუკ-ის წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდა.

დაზვერვის მთავარი სამმართველოს (პგუ) სამეცნიერო-ტექნიკური მაღალჩინოსანი თანამშრომელი ***ვ. ვეტროვი.*** 1980 წელს საკუთარი ნებით დაიწყო მუშაობა ფრანგული დაზვერვისთვის. ვეტროვმა საფრანგეთის დაზვერვას გადასცა 4 ათასზე მეტი დოკუმენტი, გრიფით - "საიდუმლო". 1982 წელს მთვრალმა ვეტროვმა კაცი მოკლა და მას 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხეში ის მოულოდნელად გამოტყდა ჯაშუშობაში. ის კვლავ გაასამართლეს, დახვრეტა მიუსაჯეს და 1985 წელს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

საგარეო დაზვერვის ***მაიორი ვ. კუზიჩკინი.*** 1977 წელს არალეგალი იყო თეირანში. 1982 წელს, პგუ-ს კომისიის ჩამოსვლის წინა დღეს უეცრად ვერ აღმოაჩინა საიდუმლო დოკუმენტები და დასავლეთში გაქცევა გადაწყვიტა. პოლიტიკური თავშესაფარი მას ინგლისელებმა მისცეს. კუზიჩკინის წყალობით, ირანში განადგურებულ იქნა ტუდეს პარტია, რომელიც სუკ-თან თანამშრომლობდა. სსრკ-ში კუზიჩკინს დახვრეტა ჰქონდა მისჯილი. 1986 წელს სცადეს მისი მოკვლა. მაშინ კუზიჩკინის მეუღლემ, რომელიც სსრკ-ში იყო დარჩენილი, მიიღო სუკ-ისგან ცნობა მისი მეუღლის სიკვდილის შესახებ. მაგრამ 1988 წელს კუზიჩკინი "მკვდრეთით აღდგა". ის შეწყალების წერილებს სწერდა გორბაჩოვს, სახალხო დეპუტატებს, 1991 წელს - კი ელცინს. მისი თხოვნები უპასუხოდ დარჩა. 1990 წლის ბოლოს კუზიჩკინმა გამოსცა წიგნი, რომელიც დასავლეთში პოპულარული არ გამხდარა.

სუკ-ის ***ლეიტენანტი ვ. მაკაროვი.*** მუშაობდა სუკ-ის გამშიფრავ სამმართველოში. 1982 წელს შუამავლის მეშვეობით ცდილობდა გაეყიდა რაღაც დოკუმენტები მოსკოვში "შავ ბაზარზე". შუამავალი დააპატიმრეს, მაგრამ მაკაროვზე არაფერი შეუტყვიათ. 1985 წელს ის ბრიტანეთის დაზვერვაზე გავიდა. სანამ ინგლისელები ფიქრობდნენ, სანდო იყო თუ არა მაკაროვი, ის დააპატიმრეს. მან ინგლისელებისთვის ვერცერთი დოკუმენტის გადაცემა ვერ მოასწრო. მას 10 წელი მიუსაჯეს. 1992 წელს მაკაროვი ამნისტიით გათავისუფლდა და ინგლისში ემიგრანტად წავიდა. ის იქ ცდილობდა, ბრიტანეთის დაზვერვისგან პენსია მიეღო, მაგრამ ვერ მოახერხა და სახელმწიფო დახმარებას იღებდა. მაკაროვს დეპრესიული ფსიქოზი ჰქონდა და ხშირად მკურნალობდა ფსიქიატრიულ კლინიკაში.

სუკ-ის მოსკოვის სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილე ***მაიორი ს. ვორონცოვი.*** 1984 წელს დაუკავშირდა ცსს-ს აგენტებს მოსკოვში. მან გადასცა ამერიკელებს თავისი განყოფილების შესახებ მონაცემები, რისთვისაც მიიღო, დაახლოებით, 30 ათასი დოლარი. იგი 1985 წელს დააპატიმრეს და ორმაგ თამაშზე დაითანხმეს. მისი დახმარებით, 1985 წელს დაკავებულ იქნა ამერიკელი რეზიდენტი მოსკოვში, რომელიც ქვეყნიდან გააგდეს. ვორონცოვი გაასამართლეს და დახვრიტეს 1986 წელს.

საგარეო დაზვერვის თანამშრომელი ***ვ. იურჩენკო.*** 1985 წელს, იტალიაში რეზიდენტად ყოფნის დროს დაუკავშირდა ცსს-ს თანამშრომლებს რომში. მათ იგი აშშ-ში გააგზავნეს. მან ოლეგ გორდიევსკის საქმის და საბჭოთა დაზვერვის ახალი ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ მონაცემები გასცა, გათქვა სუკ-ის 12 აგენტი ევროპაში. იმავე წელს ამერიკელებს მოულოდნელად გამოექცა, გამოცხადდა ვაშინგტონში - სსრკ-ს საელჩოში. თქვა, რომ რომში ის მოიტაცეს, ხოლო აშშ-ში ფსიქოტროპული საშუალებებით გამოსტყუეს ეს ინფორმაცია. მოსკოვში გაოცდნენ და იურჩენკო სამშობლოში გაიწვიეს. ის დააჯილდოვეს "საპატიო ჩეკისტის" მედლით და 1991 წელს საზეიმო ვითარებაში გაუშვეს პენსიაზე. ეს ისტორია ბოლომდე ნათელი დღემდე არ არის. არა არის გამორიცხული, რომ იურჩენკო ორმაგი აგენტი და ცსს-ში სუკ-ის მთავარი წარმომადგენელი ყოფილიყო - ეიმსის დამალვის მიზნით (სუკ-მა ეიმსისთვის ევროპაში თავისი ათეულობით აგენტი გაიმეტა).



*ხაფიზულა ამინი*



*პაველ სუდოპლატოვი*

## სუკ-ის აქტიური ღონისძიებები

### *ევგენი კონოვალცის მკვლელობა*

უკრაინის ნაციონალისტთა ლიდერი ევგენი კონოვალცი, ავსტრიის არმიის ყოფილი პროპორშჩიკი და უკრაინის სახალხო რესპუბლიკური არმიის საალყო კორპუსის ყოფილი მეთაური (1918-1912წწ), მოკლეს როტერდამში 1938 წლის 23 მაისს - ბომბის აფეთქებით. ბომბი ლვოვის შოკოლადის კანფეტების ყუთში იდო, რომელიც მას ნკვდ-ს საკადრო თანამშრომელმა და მომავალმა სახუშიშროების გენერალმა პავლე სუდოპლატოვმა გადასცა. სუდოპლატოვი უკრაინის ნაციონალისტურ მოძრაობაში (უნო) შეგზავნილი და კონოვალცის ნდობით აღჭურვილ პირი იყო. ნკვდ-მ გაავრცელა ხმა, რომ კონოვალცი უკრაინის ემიგრაციაში წამოჭრილი გარჩევების მსხვერპლი გახდა. სუდოპლატოვმა მემუარებში კონოვალცის მკვლელობა იმით გაამართლა, რომ, - "კონოვალც-ბანდერის ფაშისტურ-ტერორისტულმა უნო-მ ოფიციალურად გამოუცხადა ომი საბჭოთა რუსეთს და სსრკ-ს." სინამდვილეში, იმ დროს უნო ტერორიზმით არ იყო დაკავებული, მან შეგზავნა სსრკ-ში თავის აგენტურა, რომელთაც უნდა ეხელმძღვანელათ მომავალი სახალხო აჯანყებისთვის. ტერორის მომხრე იყო კონოვალცის მთავარი მოწინააღმდეგე - სტეპან ბანდერა. 1934 წელს მან კონოვალცის უჩუმრად მოაწყო პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გენერალ კაზიმირ პერაცკის მკვლელობა, რის გამოც სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ პოლონელი უკრაინელების დემონსტრაციის შემდეგ განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს. 1939 წელს გერმანელებმა ის ციხიდან გაათავისუფლეს. კონოვალცის დაღუპვამ მხოლოდ დააჩქარა უნო-ს მიერ ტერორისტულ მეთოდებზე გადასვლა, რამაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას 1959 წლამდე დიდი პრობლემები შეუქმნა.

### *ლევ ტროცკის მკვლელობა*

ლევ ტროცკი წერაქვით სასიკვდილოდ დაჭრეს თავში - საკუთარ რეზიდენციაში, მეხიკოში, კოიოკანში 1940 წლის 20 აგვისტოს. მან მოასწრო დაყვირება და მკვლელის შეკავება. ტროცკიმ მკვლელს ხელზე უკბინა და მას მიმალვის საშუალება არ მისცა. ის ტროცკის დაცვამ დაიჭირა. მკვლელმა განაცხადა, - "**მე ეს უნდა გამეკეთებინა, მათ დედაჩემი ჰყავთ. ან მომკალით, ან ნუ მცემთ**".

ტროცკი 21 აგვისტოს ჰოსპიტალში გარდაიცვალა. დარტყმა მიაყენა ნკვდ-ს აგენტმა, ესპანელმა რესპუბლიკელმა რამონ მერკადერმა. ის შეიპარა ტროცკის რეზიდენციაში, კანადელი ჟურნალისტის - ფრენკ ჯეკსონის სახელით - როგორც "გაძევებული წინასწარმეტყველის" იდეების თაყვანისმცემელი. დაპატიმრების დროს მას აღმოაჩნდა პასპორტიც - ბელგიელი ჟაკ მორნარის სახელზე. სასამართლოზე მერკადერი ამტკიცებდა, რომ მარტო მოქმედებდა. მამოძრავებელ მოტივად მან ის დაასახელა, რომ ვითომ ტროცკიმ მას სსრკ-ში წასვლა და სტალინის მოკვლა შესთავაზა. ეს მოტივი სასამართლომ უარყო, როგორც - ფანტასტიკური. მკვლელობისთვის მას 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს- მექსიკური კანონმდებლობით უმაღლესი სასჯელი.

პირველივე დღიდანვე ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მკვლელის უკან **ნკვდ** და სტალინი იდგა. ამის შესახებ ღიად წერდნენ გაზეთებში. მერკადერის ვინაობა ომის შემდეგ დადგინდა, როდესაც ესპანეთში აღმოაჩინეს რამონ მერკედერის დოსიე, სადაც თითების ანაბეჭდები ტროცკის მკვლელის თითების ანაბეჭდებს ემთხვეოდა. 1960 წელს სასჯელის მოხდის შემდეგ მერკედერს სსრკ-ს საპატიო გმირის წოდება მიანიჭეს.

მერკედერის საქმიანობას ხელმძღვანელობდა ნკვდ-ს საკადრო თანამშრომელი, შემდეგ სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი ნაუმ ეიტინგონი. მისი თანამონაწილე და თანამზრახველი იყო რამონის დედა - კარიდად მერკადერი. მოსკოვში ოპერაციას ამზადებდა და კურირებდა სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის შემცვლელი პავლე სუდოპლატოვი.

ტროცკის მოკვლის ბრძანება სტალინის და ნკვდ-ს მეთაურის ლავრენტი ბერიას მიერ იქნა გაცემული. 1931 წელს ტროცკის წერილს, რომელშიც იგი ესპანეთში (სადაც რევოლუცია მწიფდებოდა) ერთიანი ფრონტის შექმნას სთავაზობდა, სტალინმა რეზოლუცია დაადო: **"ვფიქრობ, რომ ბატონი ტროცკისთვის, ამ "პახანისთვის" და მენშევიკი შარლატანისთვის, სჯობდა, კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს ჭკუა ესწავლებინა - თავისი ადგილი რომ იცოდეს."** ფაქტობრივად, ეს ტროცკიზე ნადირობის დასაწყებ სიგნალს წარმოადგენდა. ზოგიერთი ცნობით, ნკვდ-ს ეს 5 მილიონი დოლარი დაუჯდა.

### *ლევ რებეტის და სტეპან ბანდერას მკვლელობები*

უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერები - ლებ რებეტი და სტეპან ბანდერა სუკ-ის აგენტის ბოგდან სტაშინსკის მიერ იქნენ მოკლულნი მიუნხენში 1957 წლის 12 ოქტომბერს და 1959 წლის 15 ოქტომბერს. მკვლელობის იარაღად გამოყენებულ იქნა სპეციალურად კონსტრუირებული ხელსაწყო, რომელიც ისროდა კალიუმის ციანიდის ამპულებს. მსხვერპლი მოწამვლით კვდებოდა, შხამი სწრაფად იწოვებოდა, და ექიმები ადგენდნენ სიკვდილს გულის უეცარი გაჩერებით. რებეტის და ბანდერას შემთხვევებში პოლიცია, მკვლელობის ვერსიასთან ერთად, განიხილავდა თვითმკვლელობის ან ბუნებრივი მიზეზით სიკვდილის ვერსიებს.

წარმატებული თავდასხმების გამო სტაშინსკი წითელი დროშის და ლენინის ორდენებით დაჯილდოვდა, მაგრამ, ცოლის გავლენით, ჩადენილი დანაშაული მოინანია 1961 წლის 12 აგვისტოს, ბერლინის კედლის აშენების წინა დღეს გამოცხადდა დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებასთან. 1962 წლის 19 ოქტომბერს სტაშინსკის რამდენიმე წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს და დასავლეთში, სხვისი სახელით, თავშესაფარიც მიიღო. როგორც მაშინდელი ფედერალური დაზვერვის სამსახურის შეფი გენერალი რეიგანდ გელენი თავის მემუარებში წერდა, **ტერორისტმა, შელეპინის წყალობით, თავისი სასჯელის ვადა მოიხადა და ახლა ცხოვრობს, როგორც თავისუფალ ადამიანი თავისუფალ სამყაროში".**

სასამართლომ გამოიტანა კერძო განსაზღვრება, რომელშიც თავდასხმის მომზადებაში მთავარი ბრალი დასდო საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებს - ივან სეროვს (1957) და ალექსანდრე შელეპინს (1959)

სტაშინსკის პროცესზე ატეხილი ხმაურის დროს სუკ-მა უარი თქვა აქტიური ღონისძიებების" გატარებაზე, ყოველ შემთხვევაში - დასავლეთ სახელმწიფოებში. მას შემდეგ არ მომხდარა არცერთი გახმაურებული მკვლელობა (თუ არ ჩავთვლით ბულგარეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას, მწერალი-დისიდენტი გიორგი მარკოვის ლიკვიდირების მიზნით, რაც მას შეატყობინა სუკ-ის ყოფილმა გენერალმა ოლეგ კალუგინმა) - ან საბჭოთა სპეცსამსახურებმა დაიწყეს უფრო ნატიფად მუშაობა, ან ნაკლებად ცნობილი ადამიანების მკვლელობებზე გადაერთნენ, რასაც დიდი ხმაური არ მოჰყვებოდა, ანდა საზღვარგარეთ ტერორისტული აქტების განხორციელებისგან ნამდვილად იკავებდნენ თავს. ამჟამად ერთადერთი ცნობილი გამონაკლისია ავღანეთის პრეზიდენტის - ხაფიზულა ამინის მკვლელობა ამ ქვეყანაში საბჭოთა კავშირის შეჭრის პირველ დღეს.

### *ავღანეთის პრეზიდენტის - ხაფიზულა ამინის მკვლელობა*

ავღანეთის პრეზიდენტი და პროკომუნისტური სახალხო დემოკრატიული პარტიის ლიდერი - ხაფიზულა ამინი მოკლულ იქნა 1979 წლის 27 დეკემბერს ამ ქვეყანაში საბჭოთა სამხედრო ინტერვენციის დროს. მისი სასახლე ქაბულის გარეუბანში შტურმით აიღო სუკ-ის სპეციალური დანიშნულების რაზმმა "ალფამ", მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცრაზმთან ერთად. "ალფას" მეომრები უპრობლემოდ ჩავიდნენ ავღანეთის დედაქალაქში - ვითომ, ამინის დასაცავად. ავღანეთის პრეზიდენტის განადგურების ბრძანება საბჭოთა პოლიტბიურომ 12 დეკემბერს გასცა. სუკ-ის აგენტებმა თავდაპირველად ამინს საჭმელში შხამი ჩაუყარეს. საბჭოთა ექიმმა, რომელსაც სუკ-ზე ეჭვიც არ აუღია, ამინი საიქიოდან მოაბრუნა.

ამის შემდეგ აუცილებელი გახდა ჯგუფ "ალფასა" და სპეცრაზმის ამოქმედება. ამინი დახვრიტეს თავის ოჯახთან და დაცვის რამდენიმე ათეულ ჯარისკაცთან ერთად. ოფიციალურ შეტყობინებაში ამ მკვლელობის საეჭვო პატივი ავღანეთის "რევოლუციის ჯანსაღ ძალებს" მიეწერათ, თუმცა, სინამდვილეში ამინი "ალფას" ოფიცრების მიერ იქნა მოკლული.

ამინის მკვლელობა იმ მიზეზით მოხდა, რომ მანამდე მოსკოვმა გადაწყვიტა, ნურ-მუჰამედ ტარაკს დაყრდნობოდა და სასურველი იყო, მისი სერიოზული მეტოქის - ამინის მოშორება, რომელიც ავღანეთის არმიაში დიდი გავლენით სარგებლობდა. 1978 წლის 8 სექტემბერს ტარაკის დაცვა შეეცადა პრეზიდენტის სასახლეში ამინის მოკვლას, მაგრამ დაიღუპა მხოლოდ მისი დაცვის წევრი. ამინი გადარჩა. მან, ქაბულის რაიონის ერთგული ძალების დახმარებით, ტარაკი გააძევა. მალე ტარაკი დაახრჩეს. ამინმა ტერორი გააძლიერა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლებას არ მოეწონა, რომ ამინი ხელისუფლებაში მისი სანქციის გარეშე მოვიდა და მისი მოშორება გადაწყვიტა, თუმცა მან, ტარაკის მსგავსად, არაერთხელ მოითხოვა ქვეყანაში საბჭოთა ჯარების შეყვანა - "წინააღმდეგობის მოძრაობასთან" გასამკლავებლად.

# უხილავი ფრონტის მებრძოლები

*დღევანდელი რუბრიკის სტუმარია საქართველოს უშიშროების აკადემიის საგარეო დაზვერვის ფაკულტეტის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი რეზო ასათიანი. უნდა ითქვას, რომ გაზეთი "24 საათი" მსოფლიოს პირველ მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა, რომელსაც ბატონი რეზო ინტერვიუზე დათანხმდა, რასაკვირველია - ჩვენი ინიციატივით.*

***მოკლე ბიოგრაფია:***

***დაიბადა 1932 წელს თბილისში. მე-4 კლასამდე სწავლობდა 1 საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლა სუვოროვის სახელობის სამხედრო სასწავლებელში განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგაც ლენინგრადში უშიშროების კომიტეტის უცხო ენების ინსტიტუტში მოხვდა. სწორედ ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ იწყება ბატონი რეზოს რთული და მშფოთვარე ცხოვრება: თურქმენეთი, თბილისი, ირანი, ავღანეთი, თბილისი, მოსკოვი, კვიპროსი, მოსკოვი, ვიეტნამი, მოსკოვი და თბილისი.***

***80-იან წლებში, ვიეტნამიდან დაბრუნების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარის, ინაურის თხოვნით, მოსკოვმა ბატონი რეზო თბილისში გამოგზავნა, სადაც ის ადგილობრივი უშიშროების კომიტეტის პირველ მთავარ განყოფილებას – დაზვერვას ჩაუდგა სათავეში. 1983 წელს კი მის, როგორც იმ დროისთვის პირველი ქართველი მზვერავის, კარიერაში ერთი მოულოდნელი შემთხვევა მოხდა – ბატონი რეზოს დისშვილი, ცნობილი ქართველი მუსიკოსი ლექსო თორაძე ემიგრაციაში წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ რეზო ასათიანმა ამის თაობაზე არაფერი იცოდა, 1984 წელს ის სამსახურიდან გადადგა.***

***ამის შემდეგ ის სასტუმრო "თბილისის", დღევანდელი "მერიოტის", დირექტორად მუშაობდა. "რომელ სამსახურშიც უნდა იყო, საჭიროა, საქმე სიყვარულით აკეთო,"- ამბობს ბატონი რეზო. თუმცა, საქმის სიყვარულით კეთება არც აქ დააცადეს – სასტუმრო "თბილისი" 1991-92 წლების ცნობილმა მოვლენებმა გაანადგურა. ქართველი მზვერავი დღესაც გულისტკივილით იხსენებს იმ ბარბაროსობას, რაც იმ პერიოდში რუსთაველის გამზირზე ტრიალებდა.***

***1993-96 წლებში ბატონი რეზო ტურიზმის დეპარტამენტში მუშაობდა.***

***1996 წელს კი მის კოლეგებს გაახსენდათ, რომ რეზო ასათიანი კვლავ ცოცხალია და მას საკუთარი პროფესიონალიზმის და მდიდარი გამოცდილების ახალგაზრდებისათვის გაზიარება შესთავაზეს. და აი, დღეს პოლკოვნიკი რეზო ასათიანი უშიშროების აკადემიაში დაზვერვის ფაკულტეტს უდგას სათავეში. თუმცა, კლავ გული სტკივა, რომ სახელმწიფო დაზვერვის სამსახურს არასათანადო ყურადღებას აქცევს, მაგრამ თავის საქმეს მაინც სიყვარულით აკეთებს.***

***უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა საუბარმა ოთხ საათს გასტანა,რომლის დროსაც ბატონმა რეზო ასათიანმა საოცრად თავმდაბალი ადამიანის შთაბეჭდილება დამიტოვა. ქვემოთ წარმოდგენილი ინტერვიუ ამ საუბრის მხოლოდ ნაწილია.***

**- რამდენი პროცენტით შეგიძლიათ იყოთ გულახდილი?**

მე ვიქნები ასი პროცენტით გულახდილი, მაგრამ არასდროს ვიტყვი იმას, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს იმ წყაროებს, რომელთანაც მე ვთანამშრომლობდი და, შესაძლოა, დღესაც თანამშრომლობდნენ ჩემი კოლეგები. მზვერავის ერთ-ერთი მთავარი თვისება ის არის, რომ წყაროებს, რომელთანაც ის მუშაობს, ზიანი არასდროს მიაყენოს.

**- მაშინ, თქვენის ნებართვით, ჩავრთავ დიქტოფონს და დავიწყოთ...**

- უცხო ენების სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1956 წელს პირდაპირ გამანაწილეს აშხაბადში, თურქმენეთის დედაქალაქში. აშხაბადში ჩასვლის დღეს, 1956 წლის 3 სექტემბერს გამოვცხადდი უშიშროების კომიტეტში და თავმჯდომარესთან შემიყვანეს. მაშინ ეს პოსტი პოლკოვნიკ ბანიკოვს ეკავა. მოგვიანებით ის სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. იქ კიდევ რამდენიმე პირი იმყოფებოდა. მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი ჩემი საქმე. ბანიკოვმა გაცნობის შემდეგ განმიცხადა, რომ მე – ლეიტენანტი ასათიანი ვინიშნებოდი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში პირველი მთავარი სამმართველოს დაზვერვის ოპერატიული თანამშრომლის თანაშემწედ. ის დღე სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში. ეს იმდენად სასიხარულო და ბედნიერი წუთი იყო, რომ სიმღერა მომინდა. იმ პერიოდში დაზვერვაში მოხვედრა უმნიშვნელო ამბავი არ იყო. მე შესანიშნავ კოლექტივში მოვხვდი. დღესაც ძალიან კარგად მახსოვს თითოეული მათგანი. მზვერავის პირველი გამოცდილებაც აშხაბადში ყოფნის დროს შევიძინე – ჩემს ცხოვრებაში პირველად კორდონს მიღმა მყოფი აგენტი თურქმენეთში ვნახე. 1957 წლის იანვარში, ჩემივე თხოვნით, თბილისში გადამიყვანეს. რატომ - ჩემი თხოვნით? აქ დედაჩემი და ჩემი პატარა ძმა მარტოები იყვნენ და მათ მოვლა სჭირდებოდათ. ასევე კარგად მახსოვს ჩემი თბილისში ჩამოსვლის დღეც. გამოვცხადდი კომიტეტში, შემიყვანეს ინაურთან. ინაური მეუბნება, - " ლეიტენტო, ვინ იყავით აშხაბადში"? - ვპასუხობ, - ოპერატიული თანამშრომლის თანაშემწე. ის მეუბნება: "ჩვენ თქვენ დაზვერვის განყოფილების ოპერატიული თანამშრომლის თანამდებობაზე გნიშნავთ. ეს ჩემს ცხოვრებაში მეორე უბედნიერესი დღე იყო.



*კვიპროსი. 1965 წელი. რეზო ასათიანი (მარცხნიდან მესამე) კოლეგებთან ერთად*

**- რომელ ხაზზე მუშაობდით?**

- მე ირანის ხაზზე მოვხვდი. მაშინ რესპუბლიკის დაზვერვას ძალიან მწირი შესაძლებლობები და ამდენადვე მწირი მიღწევები ჰქონდა. რატომ? - შტატებში ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს თავისი ფილიალები აქვს, მაგრამ ლომის წილი ლენგლიზე – ცენტრზე მოდის. ასევე იყო სსრკ-შიც, მაგრამ ხანდახან ღლავის დაჭერა პერიფერიაშიც შესაძლებელია. მართალია, ჩვენ არ შეგვეძლო ტოკიომდე ან ნიუიორკამდე მიღწევა, მაგრამ რაღაცას ვახერხებდით. იყო ემიგრაციის მიმართულება, თუმცა იმ პერიოდში ქართული ემიგრაცია ანტისაბჭოურ საქმიანობას, ფაქტობრივად, ჩამოშორებული იყო. გარდა ამისა, საქართველოს დაზვერვა აქტიურად მუშაობდა მეზობელ ქვეყნებზე (თურქეთი და ირანი)

**- არაბულ ქვეყნებში?**

- არა, ეს ჩვენთვის ძალიან რთული იყო, რადგან იქ არ გვქონდა ჩვენი ქართული რეზიდენტურები. ერთ რამეს გეტყვით - როგორც ვახსენე, ჩვენ გვქონდა საემიგრაციო მიმართულება. აი, მაგალითად, უცხოეთში მცხოვრები ვინმე მდიდარი ქართველი, რომელსაც აქვს თავისი კონტაქტები და ჩვენი დაზვერვისათვის ღირებულებას წარმოადგენს. თუმცა, ეს ხშირ ხასიათს არ ატარებდა. ჩვენი ემიგრაცია, როგორც ვთქვი, არავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. საქართველოში მუშაობის პერიოდში მქონდა მოკლევადიანი მივლინება ირანში, სადაც უნდა შევხვედროდი დამუშავების ობიექტს, რასაკვირველია - შესაბამისი ლეგენდით. 1960 წელს ასევე მოკლევადიანი მივლინებით გამაგზავნეს ავღანეთში, სადაც საპატიო ორდენით დამაჯილდოვა ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა. იმ პერიოდში იქ ზაქირ შაჰი მეფობდა. ამ მივლინების შემდეგ, 1960 წლის სექტემბრიდან გამაგზავნეს სსრკ-ს უმაღლესი დაზვერვის სკოლაში, მოსკოვის მახლობლად მდებარე დასახლება ბალაშიხაში. მაშინ ჩემი თანამდებობა იყო ოპერატიული თანამშრომელი, ხოლო წოდება - უფროსი ლეიტენანტი.

ეს სკოლა 1961 წელს დავამთავრე. ამჟამად ამ ინსტიტუტს საგარეო დაზვერვის აკადემია ეწოდება. ალბათ, ცუდად არ ვსწავლობდი, რადგან პირველ მთავარ სამმართველოში – დაზვერვაში გამანაწილეს. ჩამრიცხეს დაზვერვის სამმართველოს მე-13 განყოფილებაში და მამზადებდნენ ირანში გასაგზავნად. მაგრამ 1962 წელს, როდესაც ვიზის მისაღებად ნოტა გაგზავნეს, პასუხმა დაიგვიანა. ბოლოს, როგორც ცნობილი გახდა, ირანელებმა უარი თქვეს ვიზის გაცემაზე. მიზეზი ის გახდა, რომ ნოტაში არ მიუთითეს ირანში ჩემი პირველი ვიზიტის შესახებ, რაც დიდი შეცდომა იყო. ჩემთვის ეს დიდი დარტყმა იყო იმიტომ, რომ ამ მივლინებისთვის რამდენიმე თვე აქტიურად ვემზადებოდი და ფსიქოლოგიურად განწყობილი ვიყავი. მაგრამ, როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელია. 1964 წელს დაიწყეს ჩემი მომზადება კვიპროსზე გრძელვადიანი მივლინებისათვის. იქ უკვე ვითარება დაძაბული იყო. თურქებსა და ბერძნებს შორის გამყოფი ხაზი მოქმედებდა. და აი, ხანგრძლივი მომზადების შემდეგ მე ჩავედი კვიპროსზე. მე იქ საკონსულო განყოფილებაში ატაშედ ვმუშაობდი. ჩემი რეზიდენტი ძალიან კარგი პიროვნება იყო. გარემო, სადაც მუშაობა მიხდებოდა, ასევე - შესანიშნავი. ელჩი უაღრესად საინტერესო და განათლებული ადამიანი იყო. ის იალტის კონფერენციას საგანგებო დავალებით ესწრებოდა. საერთოდ, პირველი თვეები საადაპტაციოდ და გარემო პირობებთან გასაცნობად არის განკუთვნილი. დეტალურად შევისწავლე ქვეყანაში და ქალაქში არსებული მდგომარეობა. სხვათა შორის, მე საგარეო საქმეთა სამინისტროს ლეგენდით ვიყავი და საკონსულო საქმიანობა კარგად უნდა შემესწავლა, რადგან ეს ჩემი საფარი იყო. საერთოდ, თუ კარგად აითვისებ ლეგალური ხაზით მუშაობას, ეს სადაზვერვო საქმიანობაში დაგეხმარება. მე შემიძლია, ჩემი დახასიათებაც გაჩვენოთ. აქ ყველა საქმე დაიწვა, მაგრამ ცენტრში დარჩა ჩემი ოპერატიული პირადი საქმე. (ბატონი რეზო თავის პირად საქმეს მიჩვენებს).

კვიპროსზე ყოფნის დროს გავიჩინე წყაროები და და ცენტრს საჭირო ინფორმაციით ვამარაგებდი. ჩემი რწმენით, მზვერავი მის მიერ შესრულებული სამუშაოთი ფასდება. ეს მხოლოდ გადმობირებითი საქმიანობა არ არის, არამედ –საჭირო თემატიკაზე ინფორმაციის მოპოვებაც. შესაძლოა, მზვერავმა 50 წელი იმუშაოს და არაფერი გააკეთოს, და ისიც შეიძლება, რომ 5 წელიწადში უამრავი სასარგებლო საქმე გააკეთოს. მთავარია, იმ ინფორმაციის მოპოვება, რისთვისაც სადაზვერვო საქმიანობა ხორციელდება.

ახლა ძალზედ იოლია საუბარი, მაგრამ ამ სამუშაოს კოლოსალური დატვირთვა ჰქონდა. ჩემი ყოველი გასვლა და აგენტთან შეხვედრა უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, ყოველი შეხვედრისათვის კარგად უნდა მოემზადო და ფორმაში იყო. რაც უფრო კარგად მოემზადები შეხვედრისათვის, უფრო მეტს მიაღწევ. მომზადების შემდეგ, როცა აგენტს ხვდები, ქალაქში დიდხანს უნდა იარო და უნდა შენიშნო მოთვალთვალეები – "კუდი." თუ შეამჩნევ, რომ "კუდი" მოგყვება, მას ხელიდან უნდა დაუსხლტე. კი არ უნდა გაიქცე, არამედ მარშრუტი შეიცვალო და სახლში ან საელჩოში უნდა დაბრუნდე. გაქცევა არ შეიძლება! თუ გაიქცევი, ამით შენს მეთვალყურეებს უჩვენებ, რომ მზვერავი ხარ. აი, მაშინ კი კონტრდაზვერვა უკვე სათანადო ყურადღებას მოგაქცევს და ეს თვალთვალი გაათკეცდება. შენს მოთვალთვალეებს და კონტრდზვერვას უნდა შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ კი არ გაიქეცი, არამედ მათ დაკარგეს მხედველობის არიდან.

**- რა უნდა მოიქმედოთ იმ შემთხევაში, თუ აგენტს ხვდებით და "კუდი" შეამჩნიეთ?**

- არავითარ შემთხვევაში არ შევხვდები.

**- თუ ეს რამდენჯერმე განმეორდა?**

- მაშინ, უნდა დაფიქრდე და გააანალიზო, რატომ მოხვდი თვალთახედვის არეში და რატომ გითვალთვალებენ.

**- ეს ხომ აგენტისგან საჭირო ინფორმაციის მიღებას აფერხებს?**

- აგენტთან მუშაობის დროს მზევრავისათვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს თავად აგენტის უსაფრთხოება. მთავარია, აგენტი - ინფორმაციის წყარო არ გაიშიფროს. ნამდვილი მზვერავი "კუდს" აგენტთან არ მიიყვანს. თუ კონტრდაზვერვა აღმოაჩენს, რომ მე სადმე ვიღაც მზარეულს შევხვდი, შესაძლოა, ამას ყურადღება არ მიაქციონ და იფიქრონ, რომ ეს შემთხვევითი შეხვედრაა, ასე ვთქვათ - ნეიტრალური კავშირი. მაგრამ, თუ დაინახეს, რომ მე ვხვდები პრეზიდენტის თანაშემწეს, მაშინ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ. ამიტომ მზვერავი არ უნდა შეხვდეს აგენტს, თუკი აღმოაჩენს, რომ მას უთვალთვალებენ. თავისი "კუდი" კი მან აუცილებლად უნდა აღმოაჩინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცუდი მზვერავია. მოთვალთვალეთა შეუმჩნევლობით ის გაშიფრავს ყველა იმ წყაროს, ვისთანაც მუშაობს და ამით მთელ აგენტურულ ქსელს დაღუპავს. აგენტის შეძენა ძალიან რთულია, ხოლო დაკარგვა - იოლი.

უნდა აღვნიშნო, რომ კვიპროსმა ძალიან დამღალა. იქ ყოფნის განმავლობაში მუდმივი სტრესის ქვეშ ვიყავი და სულ იმაზე ვფიქრობდი, ცენტრიდან მიღებული დავალებები როგორ შემესრულებინა. ეს ოპერატიული საქმიანობა ურთულეს ანალიტიკურ შრომასაც შეიცავდა, რადგან დიდ ინფორმაციის მიღება და იქიდან საჭიროსა და გამოსადეგის ამორჩევა მიწევდა. შემდეგ რეზიდენტურაში უნდა დავბრუნებულიყავი და მთელი ეს მიღებული მასალა უნდა დამეწერა გამართულად, რაც ძალზედ რთული საქმეა. არის ხალხი, ვისაც საერთოდ არ შეუძლია წერა. მე მათ მზვერავს ვერ ვუწოდებ. მინდა გითხრათ, რომ კარგი მზვერავი თან კარგი ჟურნალისტიც უნდა იყოს. ამიტომ იყო, რომ ბევრი გამოჩენილი და კარგი ჟურნალისტი თავისი ქვეყნის დაზვერვის სასარგებლოდაც მუშაობდა და მუშაობს. მე ვიცი მათი ვინაობა. არცერთი მათგანი არ მინახავს საღამოობით მოცლილი და უსაქმოდ მჯდომი. ისინი მთელ საღამოებს სხვადასხვა ჟურნალისტურ კლუბებში და წვეულებებზე ატარებდნენ. იქ მათ, რა თქმა უნდა, დალევაც უწევდათ და არცთუ მცირე დოზით, მაგრამ ისინი ამ კლუბებში თავისი კოლეგებისგან უძვირფასეს ინფორმაციას მოიპოვებდნენ და მეორე დღისათვის შესანიშნავი მასალა ჰქონდათ მზად. მზვერავის და ჟურნალისტის თვისებები ბევრ რამეში იდენტურია, მაგრამ მზვერავი, ჟურნალისტისგან განსხვავებით, კიდევ უფრო მაღალ დონეზე უნდა იყოს მომზადებული. მას უნდა ესმოდეს და ათვისებული ჰქონდეს კონსპირაციისა და უსაფრთხოების წესები და აგენტურასთან მუშაობაც უნდა იცოდეს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, კვიპროსზე ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ ცენტრში დავბრუნდი. ძალიან გამეხარდა, რომ კვიპროსზე ჩემი მუშაობა ხელმძღვანელობამ დადებითად შეაფასა - დამაწინაურეს და უფროსი ოპერატიული თანამშრომელი გავხდი. იმ დროს ეს დიდი თანამდებობა იყო. უნდა გითხრათ, რომ იმ პერიოდში მოსკოვში უშიშროების კომიტეტის მთელ ცენტრალურ აპარატში, ჩემს გარდა, კიდევ ერთი ქართველი იყო, მაგრამ ის არქივში მუშაობდა. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებდა.

**- შემდეგ?**

- 1971 წელს ისევ კვიპროსზე გამგზავნეს.

**- ეს რაიმე ექსტრემალურმა ვითარებამ ხომ არ გამოიწვია?**

- საერთოდ, მზვერავს ერთსა და იმავე ადგილას ორჯერ არ აგზავნიან, მაგრამ ვითარება გართულდა - კერძოდ, ჩემმა შემცვლელმა რუსმა მზვერავმა აგენტებთან მუშაობას თავი ვერ გაართვა. მისგან ცენტრში თითქმის არ მიდიოდა ინფორმაცია. ამიტომ ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მე უნდა წავსულიყავი. და აი, ხელახალი მომზადების შემდეგ, რაც უკვე გაცილებით ადვილი იყო, 1971 წელს კვიპროსზე ჩავედი. თუ პირველად, საგარეო საქმეთა სამინისტროს საფარით, ატაშე ვიყავი, ამჯერად უკვე საელჩოს მესამე მრჩევლის წოდება მქონდა.

**- შეგინარჩუნდათ თუ არა ეს წოდება ცხოვრების ბოლომდე?**

- მე მზვერავი ვარ და არა საელჩოს მესამე მდივანი (იღიმება).

კვიპროსზე მეორედ ჩასვლისას მუშაობა გაცილებით იოლი იყო, მაგრამ ჩემი მივლინება მოულოდნელად შეწყდა - 1971 წლის ბოლოს რუსი მზვერავი დიდ ბრიტანეთში, ოლეგ ლიალინი მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდა. ეს დიდი ისტორიაა. ამდენად, შეიქმნა საფრთხე, რომ ის ინგლისელებს გადასცემდა იმ საბჭოთა მზვერავების სიას, ვინც მისთვის ცნობილი იყო. მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ ცენტრში ყოფნის დროს გარკვეული შეხება მქონდა. ამიტომ ცენტრმა ჩემი და აგენტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროდ ჩათვალა ჩემი უკან გაწვევა და 1971 წლის ბოლოსათვის კვიპროსის დავტოვება მომიხდა. ასე დამიმსხვრია ლიალინმა კარიერა, მაგრამ იმით მაინც ვარ ბედნიერი, რომ დასავლეთში გამოსულ წიგნში, სადაც ცივი ომის პერიოდში საზღვარგარეთ მყოფი უამრავი საბჭოთა მზვერავია ჩამოთვლილი, ჩემი გვარი არ არის.

**- როგორ განვითარდა თქვენი კარიერა ცენტრში დაბრუნების შემდეგ?**

- განვაგრძე მუშაობა, ვიდრე დაზვერვის სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მორტინი გამომიძახებდა. მაშინ უბრალოდ არავის იძახებდნენ. სანამ მისი კაბინეტის კარს შევაღებდი, ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი დაბარების მიზეზი. პირველი მთავარი სამმართველოს უფროსმა ვიეტნამში რეზიდენტის მოადგილედ გამგზავრება შემომთავაზა. ეს ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო. მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე, ვადა მეორე დილამდე მომეცა. იმ დღეს მეგობარ კოლეგებს ვთხოვე რჩევა. ზოგმა მირჩია, რომ დავთანხმებულიყავი წინადადებას, ზოგმა – არა. ეს ყველაფერი ავწონ-დავწონე, გავაანალიზე და მეორე დილით გამგზავრებაზე თანხმობა განვაცხადე. ძირითადი მოტივი ის იყო, რომ ცენტრში ყოფნა მომბეზრდა. კაბინეტში ჯდომა ჩემი მოწოდება არ იყო - წინა ხაზზე მინდოდა ყოფნა. ასე გავემგზავრე ვიეტნამში. ეს ჩემს ცხოვრებაში ურთულესი მივლინება იყო. ცენტრი ყოველდღე ითხოვდა ჩვენგან ინფორმაციას. ომის პერიოდში კი გაუშიფრავად მუშაობა და ინფორმაციის მუდმივად მოპოვება ძალზე რთულია. ვიეტნამში რამდენიმე ფუნქცია მქონდა დაკისრებული - ვიყავი უშიშროების კომიტეტის რეზიდენტის მოადგილე, სსრკ-ს ოფიციალური კონსული და საელჩოს პირველი მდივანი, ასევე - სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი ვიეტნამის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის მიზნით.

**- თქვენი აზრით, რატომ წააგო აშშ-მ ვიეტნამში ომი?**

- ეს კომპლექსური საკითხია. ჯერ ერთი, ვიეტნამელები აშშ-ს წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ ისევე, როგორც ავღანელები - სსრკ-ს წინააღმდეგ. მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ თავად ამერიკაში ძალიან დიდი წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო. ამერიკის საზოგადოებრიობის აზრი, თითქმის, 100 პროცენტით ომის წინააღმდეგ იყო განწყობილი. აშშ-მ ვიეტნამში დაკარგა იმაზე მეტი ჯარისკაცი, ვიდრე - პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ერთად. გარდა ამისა, აშშ-ს წინააღმდეგ ვიეტნამს, საბჭოთა კავშირთან ერთად, ჩინეთიც ეხმარებოდა. ყოველდღე ვხდებოდი იმის მოწმე, თუ როგორ ვარდებოდნენ ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები. რაკეტები საბჭოთა კავშირის იყო, ხოლო არტილერია – ჩინეთის. აღსანიშნია - მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ვიეტნამელებს აშშ-ს წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდა, ჩვენ ვიეტნამში მსოფლიოსთვის ბინ ლადენის მსგავსი ფიგურები არ დაგვიტოვებია, როგორც ეს ამერიკელებმა გააკეთეს ავღანეთის ომის დროს და ახლა თავის ქვეყანასაც და მთელ მსოფლიოსაც პრობლემას უქმნიან.

**- თქვენი აზრით, რომელი დაზვერვის სამსახურია საუკეთესო?**

- კითხვის ასე დასმა არ შეიძლება. შეიძლება ერთ დაზვერვას ბევრი ფული ჰქონდეს, მეორეს კი - არა. მაგრამ, გარკვეულწილად, ფინანსებით უზრუნველყოფილ დაზვერვას სწორედ მეორე სჯობდეს. თუმცა, ჩემი აზრით, ის დაზვერვაა ყველაზე ძლიერი, რომლის შესახებაც ჩვენ ყველაზე ცოტა ინფორმაციას ვფლობთ. დაზვერვა ისეთი სფეროა, რომლის შესახებაც ბევრი ინფორმაცია არ უნდა არსებობდეს. რაც შეეხება დაზვერვის კონკრეტულ სამსახურებს, მიმაჩნია, რომ ძალიან ძლიერია დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახური – მი-6. ასევე ძლიერი სადაზვერვო უწყებები აქვთ ამერიკელებს, რუსებს, ებრაელებს. ცუდად არ მუშაობენ ჩინელებიც. საერთოდ, ერთი რომელიმე კონკრეტულის გამორჩევა ძალიან რთულია. მაგრამ ჩემს აღფრთოვანებას მაინც მოსადი იწვევს - იმ გარემოს გათვალისწინებით, სადაც ისრაელს უხდება ცხოვრება. ძალიან მწყდება გული, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში დაზვერვას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არადა მას სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის და მის შემდეგაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს - პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

## გფბ ეჭვობს, რომ ბობი ფიშერი და დედამისი სსრკ-ს სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ



ლეგენდარული ამერიკელი მოჭადრაკე და მსოფლიოს ჩემპიონი ბობი ფიშერი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე სსრკ-ს დიდოსტატი ბორის სპასკი დაამარცხა, გფბ-ს მიერ, სსრკ-ს სასარგებლოდ, ჯაშუშობაში იყო ეჭვმიტანილი.

ეს ეჭვი 1958 წელს სსრკ-ში ფიშერის ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ გაჩნდა. გფბ-ს მოსაზრებით, სწორედ ამ დროს გადმოიბირა ის საბჭოთა დაზვერვამ. ეჭვის ერთ-ერთი საბაბი იყო მისი დედა რეგინა ფიშერი – განათლებული და 8 უცხო ენის მცოდნე ქალბატონი.

ფიშერის დედა გერმანიაში დაიბადა, მაგრამ ჰიტლერის რეჟიმის დროს, 1933-1938 წლებში სსრკ-ში ცხოვრობდა. ის ცოლად გაჰყვა გერმანელ ბიოფიზიკოსს და ანტიფაშისტს. აშშ-ში ის 1939 წელს გადავიდა, 1940 წელს კი მას უკვე უთვალთვალებდნენ.

თითქმის, სამი ათეული წელი ფიშერების ოჯახი გფბ-ს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. უკანასკნელი მონაცემები რეგინას შესახებ 1973 წელს მიიღეს, რაც ვიეტნამის ომის თაობაზე მის პოზიციას შეეხებოდა. რეგინა 1997 წელს გარდაიცვალა კიბოთი.

თითქმის, იმავე პერიოდში გფბ-მ ფიშერის მიმართ ინტერესი დაკარგა - რაც მან ჭადრაკი მიატოვა და აშშ-დან გადასახლდა.

ფილიპინების რადიოსთვის მიცემულ თავის ერთ-ერთ იშვიათ ინტერვიუში გასული წლის სექტემბერში ფიშერი მიესალმა ტერორისტების მიერ ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმას და განაცხადა, რომ ამერიკა მიწის პირისგან უნდა აღიგავოს.

## აშშ-ს ხელისუფლებას აბსოლუტურად ყველაფერი ეცოდინება თითოეულ ამერიკელზე

პენტაგონი ქვეყნის მოქალაქეების საძიებელ ტოტალურ ელექტრონულ სისტემას ამუშავებს. ამის შესახებ ინფორმაცია "ნიუ-იორკ თაიმსმა" გაავრცელა.

ამ სისტემის წყალობით, ამერიკის სპეცსამსახურებს ეცოდინებათ ყოველი საკრედიტო ბარათის ოპერაცია, გაიგებენ, რა ჟურნალებს იწერენ აშშ-ს მოქალაქეები, რა სამკურნალო პრეპარატებს იღებენ, რომელ ინტერნეტ-გვერდებს ნახულობენ, რა სამეცნიერო ხარისხებს იღებენ. სპეცსამსახურებისთვის ცნობილი გახდება საერთაშორისო ბანკებიდან ამერიკელების მიერ მიღებული ყოველი კრედიტი და ა.შ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, აშშ-ს სპეცსამსახურებმა უკვე დაიწყეს საიდუმლო კომპიუტერული სისტემის შექმნა. მისი დახმარებით, ყოველ ამერიკელზე ინფორმაცია მომენტალურად გახდება ხელმისაწვდომი.

ამას უნდა დავუმატოთ ის მონაცემები, რომლებიც უკვე აქვს ხელისუფლებას – კერძოდ, კომერციული დოკუმენტები, საპასპორტო მონაცემები, მართვის მოწმობები, მონაცემები ოჯახური მდგომარეობის შესახებ, მეზობელთა საჩივრები, ასევე მრავალრიცხოვანი ვიდეოკამერები ქუჩებში და თქვენ მიიღებთ სპეცსამსახურთა ახდენილ ოცნებას - ტოტალური ინფორმაცია მთელ მოსახელობაზე.

ამ ზესაიდუმლო პროექტის ხელმძღვანელია ადმირალი ჯონ პოინდექსტერი. აქამდე სამხედრო ძალებს და დაზვერვას, სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე, ამერიკელებზე ჯაშუშობა აკრძალული ჰქონდათ. მაგრამ ახლა პოინდექსტერი ცდილობს, დაასაბუთოს ხელისუფლების ახალი, ფართო შესაძლებლობების აუცილებლობა, რათა გამოქექოს, დაამუშაოს და შეაგროვოს ინფორმაცია მომენტალური გამოყენებისთვის - ამერიკის ელექტრონული ცხოვრების ნებისმიერ წვრილმანზე.

გაზეთის აზრით, სპეციალური ქსელი სპეცსამსახურებს საშუალებას აძლევს, ჩხრეკის ორდერის გარეშე, ქვეყნის ყოველი მოქალაქის პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანში გაერკვეს.

ამ სისტემის შექმნის წინადადება შეტანილია აშშ-ს ტერიტორიული უშიშროების კანონპროექტში, რომელსაც კონგრესში დაძაბული და რთული დებატები აქვს გასავლელი. ჟურნალისტთა აზრით, ნოემბრის არჩევნების შემდეგ მისი მიღება ეჭვს აღარ იწვევს.

## აშშ-მ მოსყიდვის წყალობით მოიგო ავღანეთში ომი

აშშ-მ ომი ავღანეთში სამხედრო სიძლიერით კი არა, უძველესი ხერხით - მოსყიდვით მოიგო. სწორედ ამ თემას შეეხება წიგნი, რომელიც მალე გამოვა ამერიკაში. ავტორი - გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი ბობ ვუდვორდი ამტკიცებს, რომ ცსს-ს აგენტებმა მოისყიდეს "თალიბანის" და აშშ-ს მიმართ მტრულად განწყობილი სხვა დაჯგუფებების რიგი მეთაური და ამ მიზნისთვის 70 მილიონი დოლარი დახარჯეს.

წიგნში - "ბუში ომში" ვუდვორდი წერს, რომ იმ დროს, როდესაც ამერიკული თვითმფრინავები ავღანეთს ბომბავდნენ, ცსს-ს 120 თანამშრომელი და 316 სპეცრაზმელი სქელი ქისებით არანაკლებ ზიანს აყენებდნენ მტერს.

გაზეთი "თაიმსი" აღნიშნავს, რომ მოსყიდვისთვის დახარჯული ფული ზღვაში წვეთია ავღანეთის ომის ხარჯებთან შედარებით, რაც, დახლოებით, 10 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუმცა, ექსპერტები ეთანხმებიან ჟურნალისტს, რომ ამ საშუალებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სამხედრო კამპანიის წარმატებით დასრულების საქმეში. ეს ფული გამიზნული იყო თალიბების მოსასყიდად და მათი ერთადერთი ორგანიზებული მოწინააღმდეგის – ავღანეთის ჩრდილოეთ ალიანსის დასახმარებლად.

ვუდვორდის მონაცემებით, ათი დესანტისგან შემდგარი ჯგუფი, საკოდო სახელით - "Jawbreaker" ავღანეთის ტერიტორიაზე 26 სექტემბერს დაეშვა. ჯგუფი 3 მილიონი ამერიკული დოლარით იყო აღჭურვილი.

ჯგუფის ხელმძღვანელმა "გარიმ" ნახევარი მილიონი დოლარი (ასდოლარიანი კუპიურებით) ჩრდილოეთ ალაინსის ხელმძღვანელს წინ დაუდო და უთხრა, რომ მას შეუძლია ამ თანხის განკარგვა საკუთარი მოსაზრებების მიხედვით. მომდევნო დღეს მან მილიონი დოლარი მიუტანა ალიანსის სამხედრო მეთაურს, რომელსაც ახლა, როგორც ვუდვორდი წერს, ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი უკავია.

"ჰენკმა", რომელიც ცსს-ში ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ სპეცოპერაციებს კურირებდა, კარგად იცოდა, თუ რა ფასეულობას წარმოადგენდა ნაღდი ფული გაღარიბებული მეომრებისთვის, რომელთა მეთაურებიც თავის დროზე თალიბებს თავად ჰყავდათ ნაყიდი.

"საველე მეთაურების ან მათი შემცვლელების ყიდვა, ასეულობით მეომართან ერთად, რაღაც 50 000 დოლარად შეიძლებოდა", - განუცხადა მან ვუდვორდს. **"თუ ჭკუით მოვიქცევით, უფრო მეტ თალიბს ვიყიდით, ვიდრე გავანადგურებთ,"-** დასძინა მან.

ერთმა მეთაურმა, რომელსაც ღალატის ფასად 50 000 დოლარი შესთავაზეს, მოსაფიქრებელი ვადა ითხოვა. შემდეგ ამერიკელმა სპეცრაზმელებმა მის შტაბ-ბინასთან მაღალწერტილოვანი ბომბი ჩააგდეს და კვლავ შესთავაზეს მოლაპარაკება - უკვე 40 000 დოლარად. ის დათანხმდა

**"აი, ასე კეთდება საქმე იქ. საბჭოთა სამხედროებთან ომის შემდეგ იქ არ ყოფილა სამთავრობო სტრუქტურები. საკითხი მუდამ ასე იდგა: ვის - ფული, ვის - იარაღი,"-** განაცხადა კინგმა - ამერიკის პოლიტიკის კოორდინატორმა მუსულმანურ სამყაროში.

მას ეთანხმება პენტაგონის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ექსპერტი ავღანეთის საკითხებში ჯულია სირსი. "ეს რომ რამდენიმე წლით ადრე გაეკეთებინათ, ჩვენ მსგავსი პრობლემები არ შეგვექმნებოდა. ჩრდილოეთ ალიანსი ძალიან საჭიროებდა ფინანსურ დახმარებას,"- აცხადებს სირსი.

მიუხედავად ამისა, ამერიკული ფული უძლური აღმოჩნდა ოსამა ბინ ლადენის ან მულა ომარის დაკავებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ვუდვორდი ჰყვება, თუ რა უკანასკნელი ინსტრუქციები მისცა "ჰენკმა" "ჰარის" ავღანეთში გამგზავრების წინ: **"თქვენ ერთი ამოცანა გაქვთ - ეძებეთ ალ-ქაიდას მეომრები და გაანდგურეთ ისინი. იპოვეთ ბინ-ლადენი. მინდა, მისი თავი თქვენს ჩემოდანში ვნახო და პრეზიდენტს ვაჩვენო."**

თუმცა, ცსს-ს მაღალჩინოსნის ეს თხოვნა და აშშ-ს პრეზიდენტის სურვილი, ჯერჯერობით, შეუსრულებელია.

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

იყიდება 1 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას IV კვარტალში. ტ. 30-83-45.

სასწრაფოდ! უცხოვრებელი, ახალაშენებული სახლი საუკეთესო მდგომარეობაში, პლატოდან 1 კმ, სოფ. თხინვალაში, ს/ფ 25000$. ტ: 63-23-23

იყიდება გარემონტებული 1,5-ოთახიანი ბინა, 15 კვ.მ. მიშენებით, ავეჯით, ყაზბეგის 2 ა-ში, 2(8). ფასი შეთანხმებით. 69 08 48

## მიწის ნაკვეთი

ვყიდი გრიგოლეთის საგარაკე მიწის ნაკვეთს, ზღვიდან 100-120 მ, 300კვ/მ, ფასი 3000$. ტ: 877 712284, თამუნა.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## კომერციული ფართი

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

## სწავლება

შევასწავლი სამეჯლისო-სპორტულ ცეკვებს. სტუდია "გრაცია". ტელ: 76-57-90, 899 579057.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შევასწავლით ჩოგბურთის თამაშს პროფესიულ დონეზე ბავშვებს 6-დან 14 წლამდე. მოვამზადებთ ფიზოში. სასურველია სპორტული აღნაგობა. ასევე შევასწავლით მოყვარულებს. 94 16 28

## სხვადასხვა

დაგეხმარებით ვიზების მიღებაში. ისრაელი, ინგლისი, აშშ, ევროვიზები, ავტოტური. აუპაიერის პროგრამა. მის: "სამთოქიმია", 1-ლი სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38. 899 922757.

გთავაზობთ მხოლოდ თქვენ! ელიტარულ პარფიუმერიას და კოსმეტიკას. "საფრანგეთისდან"! კონსულტანტი მანანა. 60-80-48 ან 34-02-38.

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

ფირმა "ბაისადის" უმაღლესი ხარისხის მაკარონები და "პეჩენიები" საბითუმო ფასებში. 35 16 71, 8(77) 42 21 53

საფირმო სალონი "მაუდი" იწვევს დისტრიბუტორებს, რეალიზატორებს, გამყიდველ გოგონებს. ა. წერეთლის გამზ. 140. 34 89 46

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 8(99) 28 99 66, 23 35 12

"სამოსელი პირველი" გაყიდვაშია. 38 47 53

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა

### სადილი ყველას

შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.

**დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.**
**დავით აღმაშენებლის 121.**

### თბილისის სახელმწიფო აკადემიის პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:

1. ქოლეცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.

**ტელ: 25-31-83**
**მის:** მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, I სართული

**გთავაზობთ** წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

### საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

### განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 19 სთ; ფასი 3 ლარი

**სახიობა**
იაკობ ცურტაველი "შუშანიკის წამება", რეჟ. გოგი თოდაძე, გია კახელი
დას: 15:00 სთ; ფასი 2 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ეტ-ცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კრიმანჭული", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"მედეა", რეჟ. გოჩა კაპანაძე, როლებში; მარინა კახიანი, თეონა გურამიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, გოჩა კაპანაძე, დიმა ჭაიანი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**გალერეა „ვერნისაჟი„**
გიორგი აფციაურის ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
გიორგი მასხარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ, ფასი 5-8 ლარი
"პიანისტი ქალი", რეჟ. მიხაელ ჰანეკე
დას: 16:00 სთ, ფასი 5,6 ლარი
"ვასაბი", რეჟ. ლუკ ბესონი, მთავარ როლში ჟან რენო
დას: 18:00 სთ, ფასი 6,7 ლარი

**„რუსთაველი„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი
"უნებლიე მილიონერი"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





ფეხბურთი

# ევროფეხბურთი: კატალონია ფიგუსთვის ჯოჯოხეთად რჩება

## ბერლუსკონიმ ბუშთან შეხვედრაზე უარი თქვა

აკა ტონია

### ესპანეთი, XI ტური

*23 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **სევილია – დეპორტივო** | **1:1** |
| **ბარსელონა – რეალი** | **0:0** |
| **რაიო ვალეკანო – სოსიედადი** | **0:0** |

*24 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **ბილბაო – ესპანიოლი** | **4:1** |
| **სელტა – ოსასუნა** | **0:0** |
| **მალაგა – ალავესი** | **0:0** |
| **მაიორკა – ვილიარეალი** | **1:1** |
| **რეკრეატივო – სანტანდერი** | **2:1** |
| **ვალენსია – ვალიადოლიდი** | **2:0** |
| **ატლეტიკო – ბეტისი** | **1:0** |

23 ნოემბერს, მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ესპანეთის "პრიმერა დივიზიონისკენ" იყო მიმართული, შაბათს მორიგი "ელ კლასიკო" შედგა. ცხრილის მე-5 და მე-10 საფეხურებზე მყოფი გუნდების შეხვედრა წესით არ უნდა იწვევდეს ასეთ აჟიოტაჟს, მაგრამ ყოველგვარ სატურნირო მდგომარეობას ეკარგება მნიშვნელობა, როდესაც ერთმანეთს "ბარსელონა" და "რეალი" უპირისპირდებიან. შაბათს, "ნოუ კამპის" სტადიონზე სწორედ მათი დუელი შედგა.

წმინდა სპორტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მატჩი ფრედ – 0:0 დასრულდა. შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრამ "ბარსას" უპირატესობით ჩაიარა, თუმცა, იეროს გარეშეც, "რეალის" დაცვას არც ისე მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნია.

მატჩი ძალზე დაძაბული იყო. მას შემდეგ, რაც ფიგუმ "ბარსელონა" "რეალში" გაცვალა და მადრიდში გადაბარგდა, ეს მისი მესამე სტუმრობა იყო კატალონიაში, სადაც მასთან ერთად, კიდევ ერთი ყოფილი "ბარსელონელი", რონალდოც ჩავიდა. "ღალატის" გამო აგრესია მის მიმართაც მოსალოდნელი იყო. გულშემატკივარმა რონალდო დაინდო, ფიგუ კი…

კატალონიელი მაყურებელი პორტუგალიელს კიდევ უფრო გაბოროტებული დახვდა, ვიდრე წინა შეხვედრებში, როგორც ჩანს ფიგუს აქ არასოდეს აპატიებენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 70-ე წუთზე მსაჯმა მატჩი შეაჩერა. კუთხურის ალამთან მისულ ფიგუს ხალხი ბოთლებს, ნაგავს და მობილურ ტელეფონებსაც კი ესროდა. გარდა ამისა, პორტუგალიელის ჩასაქოლად, კატალონიელმა გულშემატკივარმა ახალი, ჯერ არნახული "იარაღი" გამოიყენა – ისინი ფიგუს ღორის თავებს ესროდნენ.

მატჩი დაახლოებით 10 წუთის შემდეგ განახლდა. "რეალმა" უკანასკნელი 19 წლის მანძილზე კვლავ ვერ გაიმარჯვა ბარსელონაში (უკანასკნელად ეს 1983 წლის 22 ოქტომბერს მოხდა). "ნოუ კამპის" სტადიონს კი მკაცრი სანქციები ემუქრება, შესაძლოა, დისკვალიფიკაციაც.

### იტალია, X ტური

*23 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **იუვენტუსი – ბოლონია** | **1:1** |
| **მილანი – ინტერი** | **1:0** |

*24 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **ბრეშა – უდინეზე** | **1:1** |
| **კიევო – ემპოლი** | **1:0** |
| **პარმა – რომა** | **3:0** |
| **პერუჯა – კომო** | **3:0** |
| **პიაჩენცა – ტორინო** | **1:0** |
| **რეჯინა – ატალანტა** | **1:1** |
| **ლაციო – მოდენა** | **4:0** |

გასული შაბათი "სუპერ-მატჩების" დღე იყო. "ბარსელონასა" და "რეალის" შეხვედრის გარდა უმნიშვნელოვანესი მატჩი იტალიაშიც გაიმართა. საუბარია მილანურ დერბიზე, რომელშიც კახი კალაძის "მილანი" "ინტერს" შეხვდა. "მილანმა" მოიგო, სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაიბრუნა და ჩემპიონთა ლიგის ხვალინდელი შეხვედრის წინ უდიდესი ფსიქოლოგიური ფორაც მოიპოვა. "დერბიში გამარჯვების გოლის გატანა ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულია. სტადიონზე განუმეორებელი ატმოსფერო სუფევდა. მსოფლიოში ვერც ერთი მატჩი ვერ შეედრება ამ დერბის", - ვერ მალავდა თავის ბედნიერებას ერთადერთი გოლის ავტორი, ბრაზილიელი სერჟინიო. საგოლე პასი მან თანამემამულე რივალდოსგან მიიღო. "ეს ნამდვილი სამბა იყო – "ინტერს" სერჟინიომ და რივალდომ მოუგეს", - იწერებოდა "Gazzetta dello Sport"-ი გაზეთის კვირის ნომერში. თავის აღტაცებას ვერ მალავდა იტალიის პრემიერ-მინისტრი და "მილანის" ბოსი, სილვიო ბერლუსკონი: "შესანიშნავი მატჩი იყო, "მილანმა" კი დიდი ფეხბურთი ითამაშა". იმისათვის რომ შეხვედრას დასწრებოდა, ბერლუსკონიმ უარი განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრაზე. "შეხვედრის დაწყებამდე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ეს მათ გამო გავაკეთე და რომ მათ აუცილებლად უნდა გაემარჯვათ", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

შესანიშნავად ითამაშა კახი კალაძემ, რომელიც შეხვედრის მეორე ნახევარში დიდ დროს ატარებდა შეტევებში და მატჩის მიწურულს ანგარიშის გაზრდაც კი შეეძლო, მაგრამ ფრანჩესკო ტოლდომ კალაძის მიერ უძლიერესად დარტყმული ბურთის მოგერიება შეძლო.

იმავე დღეს თამაშობდა იტალიის ჩემპიონატის მაშინდელი ლიდერი "იუვენტუსი". ტურინელები "ბოლონიასთან" საშინაო მატჩში 1:1-ს დასჯერდნენ, რითაც პირველობა "მილანს" დაუთმეს. "ინტერი" ლიდერებს 2 ქულით ჩამორჩება და მე-3 ადგილზე იმყოფება.

აშკარა კრიზისში იმყოფება იტალიის მოქმედი ჩემპიონი "რომა". ფაბიო კაპელოს გუნდი "პარმას" ტოტის, დელვეკიოსა და კაფუს გარეშე ესტუმრა და პირწმინდად, 0:3 წააგო.

### ინგლისი, XV ტური

*23 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **მანჩესტერი – ნიუკასლი** | **5:3** |
| **ასტონ ვილა – ვესტ ჰემი** | **4:1** |
| **ბოლტონი – ჩელსი** | **1:1** |
| **ევერტონი – ვესტ ბრონვიჩი** | **1:0** |
| **ფულემი – ლივერპული** | **3:2** |
| **მიდლსბრო – მანჩესტერ სიტი** | **3:1** |
| **საუთჰემპტონი – არსენალი** | **3:2** |
| **სანდერლენდი – ბირმინგემი** | **0:1** |



REUTERS

*ლუიშ ფიგუს "ნოუ კამპზე" ჯოჯოხეთი დახვდა*

*24 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **ტოტენჰემი – ლიდსი** | **2:0** |
| **ჩარლტონი – ბლექბერნი** | **3:1** |

"პრემიერ ლიგის" უკანასკნელი ტური ლიდერების წარუმატებლობით აღინიშნა. პირველ საფეხურზე მყოფმა "არსენალმა" "საუთჰემპტონთან" გასვლითი მატჩი ანგარიშით 2:3 წააგო, თუმცა ცხრილის სათავეში ადგილის შენარჩუნება ლონდონელებმა მაინც შეძლეს, რადგან მარცხი განიცადა "ლივერპულმაც". ჟერარ ულიეს გუნდმა ნეგატიური სერია განაგრძო და "ფულემთან" ანგარიშით "ლივერპულის მსგავსად 2:3 წააგო.

ვერც "ჩელსიმ" მოიგო, რომელიც "ბოლტონთან" სტუმრობისას 1:1-ს დასჯერდა და ცხრილის მესამე ადგილი "ევერტონს" დაუთმო. ამ უკანასკნელმა თავისი ზედიზედ მე-6 მატჩი მოიგო და 29 ქულით მესამე საფეხურზე აიწია. აღსანიშნავია, რომ "ევერტონმა", ისევე როგორც წინა ოთხ შეხვედრაში, "ვესტ ბრომვიჩთან" უკანასკნელ მატჩშიც მინიმალური ანგარიშით, 1:0 გაიმარჯვა.

წარმატება მოიპოვა უკანასკნელ ხანებში მინი-კრიზისში მყოფმა "მანჩესტერ იუნაიტედმაც". ფერგიუსონის გუნდმა "ნიუკასლს" უმასპინძლა და 5:3 დაამარცხა. "მანჩესტერი" 26 ქულით მე-5 ადგილზეა და ლიდერს 6 ქულით ჩამორჩება.

### გერმანია, XIV ტური

*23 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **არმინია – ლევერკუზენი** | **2:2** |
| **ჰერტა – ვერდერი** | **0:1** |
| **კაიზერსლაუტერნი – ბაიერნი** | **0:2** |
| **მიონხენგლადბახი – ბოხუმი** | **2:2** |
| **შალკე – ჰანზა** | **2:2** |
| **შტუტგარტი – ჰანოვერი** | **3:0** |
| **ვოლფსბურგი – დორტმუნდი** | **2:0** |

*24 ნოემბერი:*

| | |
|---|---|
| **ჰამბურგი – კოტბუსი** | **1:1** |
| **მიუნხენ 1860 – ნიურნბერგი** | **2:2** |

როგორც ჩანს, ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხის კომპენსირებას მიუნხენის "ბაიერნი" საკუთარ ჩემპიონატში ქულების მაქსიმალური რაოდენობის დაგროვებით ცდილობს. მართალია, "კაიზერსლაუტერნი" სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება, მაგრამ ამ კლუბთან სტუმრად გამარჯვება იოლი საქმე არავისთვის არ არის, მით უმეტეს, რომ "ბაიერნთან" მატჩის წინ "კაიზერსლაუტერნი" ათმაგად იყო მოტივირებული და მიუნხენელთა წინააღმდეგ შესაძლო გამარჯვებას ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დასაწყისად იხილავდა, მაგრამ... "ბაიერნმა" დიდი ძალისხმევის გარეშე მატჩის ბედი 15 წუთში გადაწყვიტა – 0:2.

უკანასკნელ ტურამდე მიუნხენელთა უპირველეს კონკურენტად დორტმუნდის "ბორუსია" მიიჩნეოდა, მაგრამ შაბათს, მათიას ზამერის გუნდი "ვოლფსბურგთან" სტუმრად 0:2 დამარცხდა და მეორე ადგილი "ვერდერს" გადაულოცა. თავად "ბორუსიამ" კი მე-4 საფეხურზე ამოჰყო თავი. "ვოლფსბურგთან" მატჩში დორტმუნდელებს რამდენიმე კარგი საგოლე შანსი ჰქონდათ, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს. მასპინძლებმა კი თავიანთი ორივე მომენტი გოლად აქციეს.

ამჟამად უკვე მეორე ადგილზე მყოფ "ვერდერს" ბერლინში, ადგილობრივ "ჰერტასთან" მხოლოდ 10 წუთი ეყო მატჩის ბედის გადასაწყვეტად. ბრაზილიელმა აილტონმა მატჩის დებიუტში ერთადერთი გოლი გაიტანა. "ჰერტამ" კი 80 წუთის მანძილზე ანგარიშის გათანაბრებაც კი ვერ შეძლო.

| ესპანეთი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 11 | 6 | 5 | 0 | 21:10 | 23 |
| მაიორკა | 11 | 7 | 1 | 3 | 17:10 | 22 |
| ვალენსია | 11 | 6 | 3 | 2 | 20:8 | 21 |
| რეალი | 11 | 4 | 6 | 1 | 17:10 | 18 |
| ატლეტიკო | 11 | 4 | 6 | 1 | 18:12 | 18 |
| სელტა | 11 | 5 | 3 | 3 | 13:8 | 18 |
| დეპორტივო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:14 | 18 |
| ბეტისი | 11 | 4 | 5 | 2 | 19:12 | 17 |
| მალაგა | 11 | 4 | 5 | 2 | 17:16 | 17 |
| ბარსელონა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:13 | 16 |
| ბილბაო | 11 | 4 | 3 | 4 | 18:22 | 15 |
| ვალიადოლიდი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:14 | 14 |
| ალავესი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:21 | 12 |
| ვილიარეალი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:12 | 11 |
| სანტანდერი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:13 | 11 |
| სევილია | 11 | 2 | 5 | 4 | 8:10 | 11 |
| რაიო ვალეკანო | 11 | 2 | 3 | 6 | 13:19 | 9 |
| ოსასუნა | 11 | 2 | 3 | 6 | 11:18 | 9 |
| რეკრეატივო | 11 | 2 | 2 | 7 | 9:22 | 8 |
| ესპანიოლი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:20 | 7 |

| იტალია | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 11 | 8 | 1 | 2 | 25:8 | 25 |
| იუვენტუსი | 11 | 7 | 4 | 0 | 19:6 | 25 |
| ლაციო | 11 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 24 |
| ინტერი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:12 | 23 |
| კიევო | 11 | 7 | 0 | 4 | 20:12 | 21 |
| ბოლონია | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 19 |
| მოდენა | 11 | 6 | 0 | 5 | 11:18 | 18 |
| პარმა | 11 | 4 | 4 | 3 | 18:14 | 16 |
| რომა | 11 | 4 | 4 | 3 | 21:19 | 16 |
| ემპოლი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:16 | 16 |
| უდინეზე | 11 | 4 | 3 | 4 | 9:12 | 15 |
| პერუჯა | 11 | 4 | 2 | 5 | 15:19 | 14 |
| პიაჩენცა | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| ბრეშა | 11 | 2 | 3 | 6 | 14:21 | 9 |
| ატალანტა | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |
| რეჯინა | 11 | 1 | 3 | 7 | 9:20 | 6 |
| ტორინო | 11 | 2 | 0 | 9 | 6:22 | 6 |
| კომო | 11 | 0 | 4 | 7 | 6:19 | 4 |

| ინგლისი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 15 | 10 | 2 | 3 | 33:16 | 32 |
| ლივერპული | 15 | 9 | 4 | 2 | 26:13 | 31 |
| ევერტონი | 15 | 9 | 2 | 4 | 18:15 | 29 |
| ჩელსი | 15 | 7 | 6 | 2 | 25:13 | 27 |
| მანჩესტერი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 26 |
| მიდლსბრო | 15 | 7 | 3 | 5 | 19:12 | 24 |
| ტოტენჰემი | 15 | 7 | 2 | 6 | 19:21 | 23 |
| ნიუკასლი | 14 | 7 | 1 | 6 | 23:22 | 22 |
| ბლექბერნი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:16 | 20 |
| საუთჰემპტონი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:17 | 20 |
| ასტონ ვილა | 15 | 5 | 4 | 6 | 14:13 | 19 |
| ფულემი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:20 | 19 |
| ბირმინგემი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:18 | 19 |
| ლიდსი | 15 | 5 | 2 | 8 | 19:22 | 17 |
| ჩარლტონი | 15 | 5 | 2 | 8 | 14:19 | 17 |
| მანჩესტერ სიტი | 15 | 5 | 2 | 8 | 15:23 | 17 |
| სანდერლენდი | 15 | 3 | 5 | 7 | 8:17 | 14 |
| ბოლტონი | 14 | 3 | 4 | 7 | 17:25 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:22 | 12 |
| ვესტ ჰემი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:28 | 12 |

| გერმანია | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 31:14 | 32 |
| ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 28:25 | 26 |
| შტუტგარტი | 14 | 6 | 6 | 2 | 24:15 | 24 |
| დორტმუნდი | 14 | 6 | 6 | 2 | 19:11 | 24 |
| შალკე | 14 | 6 | 5 | 3 | 18:13 | 23 |
| ჰერტა | 14 | 6 | 4 | 4 | 18:13 | 22 |
| ვოლფსბურგი | 14 | 7 | 1 | 6 | 17:16 | 22 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 3 | 5 | 29:23 | 21 |
| მიუნხენ 1860 | 14 | 6 | 3 | 5 | 20:17 | 21 |
| ჰამბურგი | 14 | 6 | 2 | 6 | 17:20 | 20 |
| ლევერკუზენი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:22 | 17 |
| ნიურნბერგი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:23 | 17 |
| მიონხენგლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 18:14 | 16 |
| ჰანზა | 14 | 4 | 4 | 6 | 17:16 | 16 |
| ჰანოვერი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:30 | 15 |
| არმინია | 14 | 4 | 3 | 7 | 15:24 | 15 |
| კოტბუსი | 14 | 2 | 3 | 9 | 8:26 | 9 |
| კაიზერსლაუტერნი | 14 | 1 | 4 | 9 | 12:24 | 7 |

# „მილანი" - „რეალის" სუპერ-მატჩით იწყება ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპი

*დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპი იწყება. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს "მილანისა" და თასის შარშანდელი მფლობელის, მადრიდის "რეალის" შეხვედრა. სამეფო კლუბს, რომელსაც სეზონის დასაწყისში უდავო ფავორიტად თვლიდნენ, უკანასკნელი მატჩების შემდეგ რეპუტაცია ოდნავ შეერყა.*

დიმიტრი ობოლაძე

**C ჯგუფი**
**მილანი - რეალი**
**ლოკომოტივი - ბორუსია**

კარლო ანჩელოტიმ ძალიან ძლიერი, მობილური გუნდი შექმნა. "ჩვენი მთავარი კოზირი ძლიერი დაცვა და საგოლე მომენტების მაქსიმალურად გამოყენებაა", - მწვრთნელის ეს სიტყვები იტალიელთა წარმატების ყველაზე ნათელი ახსნა გახლავთ. სასიამოვნოა, რომ დაცვაში თავის როლს კალაძეც თამაშობს. ქართველი მცველი აქტიურად ერთვება შეტევებში და, მისი ფლანგური გადაცემების შედეგად, მილანელებს გოლებიც გააქვთ. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები საკუთარ მოედანზე თამაშობენ, "მილანს" სერიოზული გამოცდა ელის. "რეალის" კრიზისზე საუბარი, ალბათ, გადაჭარბებულია. მეორე საკითხია ის, რომ მოედანზე ვერ გავლენ რონალდო და ზიდანი. ეს ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. შეხვედრა საინტერესოა იმითაც, რომ ერთმანეთს ხვდება ევროპის ორი ყველაზე გამოცდილი, ტიტულოვანი კლუბი. ევროპული საკლუბო ტურნირების ეგიდით მათ, ერთად, 585 მატჩი აქვთ ჩატარებული. იტალიელები 5-ჯერ დაეუფლნენ თასს და სამჯერ ითამაშეს ფინალში. "რეალს" კი ეკუთვნის რეკორდი, რომელსაც, ალბათ, დიდხანს ვერავინ გააუმჯობესებს - 9 თასი და სამი ფინალი. ორივემ ერთად 18-ჯერ მოიგო UEFA-ს საკლუბო ტურნირები (UEFA-ს სუპერთასის ჩათვლით). განსაკუთრებული საუბრის თემაა პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ, რომელსაც გასულ შაბათს "ბარსელონას" სტადიონმა "ნოუ კამპმა" დამამცირებელი შეხვედრა მოუწყო. ძალიან ძნელია, გაუძლო სტრესს, რომელშიც ფიგუ თავისი ყოფილი თაყვანისმცემლების გამო ჩავარდა. არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ბარსელონა"-"რეალის" შეხვედრის დასრულების შემდეგ ფიგუ ცუდ გუნებაზეა და დანა პირს არ უხსნის.

ბოლოს კი მსაჯის შესახებ. შვეიცარიელი ურს მეიერი გამოცდილი არბიტრია. სხვათა შორის, მას ქართველი გულშემატკივარიც იცნობს. 1994 წელს, თბილისში, მეიერმა საქართველოსა და მალტის ამხანაგური შეხვედრა (1:1) და 1996 წელს, ასევე თბილისში, საქართველოსა და ბულგარეთს შორის გამართული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი (2:1) იმსაჯა. შვეიცარიელი იღბლიანი მსაჯია "რეალისთვის". 2000 წელს მადრიდელებმა 4:0 მოუგეს პორტუგალიის "სპორტინგს". ამ შეხვედრის, ისევე როგორც გლაზგოში გამართული ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი ფინალის არბიტრი სწორედ მეიერი გახლდათ.

C ჯგუფის მეორე შეხვედრაში ფავორიტად გერმანელები ითვლებიან. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. მიმდინარე სეზონში იური სიომინის გუნდს ძალიან უმართლებს: "ლოკომოტივი" მეორედ თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში და უკვე მოახერხა მეორე ეტაპზე გასვლა. რუსმა რკინიგზელებმა, პირველად თავის ისტორიაში, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. ასე რომ, ნუ ვიჩქარებთ დღევანდელ წყვილში პირდაპირ "ორიანის" დადებას. საინტერესოა სტატისტიკაც. "ლოკომოტივი" სულ ორჯერ შეხვდა გერმანიის კლუბებს. 1995/96 წლის UEFA-ს თასის გათამაშებაში სიომინის გუნდმა მიუნხენში, 1:0 მოუგო "ბაიერნს". მოსკოვში კი გერმანელებმა 5:0 დაამარცხეს მეტოქე. საყოველთაო მოსაზრებით, დორტმუნდელთა მთავარი მოწინააღმდეგე დღეს ყინვა და თოვლი იქნება. თუმცა, ამინდის მხრივ არც გერმანიაა კანარის კუნძულები და ყინვას "ბორუსიას" ბრაზილიელებიც კი შეგუებულნი არიან. მოსკოველთა მწვრთნელი საოცარი ოპტიმიზმითაა შეპყრობილი. სიომინმა განაცხადა, რომ ჯგუფის ფავორიტი "მილანია". "მილანელები უდავო ფავორიტები არიან. დანარჩენებთან თამაში შეიძლება. იმედი მაქვს, რომ მაყურებელი მოვა და გერმანელთა დამარცხებაში დაგვეხმარება. მინდა, მივმართო გუნდის ფანებს - თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, მეოთხედფინალში თამაშიც რეალურია", - განაცხადა მწვრთნელმა.

ბოლოს კი კვლავ ამინდის შესახებ. UEFA უშვებს იმის ალბათობას, რომ, ამინდის გაუარესების შემთხვევაში, მატჩი შეიძლება გადაიდოს. თუ ასე მოხდა, შეხვედრა, ნებისმიერ შემთხვევაში, მეორე დღეს უნდა გაიმართოს.

**D ჯგუფი**
**დეპორტივო - იუვენტუსი**
**ბაზელი - მანჩესტერი**

ხავიერ ირურეტას გუნდმა მიმდინარე გათამაშების პირველი ეტაპის ბოლო სამი მატჩი მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. "დეპორტივოს" მთავარ პრობლემად რჩება არასაიმედო დაცვა. მეორე ეტაპზე მოხვდა გუნდი, რომელმაც 11 გოლი გაიტანა და საკუთარ კარში 12 მიიღო. სხვათა შორის, მეორე ეტაპზე გასულ კიდევ ოთხ გუნდს აღმოაჩნდა გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი ბალანსი. ტურინელებმა სერია A-ს ბოლო შეხვედრა "ბოლონიას" წინააღმდეგ გამართეს. მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა. ამ მატჩში მარჩელო ლიპიმ გარკვეული, საკმაოდ საინტერესო ცვლილებები განახორციელა. მან სათადარიგოთა სკამზე დატოვა კამორანეზე, დელ პიერო, დი ვაიო, მონტერო და დავიდსი, რისთვისაც თითქმის დაისაჯა კიდეც. ანგარიში 86-ე წუთზე მარკო იულიანომ გაათანაბრა. ეს მისი პირველი გოლია მიმდინარე სეზონში. ლიპიმ, უბრალოდ, დაასვენა წამყვანი ფეხბურთელები. ამ მწვრთნელს ისედაც სერიოზული პრობლემები აქვს. ტრავმის გამო დღეს ვერ ითამაშებენ ანტონიო კონტე, იგორ ტუდორი და დევიდ ტრეზეგე. სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდება ალესიო ტაკინარდი, რომელმაც წინა მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ჰავიერ ირურეტას პრობლემები არა აქვს. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია.

"შვეიცარიის "ბაზელი" ჩემპიონთა ლიგის ყველაზე შეუპოვარი, მებრძოლი და, ალბათ, ყველაზე სუსტი გუნდია", - ასეთი წინადადება დაიბეჭდა ინგლისის ერთ-ერთ სპორტულ გაზეთში. ამ ფრაზაში, ალბათ, დევს სიმართლის მარცვალი. და თუ ეს ასეა, ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ფეხბურთში არა მარტო მდიდარი და ტრადიციების მქონე, არამედ "შეუპოვარი და მებრძოლი" გუნდებისთვისაც მოიძებნება ადგილი. შვეიცარიელთა მწვრთნელი, კრისტიან გროსი, 1997 წელს "ტოტენჰემ ჰოტსპურში" მუშაობდა. მაშინ მისმა გუნდმა "ოლდ ტრაფორდზე" ითამაშა და 0:2 წააგო ფერგიუსონის კლუბთან. "მანჩესტერ-იუნაიტედში" მას შემდეგ არაფერი შეცვლილა", - განაცხადა გროსმა, - "ეს გუნდი გადის მოედანზე, ფეხბურთელები დარბიან, კარში ურტყამენ და იმარჯვებენ." ფერგიუსონის გუნდი მშვენიერ გუნებაზეა, ვინაიდან "იუნაიტედმა" პრემიერ ლიგის უკანასკნელ ტურში 5:3 დაამარცხა "ნიუკასლი". თუმცა, გროსი ამაში თავისი გუნდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს ხედავს: "მათ სამი გოლი გაუშვეს. სერ ალექსისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ დაცვას, რომელსაც ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, "იუნაიტედს" სერიოზული პრობლემები აქვს. მეტოქის სუსტი მხარეები უნდა გამოვიყენოთ და შეიძლება მოვიგოთ კიდეც."

შეგახსენებთ, რომ 2002-03 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი მანჩესტერში, "ოლდ ტრაფორდზე" გაიმართება. ფერგიუსონის გუნდი კი ნამდვილად არ აპირებს მეორე ეტაპზე "ჩარჩენას".

დღეს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2", 23.45 სთ-ზე, გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს მილანიდან: "მილანი" - "რეალი".

კალათბურთი

# მეორე სიურპრიზი - დინამომ წააგო!

საქართველოს ჩემპიონატი. მე-10 ტური.

| | |
|---|---|
| **სტუ ჯეოსელი - დინამო** | **78:77** |
| **აზოტი - აკადემია** | **78:77** |
| **სსუ - მაკაბი** | **107:74** |
| **თსუ - ქუთაისი** | **89:81** |

პირველი სიურპრიზი მე-9 ტურში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა შემოგვთავაზა, როცა მოულოდნელად ბათუმში ამბიციური "ბასკო" დაამარცხა. მეორე კი ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებმა შემოგვთავაზეს. მათ არანაკლებ ამბიციურ "დინამოს" სძლიეს, რომელსაც წელს საქართველოს ჩემპიონატის მოგება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული გამოსვლა განუზრახავს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სტუდენტები ბოლო დროს მაღალი ხარისხის თამაშით გამოირჩევიან და თვით ფავორიტებსაც არ ინდობენ. საილუსტრაციოდ "სტუ- ჯეოსელისა" და "დინამოს" გუშინდელი დაპირისპირებაც კმარა. თამაში საკმაოდ უცნაურად წარიმართა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ასე ვთქვათ, სამწუთიან მონაკვეთებად იყოფოდა. ამ მონაკვეთებში ჯერ "დინამომ" იმძლავრა - 12:0, შემდეგ სტუმ - 15:6. საბოლოო ჯამში კი ფორტუნამ სტუდენტებს გაუღიმა.

"დინამოელთა" პრობლემა მუშკუდიან-ტუჯანის დუეტი აღმოჩნდა. მათ ლევან მოსეშვილის შეგირდებმა ვერაფერი მოუხერხეს და მატჩის ბოლოს 7-ქულიანი ჰანდიკაპის აღმოფხვრა ვერ შესძლეს. სწორედ კამერუნელი ლეგიონერის კარგმა თამაშმა შეუქმნა სტუდენტებს გამარჯვებისთვის მყარი საფუძველი. მართალია, შეხვედრის უკანასკნელ წამებზე დავით თორთლაძემ ორი ზუსტი სამქულიანი ტყორცნა განახორციელა, მაგრამ იმ ერთმა, უფრო სწორად მეშვიდე ქულამ გათამაშების ლიდერის ყველა მცდელობა დაჩრდილა.

"სტუ- ჯეოსელი" დღეს უფრო მონდომებული იყო. ჩვენ კი ოდნავ თვითდაჯერებულნი ვიყავით. ალბათ, ეს არის ჩვენი დამარცხების უმთავრესი მიზეზი. კარგია, რომ ეს ახლა მოხდა და არა გადამწყვეტი თამაშების დროს," - განაცხადა მატჩის შემდეგ ლევან მოსეშვილმა.

იშვიათი დამთხვევაა, ამავე შედეგით - 78:77, გუშინ რუსთავის "აზოტმა" "აკადემია" დაამარცხა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა კი მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე შთამბეჭდავი თამაში აჩვენა და გაანადგურა "მაკაბი" - 107:74.

ტანვარჯიში

# გიორგაძე მეექვსეა

დებრეცენში დამთავრდა მსოფლიოო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი თანამემამულე ილია გიორგაძე, რომელმაც ორძელზე ვარჯიშში მეექვსე ადგილი მოიპოვა. ამ მაჩვენებლით ქართველმა ათლეტმა ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეული შედეგი გაიმეორა.

"თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, გიორგაძის მიღწევა უთუოდ დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ," - აცხადებს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თომზა ცომაია.

მეექვსე ადგილი ქართველი ტანმოვარჯიშისთვის, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ გიორგაძე მსოფლიო პირველობისთვის მოსკოვში ემზადებოდა და მისი წარმატებაც ამ ფაქტს უკავშირდება. ტანვარჯიშის ფედერაციაშიც სწორედ ამაზე ამახვილებენ ყურადღებას.

"ტანვარჯიში სპორტის სპეციფიური სახეობაა და აქ, ერთი ან ორკვირიანი დასვენება დაღუპვის ტოლფასია. სწორედ, ამიტომ გადაწყვიტა ილიამ მოსკოვში მომზადება. ჩვენი დელეგაცია მოსკოვში ხვალ ჩამოფრინდება. ილია რუსეთში დარჩება და ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირისთვის მზადებას იქ გააგრძელებს," - განმარტა თომზა ცომაიამ.

ოლიმპიური ლიცენზიები მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდება, რომელიც ოქტომბრის თვეშია დაგეგმილი. მანამდე კი საერთაშორისო ასპარეზზე არდადეგებია გამოცხადებული. რაც შეეხება სამეულისთვის ბრძოლას, გიორგაძეს ამის შანსი დებრეცენშიც ჰქონდა, მაგრამ მეტისმეტი დაძაბულობის ფონზე, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

"გიორგაძეს ჯერ საკუთარი შესაძლებლობები არ ამოუწურავს. მან ოლიმპიადაზე უნდა დაამტკიცოს, რომ დიდი სპორტსმენია. დარწმუნებული ვარ, ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს," - ამბობს ვიცე-პრეზიდენტი.

ასეა თუ ისე, ილია გიორგაძემ თავისი შანსი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უნდა გამოიყენოს.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ესპანეთის ჩემპიონის, "ვალენსიას" წამყვანმა ფეხბურთელმა, არგენტინელმა კილი გონსალესმა "პრიმერადივიზიონის" ბოლო ტურში სერიოზული ტრავმა მიიღო. მატჩში, რომელშიც "ვალენსია" "ვალიადოლიდს" ხვდებოდა, კილიმ მარცხენა ფეხის კოჭი მოიტეხა. იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების დასკვნით, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი თავის გუნდს, სულ მცირე, ორი თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება. შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის სასტარტო მატჩში, რომელშიც "ვალენსია" ჰოლანდიის "აიაქსს" ეთამაშება, ესპანეთის ჩემპიონს კილი გონსალესის, პაბლო აიმარისა და ფრანსისკო რუფეტეს გარეშე მოუწევს თამაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსული ფეხბურთის "ოქროს ბიჭუნად" მონათლული დმიტრი სიჩოვი მალე, ალბათ, კიევის "დინამოს" ფეხბურთელი გახდება. სიჩოვი ამჟამად კიევის "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე, "კონჩა ზასპეში" იმყოფება და უკრაინის საუკეთესო გუნდთან ერთად ვარჯიშობს. მართალია, ორი დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა, ალექსეი მიხალიჩენკომ განაცხადა, რომ იგი კლუბის სასელექციო მუშაობაში არ ერევა და ვერ დაადასტურებს სიჩოვის სავარაუდო ტრანსფერის ფაქტს, მაგრამ კიევის გუნდის ვიცე-პრეზიდენტი იოჟიფ საბო არ მალავს კლუბის დიდ ინტერესს ამ ფეხბურთელის მიმართ. "მე უფლება არა მაქვს, ოფიციალურად განვაცხადო, რომ სიჩოვი კიევის "დინამოს" ფეხბურთელი გახდა, რადგან ეს არ შეესაბამება სიმართლეს. მაგრამ ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს და ყველაფერს ვიღონებ ამ ტრანსფერის განსახორციელებლად. თუ "დინამოს" პრეზიდენტი (იგორ სურკისი,-რედ.) დამთანხმდა, "სპარტაკს" გადავუხდით შესაბამის თანხას, სიჩოვის კონტრაქტს გამოვისყიდით და იგი კიევის დინამოელი გახდება", - განაცხადა საბომ. კონტრაქტის მიხედვით, გუნდმა, რომელიც სიჩოვის შესყიდვას მოისურვებს, "სპარტაკს" 6 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კოლუმბიაში გადაწყვიტეს, ბრინჯაოს ძეგლი დაუდგან კარლოს ვალდერამას, ფეხბურთელს, რომელიც, ქვეყნის მოსახლეობის აზრით, საუკეთესოა მათ შორის, ვისაც კოლუმბიის ეროვნული ნაკრების მაისურა მოურგია. ფეხბურთელის მიმართ კოლუმბიელი ხალხის სიყვარული იმდენად დიდი ყოფილა, რომ კარიბის პორტ სანტა-მარტაში, სადაც ვალდერამა დაიბადა და გაიზარდა, უბრალო ქანდაკება კი არა, 6-მეტრიანი ბრინჯაოს გიგანტი დადგეს, რომლის საერთო წონა 7 ტონაა. ქანდაკების დამზადება კოლუმბიას 130 ათასი დოლარი დაუჯდა. ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიას 14 ათასი კაცი დაესწრო. თავად 40 წლის ვეტერანი ფეხბურთელის თქმით, "ბრინჯაოს" ვალდერამა გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ნამდვილს. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ვალდერამა კვლავაც აგრძელებს აქტიურ საფეხბურთო კარიერას და ამჟამად აშშ-ს ჩემპიონატში თამაშობს, თუმცა, მისი თქმით, მომავალ წელს ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსეთის ეროვნული ნაკრებისა და "ცსკას" მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი, "ლოკომოტივთან" მისი კლუბის "ოქროს მატჩში" დამარცხების შემდეგ, გერმანიაში დასასვენებლად გაემგზავრა. გაფრენის წინ, ჩემპიონობის დაკარგვის გამო, იგი უგუნებობას არ უჩიოდა. აეროპორტში, რუსეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში, მან სინანული გამოთქვა, რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა ევროპაში, რომელშიც შემორჩენილია "ოქროს მატჩის" წესი. "სამწუხაროდ, ასეთმა რეგლამენტმა ბოროტი გამოცდა მოგვიწყო, რომელიც ვერ ჩავაბარეთ. არადა, რუსეთის ჩემპიონატის საბოლოო შედეგების მიხედვით, ყველა მაჩვენებლით ვაჯობეთ "ლოკომოტივს". ჩვენ უფრო მეტ შეხვედრაში გავიმარჯვეთ და კონკურენტზე მეტი გოლიც გავიტანეთ.", - განაცხადა გაზაევმა. რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სამშობლოში დაბრუნებას ორი კვირის შემდეგ გეგმავს.



1 ლიკა ჩიტაძე ასაკი-24, 181/85/65/89, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



2 ელისა ქართოზია ასაკი-17, 170/78/58/84, თვალი - თაფლის, თმა - წაბლის



3 თამანა ყველაშვილი ასაკი-17, 155/80/62/82, თვალი - ყავის, თმა - წაბლის



4 ხათუნა ნაჭყებია ასაკი-15, 175/87/68/94, თვალი - თაფლის, თმა - წაბლის



5 ლუიზანა ფარულავა ასაკი-21, 172/85/68/95, თვალი - ცის, თმა - ღია წაბლის



6 ანი სოხაძე ასაკი-17, 170/92/67/88, თვალი - ყავის, თმა - წაბლის

# TV პროგრამა 26 ნოემბერი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 01.40 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.35 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა: "მილანი" - "რეალი"
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
02.40 კლასიკა.

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 საპარლამენტო არჩევნები
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 საპარლამენტო არჩევნები
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "ერთი ცამეტიდან"
16.55 თქვენი უფლებები
17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა მსოფლიოს ირგვლივ"
17.40 სერიალი "ძილის წინ"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "სათავეებთან"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ქალის ვიზიტი"

## პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 პაუზის გარეშე
17.00 "კომედია" მხ.ფ. "დეივი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირობანა
23.00 მოკლე სეანსი
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ადამიანი ობობა"
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ვამპირები"
03.10 ნონ-სტოპი

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 დოკ. ფილმი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "ვინ გაემგზავრება ტრუსკავეცში"

## ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.20 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 21.00 სალონი
14.00, 15.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მხ.ფ. "უბრალო გეგმა"

## იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "შვიდი მეგობარი ქალი"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 22.15, 00.45 მუსიკა
10.50 მხ.ფ. "მშვოთვარე მოწმე"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "იკითხეთ სინდი"
22.30 ძველი კინო "მოახლის დღიური"
00.50 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი "პერლ ჰარბორი"
15.00 მხ. ფილმი "ტყუპები"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "რაშია საქმე დოკ"
22.30 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა პატარა ტოკიოში"

## მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 11.50, 13.15, 21.45, 23.30 მუსიკა
11.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
12.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
12.30 მულტფილმი "ალადინი"
13.30 მხ. ფილმი "ლანცელოტი დროის მცველი"
15.00 დოკ. ფილმი "ჩვეულებრივი ბოლშევიზმი"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაჰრაზადი"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 მხ. დეტექტიური სერიალი "ახალი პროფესიონალი" მე-9 სერია
21.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ტომარა, პორტუგალიის უდიდესი მონასტერი".
22.00 მხ.ფ. "პანთერი დღე"
23.50 მხ.ფ. "ფარული საფრთხე"

## აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ჩვენი ჯერია ბიჭებო"
10.55 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხატვრული ფილმი "ციმბირელი დალაქი"
13.35 კომედია "მოჩვენებებზე მონადირენი-2"
15.20 დოკუმენტური ფილმი
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
17.05 სათავგადასავლო ფილმი "გამტაცებელთა კლუბი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.35 ქართული მხატვრული ფილმი "წარსული ზაფხული"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 "რა არ ხდება"
23.20 მხატვრული ფილმი "მაღალი საზოგადოების ქრონიკა"
01.10 მხატვრული ფილმი "ციმბირელი დალაქი"
03.30 კომედია "ვირთხების რბოლა"
04.50 დოკუმენტური ფილმი

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 "აჩიკუდა"
09.55 "ბედნიერი ერი"
10.00 "სახლიდან გაუსვლელად"
10.25 "ავტოტრეკინგი"
11.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
11.45 "სახლიდან გაუსვლელად"
12.25 ანიმაცია
12.50 "სახლიდან გაუსვლელად"
13.20 "ბიორითმი"
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 "სახლიდან გაუსვლელად"
14.25 სპორტი
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.30 მელოდია
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.15 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ღამის კაპრიზი"
22.00 "სახლიდან გაუსვლელად"
22.35 "კინოკლუბი" - "დოქტორი ჟივაგო"
00.10 ამინდის პროგნოზი
00.15 სპორტი
00.20 "სახლიდან გაუსვლელად"
00.55 "ბიორითმი"

## ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 Независимое расследование
11.55 "Ералаш"
12.05, 16.15, 00.30 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб: "Переменка"
13.15 Детектив "СМЕРТЬ ПРОТЯГИВАЕТ РУКУ"
14.45 Ералаш
15.00 "Жди меня"
16.50 Худ.фильм "КЛЕТКА", 1 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Зоя Космодемьянская. Без вымыслов"
20.55 "Последний герой 2". "Тигры"
22.00, 01.00 Время
22.40 Худ.фильм "КЛЕТКА", 2 с.
23.45 "Лубянка". "Гений разведки".
01.20 "Новые чудеса света. На пути всемирного потопа".
01.50, 02.50 "Апология"
02.20 "Граф Дракула".

## РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
10.50 Сериал "Марш Турецкого 3. Имеются человеческие жертвы"
11.45, 17.45, 00.30 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 "Цена успеха"
13.15 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.15 Экспертиза
14.30 Колоссальное хозяйство
14.45, 19.20, 21.35 Вести-Москва
15.20 "Что хочет женщина"
16.20 Худ. фильм "СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР"
18.20 "Вокруг света"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "НИНА. РАСПЛАТА ЗА ЛЮБОВЬ"
23.00 Сериал "Марш турецкого 3. Имеются человеческие жертвы"
00.00 "Вести +"
00.35 Худ.фильм "ЧЕРНЫЙ ОРЕЛ" 02.20 Дорожный патруль 02.30 Горячая десятка.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენენ სილამაზის კონკურსს
მის ფოტო მოდელი 2002
მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.
1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. [illegible]
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე
მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.
იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.